8(05)
ა-402

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ

ᲘᲢᲕᲚᲘᲡ

წელიწადი მეᲠᲔ

№ V

მᲐᲘᲡი, 1899

ᲥᲣᲗᲐᲘᲡი
ლამბაᲨიძის სტამბა ✲ Типографія Гамбашидзе
1899

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 30 Апрѣля 1899 г.

შინაარსი:

პირველი განყოფილება.

		გვ.
I	**ვახტანგ გორგასლან**, ლექსი ვაკეისა .	1—4
II	**კუდაბზიკეთი.** (ზღაპრული მოთხრობა) მისივე	5—11
III	**ძრიტიკული წერილები**, ხელოვნური ლიტერატურა. ვ. წ.-სა . . .	12—43
IV	**ქართული ძველი თქმულება** . **თრიათინო.** თარგმ. კნ. ალ. მელიქოვისა .	45—56
V	**საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი**, (გაგრძ.) მ. ჯანაშვილისა . . .	57—80
VI	**გოტტგოლდ ლესსინგი**, (დასასრული), ხომლელისა	81—104
VII	**არქეოლოგიური ფურცლები.** ვინმე მესხისა	105·120

მეორე განყოფილება.

I	**ქართველი-კათოლიკენი არტაანის და ჩხალის ხეობაში.** (მოხუცებულთაგან ნაამბობი ამბები) ზ. ჯ.-სა. .	1—13
II	**მასალები** ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში. (გაგრძელება) მისივე	14—32
III	**ცხრა ძმა.** (არაკი), ჩაწერილი „ქართველი ოსებში“-ს მიერ.	33—38
IV	**მეოთხე მცნება**, ებრ. ზღაპარი ჩაწერ. ნ. ია-ნისა	39—40

ვახტანგ გორგასლან.

(ისტორიული)

„რამ დაგაღონა გმირთ-გმირო,
მეფეთ-მეფეო ქებულო,
საქართველოსთვის მანანად
განგებით მოვლინებულო?

—

ცალ-ფეხს რომ აჭერ შავ-ზღვაზე,
მეორე თეთრზე გიდგია!
მაღლით მზე გეგვირგვინება
და მთვარე ტახტად გიდგია!

—

ქვესკნელში უჭრი სამართალს
ქვე-მძრომსა, ჭიანჭველასა!..
ცაში ყურს უგდებ რეკასა
და იგულისხმებ ყველასა!

—

აღვირ-ამსხმელო სპარსეთის,
გარს ძლევის სხივი გივლია!
სინდ-ინდო აბაშეთითურთ
ფეხ-დ:-ფეხ შემოგივლია!!

—

და საბერძნეთიც მოყვრად გყავს,
თანა-მერჯულე შენია!
რაღა გაკლია ამ ქვეყნად,
მაგრე რომ მოგიწყენია?“—

—

ეკითხებოდა გორგასლანს
ჯუანშირ გამოჩენილი
და ვახტანგ პასუხს აძლევდა
სიტყვა ია-ვარდ ფენილი:

—

„სჭვრეტ და ვერ ჰხედავ, გრძნობ—
გჯერა, რაც არაფერია!.. [ვერ სჯი;
ქარი წაიღებს უკანვე,
რაც ქარის მონაბერია!..

—

თუმც მართალია, რაცა სთქვი,
მაგრამ სულ გარეგანია!
დიდება ხალხის გულია—
სხვა ყველა გარე კანია!

—

რას უზამს მტერი გარეშე
დამხდურსა მარად ფხიზელსა,
როცა ვერ აწვდენს გულამდე
ვერც სისხლიან ხმალს, ვერც ხელსა?..

—

დღეს დაიმონებს, ხვალ ველარ...
ეს ბრუნვა ქვეყნის წესია!
მაგრამ მოყვარე ორგული
კი მტერზედ უარესია:

—

მოგხიბლავს სირინოზივით,
დაგიფენს ვარდს და იასა,
ბანგს გასმევს დასაძინებელს,
გულში გაგიჩენს ჭიასა!..

—

მაშინებს ბერძნის მოყვრობა,
და ერთ-სჯულობა მათთანა,
ვაი, თუ მათი მოძღვრებით
ყელში გაგვირჭონ მათ დანა!..

—

ვხედავ სხვა-გვარად უჭირავს
ანტიოქიას დღეს თვალი!
სჯობს ეკლესია ქართველთა,
რომ იყოს თავისუფალი!

—

მაგრამ რა გვარად? თანხმობით
არ აიღებენ ხომ ხელსა,
და თუ ვიხმარე ძალა რამ,
გავიტეხ წმინდა სახელსა".

—

ჯუანშირ ეტყვის: „მეფეო,
გქონია საფიქრებელი!
მე შენსა ალმაფრენასა
რას მივსწვდებოდი მჭე-ბნელი?

—

ახლა რომ ჩამაგულისხმე,
სისწორით ვახელ მეც თვალსა:
ეს საქმე გადასაწყვეტად
ზეცას მივანდოთ უფალსა.

—

ნებით არ იზმენ, ეგ ხმალი
ხომ ღვთის ნაკურთხი გაკიდია?
მსხვერპლი სამშობლოს გულისთვის
ყოველგვარ მსხვერპლზე დიდია!“

—

რჩევა დაუჯდა გორგასლანს
ერთგული ჯუანშირისა,
საერო „გიხაროდენი“
გამქარვებელი ჭირისა.

—

რა ველარ გასჭრა ვედრებამ,
ხელში აიღო მახვილი
და მით მსოფლიო კრებაზე
დაბეჭდა ქვეყნის სურვილი:

—

«საქართველოს ეკლესია
თვით მართლ-მადიდებელია;
კათალიკოსს თვისას დასვამს
დაუმოკიდებელია!“

ალაკი

კუდაბზიკეთი.

(ზღაპრული მოიხრობა)

ყოფ და არა იყო რა. იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძნობაზე უფრო შიშის გრძნობა ჰქონდა გამოფხიზლებული და ყოველ-გვარ საშიშ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოფილიყოს და გინდ უსულო, ყოვლის შემძლებლად ისახავდა, აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა. მრავალ-ღმერთობის დრო იყო და ყოველ ერს თავის შესაფერი ღმერთი ჰყავდა: ზოგს ლომი, ზოგს სპილო, ზოგს გველეშაპი, ზოგს დიდი გველი და სხვანი. ერთი სიტყვით ვისთვისაც რა უფრო საშიში და საფრთხილო იყო, იმას ემონებოდენ. სხვათა შორის იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბზიკეთი“, ოდესმე სახელ-განთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაკარქექიაობის მეტს ვეღარას ახერხებდენ: უჯდენ კერას და ერთმანეთს უჩუჩხურებდენ. მათთვის რაღა საჭირო იყო ან ლომი, ან ვეშაპი, რომ მათი მაწუხებელი ჭია-ღუაც დიდი რამე ეგონათ? და მოინდომეს მკბენარის თაყვანის-ცემა,

მაგრამ არ იცოდენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისათვის, თუ რწყილისათვის? ზოგს ის მოსწონდა და ზოგს ეს!.. არჩევანზე მივარდა საქმე. კუდაბზიკელები ორად გაიყვენ. ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მეორემ რწყილი. ვერ შეთანხმდენ, მოუვიდათ ჩხუბი და ნაცარ-მტუტი ააღინეს. დაერიენ ერთმანეთს და აღარ ზოგავდენ. ამ საპრალოებს სულ კერას ძირში ეძინათ; არაფერს არ დასდევდენ, არა ეინტერესებოდათ რა, და მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს გამოაჭყეტდენ თვალებს ბეცად, ახორხოზდებოდენ, აეიეყინდებოდენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდენ თვალებში და არჩევნებს რომ მორჩებოდენ, ისევ ისევ ჩვეულებრივად მიეგდებოდენ კერას ძირას... ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია!.. კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბზიკაების ქვეყანაშიაც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა, თავისაში დვირესაც ველარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად იყო გადაქცეული: ტიტინობდენ და ლაქლაქობდენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მაგალითად, შარშან ზამთარში კურდღელი ოთოვაო, მეორე დაუმოწმებდა: მართალიაო! და შივა-და-შიგ შველიც გამოურიაო. ყველა ტრაბახობდა, ყველა თავის-თავზე ლაპარაკობდა; გაისმოდა განუწყვეტელი „მე, მე, და მეო!“ ასე რომ ბრმას რომ ყური დაეგდო, იფიქრებდა: აქ სწორედ სადღაც თხის ჯოგიაო. მართალია, თითო-ოროლა შეგნებული და ქვეყნისათვის გულ-შემატკივარი მათშიაც ერია, მაგრამ იმ არევ-დარევაში და საერთო ხორხოზში ვინ-ღა რას გაი-

გონებდა, რომ ყურთა სმენა აღარსად იყო? თქვე უბედურო, ნაცარქექიებო, მოეგეთ გონებას—ურჩევდენ შეგნებულები საბრალო თანა-მემამულეებს—რა დროს ეგ წილა-დობილაა?.. რას გადაჰყოლიხართ მაგ „რწყილობია-ტილობიას?“ ისე როგორ დაგაბრმავათ ცოდვამ, რომ ცხვირს იქით ველარასა ხედავთ? ქვეყანას ნადირმხეცები შემოსევიან, ლამის გაგვანადგურონ, ერთი ტყვილა შემქაქანებელიც არსადა სჩანს და თქვენ კი ჰიანჭველეთში გინდათ თავი ისახელოთ და ისიც უკუღმართობითო!..—არ შეიძლება, არ შეიძლება!—ჰყვიროდენ ნაცარქექიები.—ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვახურავს და ულვაშები გვასხია!.. სხვებს თუ ჰყავსთ სათაყვანო და არჩევანებში შედიან, ჩვენ რაღა ვართო?

კი ბატონო! მაგრე იყოსო—უპასუხებდენ შეგნებულები—აარჩიეთ, მაგრამ მისთანა-კი, რომ ვარგოდეს რამედ და ქვეყნის გამოსადეგი იყოს რამეშიო!.. თუ მართლა მწერ-ბუზებს იქით გზა აღარა გაქვსთ-რა, ფუტკარი აირჩიეთ: ის მაინც თაფლსა და სანთელს აკეთებს; ან აბრეშუმის ჭია, დარაიას რომ გაძლევსთ! ან წურბელა, ცუდი სისხლის სხეულიდან გამომწოვიო და სხვანი...

ეჰ, არა, არა!—გიძახოდენ ნაცარქექიები—ფუტკარი მოუსვენარია, გარედ დაბზუის აქეთ-იქით და ჩხვლეტაც მწარედ იცის, ყაჭის ჭია—მყრალია, წურბელი მოსისხარიაო და სხვანი. ბატონი ტილი და ბატონი რწყილი კი განუშორებლად დღე და ღამ სულ ჩვენთან არიან და მხოლოდ ამ ორ გვარს ეკუთნის და შეშვენის ჩვენი თაყვანის ცემაო! ამ ორს იქით გზა არა გვაქვს. ან ერთი უნდა ავირჩიოთ და ან მეორე და საქმე მხოლოდ ჯობინობაზე არის მიმდგარიო!

სად თქვენი კანდიდატი და სად ჩვენიო?—გაიძახოდენ ტილაძეები—თქვენი ერთი გიჟი ვინმეა, მოუსვენარი, ხან აქ არის, ხან იქ; ერთ ალაგას ვერ მიისწრებ, ვერ გააჩერებ!!. ხან აქ შეძვრება და ხან იქ, დღე და ღამ მოსვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია იქ გაჩნდება, სადაც არ ელი იქ გიჯებენს და თუ შეგატყოთ, ჩემი დაჭერა უნდათო, ისკუპებს და ცხრა მთას გადაევლება!—ჩვენი კანდიდატი კი მშვიდობიანია, დარბაისელი, დამჯდარი ხასიათის, მორიდებულ-მოკრძალებული; შორს წასვლის თავი არა აქვს!.. მართალია, ხან-და-ხან ჩუმად იკბინება, ისე რომ ტანს მოგაფხანებს, მაგრამ, თუ შეგატყო აშფოთება, შეინანებს და იქვე სადმე ნაოჭში მიიმალებაო.

ეგ ღირსება კი არ არის, წუნიაო—უპასუხებდენ რწყილაძეები—ჩვენი კანდიდატი-კი, მარდია, ცოცხალი, მიხტი-მოხტის; ხან იქ შეძვრება, ხან აქ!.. გაგაღვიძებს, გამოგაფხიზლებს და გაგაშფოთებსო!.. თქვენი კი საზიზღარი რამ არის და ყოვლად საბრალო! — ასე ამ გვარად, თავისებურად თავ-თავისას გაიძახოდენ ორივე მხრით მოპირდაპირეები და მათ ბრძოლას დასასრული აღარ ჰქონდა. ბრძოლაც ხომ ახირებული იყო ამ ნაცარ-ქექიების?!. არ იყო მისთანა უპატიური რამ, ერთმანერთისათვის რომ არ შეეწამებიათ და არც უშვერი რამ, ერთმანერთისათვის რომ არ ეკადრებიათ?!..—ამ არჩევნების დროს რომ „კუდაბზიკეთი“ გენახათ, იტყოდით: ქვეყანას სწორედ მტერი შემოჰსევია და ხალხიც საომრად მომზადებული დახვედრას უპირებს, რომ სამშობლო გადაარჩინოსო. მაგრამ რა ბძანებაა!!. ის მხოლოდ „რწყილობია-ტილობიას“ თამაში იყო!.. ამ არეულობის დროს გარეშე მტერმა ისარგებლა და სი-

ცილით გაიძახოდა: „წამკიდებელო წაჰკიდეო, ორივეს თავი წასწყვიტეო!“ და მართლაც რომ „კუდაბზიკეთი“ დღითი-დღე სიგლახაკეში ვარდებოდა: ტურა-მელები ფრინველებს იპარავდენ, მგლები ოთხ-ფეხს იტაცებდენ და დათვი იქაურობას ჰტორავდა და ანადგურებდა— ერთი სიტყვით პატრონი აღარავინ იყო!.. ბოლოს ჩავარდა ქვეყანა იმისთანა განსაცდელში, რომ ტილიც დაკვიწყდათ და რწყილიც!.. დიდი და პატარა ტირილით გაიძახოდა: „გვიშველეთ, ვინ ხართ მამაციო?!“ დაგვიანებული „ვაი! ვაი!“ და „გვიშველეთ!“ კარგად მოგეხსენებათ, ვერაფერი მალამოა წყლულისათვის, და საბრალო ნაცარქექიების სატკივარსაც აღარა ეშველარა!!. მაშინ კი ჩაფიქრდენ ჩახვდენ გონებაში და სთქვეს: ეს რა გვემართება? სწორედ გაღალული ვართ. თვალი გვჭკრეს და დაგვაჩანაკესო! შემლოცველი უნდა სადმე მოვნახოთო!—აქეთ ეცენ იქით ეცენ, მოიყვანეს ერთი მკითხაკი და გამოალოცვიეს „თვალყვისა-თვალნაკრავისა“. ბებერმა სამჯერ პირჯვარი გამოისახა, სამჯერ თავი გააქნია, სამჯერ თვალებში მიაფურთხა ნაცარქექიებს, სული შეუბერა და მოჰყვა:

ნაცარ-ქექია, ქექია,
ფუშო, ტეფილაკ—ბექია,
რას მიგდებულხარ კერასა,
თავი რად გაგიქექია?

—

ტილიჩე ნუ ჰფიქრობ—მოშორდი,
რწყილს აკარე კვერდიო!
რად გინდა ჰრიშტი-ჰრუშტები
და სომხის ეფემ-ვერდიო?..

—

ნუ ჰკარგავ შენი რაცა გაქვს,
ნურც ეხარბები სხვისასა!..
ჰატარა წყარო სჯობია
სასმელად მდაშეს ზღვისასა!..

—

აღექი, ნაცარ-ქექია,
ნუ მიგდებულხარ კერასა,
ჭიანჭველებში ნუ ეძებ
დაკარგულ ბედის წერასა!..

ეს რომ შეულოცა, თავზე ხატის ნაბანი გადაასხა ნაცარქექიებს და რადგანაც ნაცარქექიები პირდაღებული შეჰყურებდენ მკითხავს, წყალი ნახევარზე მეტი პირში ჩაესხათ... მეტი მოუვიდათ და კინაღამ დაიღრჩვენ... აუარდათ ხველა. ბებერმა ხელახლა გამოისახა პირჯვარი და სულთა მბრძოლის-შეულოცა:

„ცისა*) და ქვეყნის შუამავალი, დედა მარიამ იჯდა სამოთხისა კარსა და ლოცვილობდა. მოვიდა წმინდა გიორგი, თაყვანი სცა და მოახსენა: დედაო მღვთისაო! მოვიარე ფეხდაფეხ შენი წილმხვედრი, ვნახე დაცემული, დავარდნილი, სადაც აღარცა ძველი ძველობს და არც რამ ახალია. ატირდა დედა მარიამ და ცრემლი მისი მარგალიტად ეყრებოდა ქვეყანასა ზედა.—მივიდა იესო და შეეკითხა: დედაო, რას სტირი, ვის იგლოვ? ცასა თუ ქვეყანასა?—ვსტირ ჩემ საწილოსა! ვგლოვ ჩემ სადედოფლოსა, დღეს დაცემულსა, დავრდომილსა და შენგან დავიწყებულს, ხელ-აღებულსა!—არა, დედაო

*) სახალხო შელოცვა.

ჩემო, მე როგორ დავივიწყებ შენს სადედოფლოსა? ხელს ვით ავიღებ შენს წალ-ხვედრზედა?.. მხოლოდ გამოვსცდი იობის განსაცდელითა, რომ უმეტესად გავჰკურნო და ავამაღლო! წყეულმცა იყოს ეშმაკი მისდამი შეჩენილი და ფუ! მის ავის თვალით შემყურესა!.. გაიხარა მარიამ, შეწყვიტა ცრემლები და ღიმილი ტკბილი ქვეყნად ნათლად მოჰფინა. ამინ.

აკაკი.



კრიტიკული წერილები.

წერილი პირველი.

ხელოვნური ლიტერატურა.

თავი პირველი

მსგავსება და განსხვავება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის.

ხელოვნებასა და მეცნიერებას შუა ისე დიდი საზღვარი არა სდევს, როგორც ეს სახელწოდებები აფიქრებიებენ კაცს. მეტადრე სიტყვა ხელოვნება უბნევს გზას გამომკვლეველს. საქმეს ნათლად დავინახავთ, როცა ამ არევისა და გაურკვეველობის მიზეზს გამოვიძევთ.

მიზეზი, ჩემი ფიქრით, ის განსხვავებაა, რომელიც არსებობს პოეტისა ანუ, საზოგადოდ, ხელოვანი ლიტერატორის შემოქმედებასა და მეცნიერის შემოქმედებას შორის. პირველს იმდენივე შრომა სჭირდება დაწერაზე, რაც პლანის წინ-და-წინ მოფიქრებაზე. მართალია, სანამ კალამს აიღებდეს ხელში, მასაც წინ-და-წინ მოფიქრებული უნდა ჰქონდეს ეს პლანი, მაგრამ

იმ გრძნობებით, რომელნიც შეადგენენ უმთავრეს ელემენტს ხელოვნურ ლიტერატურაში; წერის დროს უნდა აიღელვოს გული, თავისი გულის ნადული თავის ნაწერში უნდა გადიღოს და ამგვარად გარდაჰქმნას თხზულებად. მაგრამ სჯობს თვით პოეტს ვათქმევინოთ თავისი გულის-პასუხი:

„ტრემლში ნალესი ნადველი
მინდა, რომ მელნად ვიხმარო,
საწერლად მივსტე გლახ გული,
ფრთა კალმად ადარ ვიკმარო!
მის ნაცვლად ენა ჩავუწო,
საწვერ-მახვილო ის არი!..
ხან სამკურნალო შალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!“

ჩემი ფიქრით, რუსეთის კრიტიკოსს სკაბიჩევსკის არ ჰქონდა ნება ეთქვა, რომ პირვანდელ აქტს, მოფიქრებას, მეტი მნიშვნელობა აქვს ხელოვნურ ლიტერატურაში, ვიდრე უკანასკნელს, წერასაო. პირიქით, წერის დროს მეტი კეთილშობილური შრომა და შემოქმედებითი ძალაც არის საჭირო ხელოვანი ლიტერატორისათვის.

მეცნიერებაში კი სულ სხვაგვარად არის საქმე. აქ პირვანდელ ფიქრს ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით დაწერას. ბევრი დიდი მეცნიერი ყოფილა, რომ წერა არც კი სცოდნია კარგად. თვით სამეცნიერო ენა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ხელოვნური. ამიტომ მეცნიერს წერის დროს მცირეოდენი-ღა ხელოვნება სჭირდება. და სწორედ აქედან წარმოსდგა ის შეცდომა, რომ, სამეცნიერო და ხელოვნური ლი-

ტერატურის ერთმანეთთან შედარების დროს, შემოქ-
მედების პირველ ნაწილს მეტი ყურადღება მიაქ-
ცია რუსეთის კრიტიკოსმა. და ამავე მიზეზის
გამო უწოდეს „ხელოვნური“ პირველ-გვარ ლიტერატუ-
რას და სამეცნიერო ლიტერატურა კი არ გახადეს
ღირსი ამ სახელწოდებისა.

მაგრამ შეიძლება კაცმა საზღვარი დაუდვას შემოქ-
მედების პირველსა და მეორე ნაწილს?! სრულია-
დაც არა: შემოქმედება ერთია, განუყოფელი, და
მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მისი შეგნება,
თუ ერთად იქნებიან განხილულნი მისი ნაწილები, მჭი-
დროდ დამოკიდებულნი ერთი მეორეზე. და მაშინ კი
მეცნიერებასაც ისეთივე უფლება ექნება ხელოვნებაზე,
როგორც თვით პოეზიას. რით აკლიათ ხელოვნება
პლატონისა და არისტოტელისა, ბეკონისა და ნიუტო-
ნისა, დარვინისა და სპენსერის თხზულებებს?!

მაგრამ, რადგან ერთხელვე ფესვი გაიდგა საზოგა-
დოებაში ძველი ტერმინების ხმარებამ, მათი ძირიანად
აღმოფხვრა, აღმოკვეთა, შეუძლებელია, და, ამიტომ
ამ წერილშიაც ის მნიშვნელობა ექნებათ სახელწოდე-
ბებს: „ხელოვნური ლიტერატურა“, „ხელოვნება“,
„სამეცნიერო ლიტერატურა“, „მეცნიერება“, რა მნი-
შვნელობაცა აქვთ საზოგადოდ.

ბ-ნ სკაბიჩევსკის ერთი შეცდომაც წაამატებინა
კიდევ პირველმა შეცდომამ. ასე იცის ხოლმე: ერთხელ
ფეხის წამოკვრას რამოდენჯერმე ფეხის წაფორხილება
მოსდევს. იგი სრულიად ვერ არ ევს ერთმანეთში ხელოვ-
ნურსა და მეცნიერულ ლიტერატურას, რაკი შემოქ-
მედების მეორე აქტს დიდად არაფრად აგდებს არც
ხელოვნურ ლიტერატურაში. მისი აზრით ამ ორ ლი-

ტერატურას შორის მხოლოდ გარეგანი, ფორმალური, განსხვავებაა, და არა შინაგანი, არსებითი; და ხელოვნურ ლიტერატურას უნდა ედვას ვალად მხოლოდ მეცნიერების სამსახური, მეცნიერული აზრების სახალხოდ ქადაგება, ანუ პოპულიარიზაცია. მეორე მხრით, იგი ბევრად მაღლა აყენებს ხელოვნურ ლიტერატურას მეცნიერულზე. ჩვენ დიდი უმართლობა გვგონია, როგორც ასე დამცირება, ისე ასე ამაღლება ხელოვნური ლიტერატურისა. თუ რად არ შეიძლება მეცნიერების მოსამსახურედ ჩაითვალოს ხელოვნური ლიტერატურა, ამას შემდეგი გვიჩვენებს. აქ განვიხილავთ ბ-ნ სკაბიჩევსკის აზრის მხოლოდ მეორე განყოფილებას, რომ ყოველი ხელოვნური თხზულება იგივე სამეცნიერო, მხოლოდ უფრო ნიჭიერად დაწერილი, არისო. რომ ეს აზრი მართალი იყოს, უდიდეს მეცნიერულ პრინციპებში ნახევარი მაინც იქნება პოეტებისა და ბელლეტრისტებისაგან აღმოჩენილი. მაგრამ, რომ ჩამოვთვალოთ ყველა მეცნიერება და ავიღოთ ის უბრალო პრინციპები, რომლებზედაც არიან იგინი დამყარებულნი, დავინახავთ, რომ იმათი აღმოჩენა ეკუთვნის, საზოგადოდ, მეცნიერებსა და ფილოსოფოსებს. მართალია, პოეტებსაც უთქვამთ აფორიზმები იმავე პრინციპების შესახებ, მაგრამ ის ბნელი, რომელიც ეხვია მათ (ამ პრინციპებს) გარს, მხოლოდ მეცნიერებმა გაჰფანტეს სრულად, ჭეშმარიტება მხოლოდ მათ დაგვანახვეს ნათლად და ცხადათ, სრული უფლება მათზე მხოლოდ მათ (მეცნიერებმა) მიანიჭეს კაცობრიობის გონებას.

მართალია, იყვნენ ისეთი მწერლები, რომელთაც ორივე ნიჭი ეუხვად ჰქონდათ მიმადლებული. ამ მწერლებზე შეიძლება ითქვას, რომ ბუნებას თავისი კალთა იმაზე დაუბერტყიაო. მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ მეცნიერება და ხელოვნება ერთი და იგივე იყოს.

მეცნიერებასა და ხელოვნებას შუა, მართალია, არის მსგავსება, მაგრამ განსხვავებული არის. სამეცნიერო აზრების ქადაგებას გარდა ხელოვნურ ლიტერატურას აქვს კიდევ თავისი განსაკუთრებული მიზანი. შექსპირის თხზულებებში ბევრი ფილოსოფური ჭეშმარიტება არის გაფანტული, მაგრამ იგი მათს მეცნიერულად დამყარებას კი არ დასდევს: მას სხვა დიდი მიზანი აქვს: გააკეთილშობილოს ადამიანის გრძნობები.

ამბობენ, პოეტები, კაცის სულისა და გულის მესაიდუმლენი არიანო და, მაშასადამე, თვით ფსიხოლოგებზე უკეთესი ფსიხოლოგებიო. ამ თქმაშიაც არევა და გაურჩევლობა სჩანს ხელოვნებისა და მეცნიერებისა. პოეტი, ფსიხოლოგი და მეცნიერი ფსიხოლოგი სხვა-და-სხვა რიგად ეხებიან კაცის სულის მოძრაობას. პოეტს ესმის ეს სულის მოძრაობა გრძნობით და მეცნიერ-ფსიხოლოგს, უფრო, გონებით. თუმცა უნდა აღვიაროთ, რომ იმავე დროს პირველს გონების დახმარება სჭირდება და მეორეს გრძნობის: თვით გრძნობას, ერთი მხრით, შეგვიძლია ვუწოდოთ გონება, და გონებას, მეორე მხრით,—გრძნობა, რადგან ყოველ გრძნობაში არის გონება და გონებაში გრძნობა.

მოკლედ რომ ვსთქვათ, მეცნიერებასა და ხელოვ-

ნებას შუა იმდენი მსგავსება და განსხვავებაა, რამდენიც გრძნობასა და გონებას შუა. თვით მეცნიერება არის უმაღლესი განვითარება გონებისა და პოეზია—უმაღლესი განვითარება გრძნობისა, რთული გრძნობა.

განვიხილოთ ჯერ გონება და გამოვარკვიოთ მისი განსაკუთრებული თვისება, ის, რითაც განსხვავდება იგი გრძნობისაგან. ამ გამოკვლევისათვის ორი გზა გვაქვს:

შეგვიძლია ჯერ უბრალო, მარტივი გონებრივი ცნება განვიხილოთ და მერე უფრო განვითარებული, მეცნიერული. შეგვიძლია აგრეთვე ამ უკანასკნელიდან დავიწყოთ და მერე გადავიდეთ პირველზე. ჩვენ ვარჩევთ მეორე გზას, რადგან განსაკუთრებული თვისება გონებისა სამეცნიერო ცნებაში უფრო ცხადია, უფრო ადვილად შესამჩნევია. ამასთანავე ჩვენი მეცნიერული მსჯელობის საგნად განგებ ვიღებთ შექსპირის „ოტელლოს“ დედა-აზრს, რომ უფრო ადვილი დასანახავი იქნეს, რანაირად ეპყრობა ერთსა და იმავე საგანს მეცნიერი და რანაირად პოეტი.

ხსენებულ თხზულებაში წარმოდგენილია ბრძოლა ორ სხვა-და-სხვა, ერთმანეთის წინააღმდეგ გრძნობას, სიყვარულსა და იჭვიანობას შორის. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ შექსპირი არსად არ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ადამიანში ორი, ერთი მეორის წინააღმდეგი გრძნობის ამ გვარად მოთავსებაო. იგი პირდაპირ მოგვითხრობს მხოლოდ ერთ ვაგალითს იმისას, როგორ მოხდა ერთ დროს და ერთ ადამიანში ეს ბრძოლა.

მეცნიერება კი სხვა-ნაირად უნდა მოიქცეს ამ

შემთხვევაში. მან უნდა გამოიძიოს ჯერ, შესაძლებელია თუ არა მსგავსი მოვლენა ადამიანის სულიერ მდგომარეობაში, და, როდესაც დარწმუნდება, რომ შესაძლებელია, უნდა შეადაროს კიდევ ყველა ეს მსგავსი, მონათესავე, მოვლენები სხვა მოვლენებს, და მებრვე, სანამ არ მიაღწევს ბოლოს იმ სულ უბრალო საერთო თვისებას, ანუ მიზეზს, რომლის შემწეობითაც ადვილი ასახსნელი იქნება თვითეული მოვლენა.

მივუბრუნდეთ ზემოხსენებულ მაგალითს. რომ კაცში ხშირად არის ხოლმე მოთავსებული სიყვარულთან იჭვიანობა, ამის მაგალითი უნახავს ყოველ ჩვენგანს. მაგრამ, რომ კიდევ უკეთ შეეიგნოთ ეს ფსიხოლოგიური მოვლენა, საჭიროა შევადაროთ იგი სხვა მსგავსს მოვლენებს. ამ გვარ მოვლენებს ვხედავთ მრავალს. მაგალითად: ყველას ეშინია კაცის მკვლელობისა, მაგრამ ომის დროს ყოველი კაცი უნებურად ხდება კაცის მკვლელი; ყველას ეცოდება მშიერი კაცი, მაგრამ ახლანდელ კაპიტალისტურ პირობებში კაცს, შიმშილითაც რომ სული ხდებოდეს, არავინ არ შეიბრალებს; არასოდეს არ ყოფილა ისე გაძლიერებული კერძო ინტერესების სამსახური, როგორც ახლა, მაგრამ, სამაგიეროდ არც საზოგადო საქმისათვის ზრუნვა ყოფილა ასე გაძლიერებული. ყველა ამ მოვლენების ერთმანეთთან შედარებიდან აი რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: კაცში არიან მოთავსებული, საზოგადოთ, ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობები; ყოველ გრძნობას ჰყავს თავისი ანტაგონისტი, თავისი მოწინააღმდეგე გრძნობა. ცხოვრება არის მუდმივი ბრძოლა ამ გრძნობებისა, მუდმივი ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა.

მაგრამ ამით არ თავდება მეცნიერული შედარება.

ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ახლა ერთმანეთს ბოროტი და კეთილი გრძნობები. ეს შედარება გვიჩვენებს მათ შორის დიდ მსგავსებას. როგორც კეთილი, ისე ბოროტი გრძნობები წარმოსდგენ ჩვენდა სასარგებლოდ არსებობისთვის ბრძოლაში. ყოველი ბოროტი გრძნობა ოდესაც საჭირო ყოფილა და არ ს'ვენებია კაცს, მაშასადამე, ბოროტად. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი: ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მონობა ძლიერ საჭირო იყო კაცობრიობისათვისო. ანთროპოლოგები ამბობენ, რომ კაცის მჭამელობა საჭირო იყო კაცობრიობის ფიზიოლოგიური გაუმჯობესობისათვისო. აგრეთვე ამტკიცებენ ომის საჭიროებას, სარგებლობას, უწინდელი დროებისათვის, და სხ. და სხ. აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ მაშასადამე ის დასკვნა, რომ ყოველ გრძნობას ერთი და იგივე წყარო აქვს, ერთისა და იმავე მიზეზისაგან წარმოსდგება. განსხვავება გრძნობასა და გრძნობას შუა—ზნეობრივის მხრით—არის მხოლოდ რაოდენობითი და არა ვითარებითი. თუ ერთი გრძნობა კეთილად მიგვაჩნია და მეორე ბოროტად, ეს მიტომ, რომ პირველს მოაქვს მეტი სარგებლობა, ვიდრე მეორეს.

ვერც ამითი გათავდება შედარება. გრძნობა მეტად რთული რამ არის, და არ კმარა, რომ შევუდაროთ ერთმანეთს ერთი და ორი მხარე გრძნობისა. შედარება იმდენია საჭირო, რამდენი სხვა-და-სხვა მხარეცა აქვს გრძნობას. ჩვენს მაგალითში ?ვენ შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს შემდეგი საერთო თვისებანი გრძნობებისა: ყოველი გრძნობა რჩება რამოდენიმე ხანი მას შემდეგ, როდესაც გამქრალა მისი გამაჩენელი მიზეზი; აგრეთვე: ყოველი გრძნობა ჰქრება თან-და-თან, თუ

გამქრალია მისი გამაჩენელი მიზეზი, და ძლიერდება, პირიქით, თუ ხელს უწყობენ გარეშე პირობები.

ჩვენი გამოკვლევით, ჩვენ შევადგინეთ შემდეგი უბრალო, მარტივი ცნება გრძნობაზე. ყოველი გრძნობა იბადება საჭიროების გამო, ჩვენდა სასარგებლოდ, გარეშე პირობების ზედ-გავლენით, და მოითხოვს, სანამ არ გამჰქრალა, დაკმაყოფილებას. ამ გვარი ცნების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ სათავე როგორც ყოველი გრძნობისა, ისე კერძოდ, იქვიანობისა, რომელიც წარმოკვიდგინა შექსპირმა თავის „ოტელლოში“.

ზემო-ხსენებული შედარებები, მართალია, არ კმარა, რომ სრულიად და სავსებით ავღსნათ შინაარსი გრძნობისა; მაგრამ, რაც მეტ მხარეს შევადარებთ გრძნობებისას ერთმანეთთან, რაც უფრო მარტივი იქნება ჩვენი ცნება, ჩვენი წარმოდგენა გრძნობაზე, იმდენად უფრო მიახლოვებული ვიქნებით მის შინაარსს, ნამდვილ ცოდნას, ნამდვილ შეგნებას.

ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს აქ სხვა-და-სხვა მოვლენები და ამ სხვა-და-სხვა მოვლენებში ერთი და იგივე თვისება ვიპოვეთ, აღმოვაჩინეთ. ამგვარ კვლევას ჰქვია მეცნიერული მეთოდი. განსხვავება მოვლენებსა და საგნებს შორის არის რაოდენობითი და არა ვითარებითი. ამიტომ მეცნიერება იმასა ცდილობს, რომ ამ მოვლენებსა და საგნებს შორის მსგავსება იპოვოს. და რადგან ყოველივე საგანი და მოვლენა სულ უბრალო მატერიისაგან და მოძრაობისაგან არის წარმომდგარი, მეცნიერება ყოველსავე რთულ საგანს და მოვლენას ამ მატერიასა და მოძრაობას უახლოებს, ე. ი. ეგაგებინებს, უბრალო მატერიამ და მოძრაობამ რაგვარად შეადგინეს, რაგვარად შეჰქმნეს რომელიმე რთული საგანი ანუ

მოვლენა. ამგვარ დაახლოებას რთული საგნებისა და მოვლენებისას უბრალო, მარტივთან, საგნების ანუ მოვლენების ამგვარად უბრალო მიზეზის აღმოჩენას, ჰქვია უბრალო პრინციპებზე დამყარება მეცნიერებისა.

აი, ამიტომ ადარებს მეცნიერება ერთმანეთს სხვა-და-სხვა საგანსა და მოვლენებს და ცდილობს იპოვოს მათ შორის მსგავსება. ყოველი ამგვარი ერთმანეთთან დაახლოება სხვა-და-სხვა საგნისა და მოვლენისა, ყოველი ამგვარი აღმოჩენა მათი ერთმანეთს შორის მსგავსებისა ბიჯს ადგმევინებს მეცნიერებას წინ მისი მიზნისაკენ, რომელსაც უნდა გვაჩვენოს, რომ საგნები და მოვლენები მსოფლიოში ერთი და იგივე არიან. განვიმეორებთ: მეცნიერების მეთოდი არის საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შედარება და მათ შორის მსგავსების აღმოჩენა.

ავიღოთ ახლა იმის ნიმუში, თუ რა გვარად წარმოსდგენ უბრალო გონებრივი ცნებები. ცნება ხე წარმოსდგა ყველა ხეების ერთმანეთთან შედარებისაგან და ნიშნავს იმას, რაც საერთო აქვთ ყველა ხეებს. ეს ცნება არ გაგვახსენებს ჩვენ არც ერთ ხეს კერძოდ: ვაშლის ხეს, მუხას, წიფელას ან სხვ., არამედ ხეს საზოგადოდ, რომელშიაც გამქრალია ყოველი კერძო თვისება.

იგივე შეიძლება ვსთქვათ ცნება: სიყვარულზედაც. სიყვარულის გრძნობა ბევრ-გვარ სულიერ მდგომარეობაში გამოცხადდება. ყოველ კაცში ერთნაირი არ არის ეს გრძნობა: სხვა-და-სხვა კაცს სხვა-და-სხვა გვარად უყვარს. ჯერ გარდა ერთსა და იმავე კაცსაც სხვა-და-სხვა გვარად უყვარს თავისი სიყვარულის სხვა-და-სხვა საგანი: ერთში შეიძლება მოსწონდეს ერთი მხარე, მეორეში მეორე, მესამეში მესამე და მეოთხე. ერთი სიტყვით, იმდენი

მრავალგვარობა, რამდენიც კაცის მოწონებაშია, არაფერში არ არის. მაგრამ სიტყვა სიყვარული ნიშნავს იმ თვისებას, რომელიც საერთოდ აქვს ყველა ამ სხვა-დასხვა მოწონებას.

იგივე ითქმის ყოველ ცნებაზე საზოგადოდ. ცნება არის საზოგადო თვისება მსგავსი საგნებისა და მოვლენებისა.

მაგრამ გონებას გარდა ადამიანს ჰქონია და ექნება კიდევ გრძნობა. გრძნობა მაშინ აღგვეძვრის, როცა რომელიმე საგანი ანუ მოვლენა ბუნებაში ჩვენს ყურადღებას ჰიიქცევს. საგანი ანუ მოვლენა მთლად, სრულად, მაშინ მიიქცევს ჩვენს ყურადღებას, თუ ყველა ნაწილებს ამ საგნის და მოვლენისას წინადაც ერთად, ერთი მეორის განუშორებლად, უმოქმედნიათ ჩვენზე. ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე მცენარე, თუნდ ვაშლის ხე. როცა ვაშლის ხეს ვხედავთ, იგი მით იზიდავს ჩვენს ყურადღებას, რომ მისი ტანი, შტოები, ფოთლები და ნაყოფები, როგორც, საზოგადოდ ხის, აგრეთვე კერძოდ როგორც ვაშლის ხის, ყოველთვის ერთად მოქმედებდენ ჩვენს გრძნობაზე, ერთად, განუყოფელად, იბეჭდებოდენ ჩვენს მეხსიერებაში. ამისი მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ ამ ვაშლის ხის ნაწილები ჩვენ ყოველთვის ერთად დაგვინახავს, ერთად შეგვიმნევია, არამედ ისიც, რომ ნაყოფის მოსაკრეფად, ჩვენ უთუოდ ტანიც შეგვხვდებოდა, შტოებიც, ფოთლებიც და, ბოლოს, რასაკვირველია, თვით მოსაკრეფი ნაყოფებიც. ამ გვარად, სანამ ნაყოფს მივაგნებდით, მთელ ხეს უნდა გავცნობოდით, და, თუმცა მხოლოდ ნაყოფი გვიძებნია, საქმე მაინც მთელ ხესთან გვქონია. და რადგან ამგვარად ხშირად გვქონია ხოლმე

საქმე ხეებთან, ამიტომ ხის სურათი ისე ღრმად არის შთაბეჭდილი ჩვენს მეხსიერებაში, რომ არამც თუ ნამდვილ ხეს მივაქცევთ ხოლმე ჩვენს ყურადღებას, არამედ უბრალო ფოთოლიც, თვით ფოთლის სურათიც კი მთელ ხის სურათს გაგვახსენებს ხოლმე.

რა მოვლენებიც ერთად მოქმედებდენ ჩვენზე ჩვენს ცხოვრებაში, ის მოვლენები ერთად გაგვახსენდებიან, ერთად აღძრავენ ჩვენში ერთს რომელსამე გრძნობას. ჩვენ ვხედავთ უზარ-მაზარ კლდეს და იგი ჩვენდა უნებურად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. რად? ამგვარ კლდის თავზე გავლის დროს კაცს ისეთი სიბრთხილე ჰმართებს, რომ სხვა ყოველივე უნდა დაივიწყოს და მხოლოდ მისი ფიქრი უნდა ჰქონდეს, რომ კლდეზე არ გადავარდეს. ეს სიბრთხილე მანამ არის საჭირო, სანამ კლდეს არ გასცილდება და ისეთ ალაგას არ გავა, სადაც შიში აღარ იქნება. მაშასადამე, ამგვარი გადასავარდნი კლდე სრულიად სხვაფერ გრძნობას აღგვიძრავს, ვიდრე მიდამო, ბუნება, და ამიტომ, როცა მას ვხედავთ, იგი არ შეგვიძლია გარემო ბუნებისაგან არ გავარჩოთ და ცალკე საგნად არ წარმოვიდგინოთ.

ერთი სიტყვით, ყოველივე, რასაც ჩვენ ბარდაბირი პასუხი უნდა გავსცეთ, რომ,—თუ სასარგებლოა,—მოვიხმაროთ, და,—თუ მავნებელი,—თავიდან ავიშოროთ, აღძრავს ჩვენში რომელსამე გრძნობას. მაშასადამე, ყოველი გრძნობა არის მიზნიანი, არის პასუხის-გება გარეშე, სასარგებლო ანუ მავნებელი მოვლენებისადმი.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი იმისი, თუ რა გვარად განირჩევა გრძნობა გონებისაგან. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ იმყოფებით ერთ მშვენიერ დილას

სერზე, საიდამაც დასცქერით თქვენ წინ გადაშლილ ბუნებას. ახალი გაზაფხულია. მთელი ბუნება შემოსილია მწვანით, ყველაფერში ტრიალებს სიცოცხლე. თქვენ ხედავთ ტყეებს, ბუჩქნარებს, მინდვრებს, დიდ წყლებს, წყარო-ჩანჩქრებს, ღელეებს, კლდეებს. ამომავალი მზე მშვენიერ ფერს სდებს ბუნებას, დილის სიგრილე გულს აცოცხლებს, მცენარეები აღმოაფშვენენ საამო სუნნელებას. ისმის ყოვლგნით ფრინველების ჟრიამული და მოძრაობა... და ყველა ეს ავსებს თქვენს გულს გამოუთქმელი სიამოვნებით. ამ თქვენს სიამოვნებაში თვითოეულ მოხსენებულ საგანსა და მოვლენას უდევს წილი, ამ დროს ყველა ერთად მოქმედებს თქვენზე. და გრძნობა არის მოქმედება იმ გვარი საგნებისა და მოვლენებისა, რომელნიც ერთად იმყოფებიან ბუნებაში და ერთად მოახდენენ შთაბეჭდილებას ჩვენზე. ამასთანავე ყველა ამ მოვლენების ერთბაშად მოქმედება ძლიერ სასარგებლოა კაცისათვის. რად? რადგან ამ დროს ერთბაშად მოქმედებდენ ყველა ჩვენი გრძნობები და მოქმედებენ ისე, რომ არც ერთი არ იღალება, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ერთი რომ დაიღალება, მეორე მოქმედებს, სანამ პირველი დაისვენებდეს. ამასთანავე რაკი გრძნობა ყველა ორგანოებშია განაწილებული, გავრცელებული, არცერთ ორგანოს არ ადგია დიდი ძალა; და ზომიერი მოქმედება გრძნობებისა, როგორც შემდეგ იქნება დამტკიცებული, ძლიერ სასარგებლოა სხეულისათვის.

ამგვარად, რომ მოვლენებმა იმოქმედონ ჩვენზე, არ კმარა, რომ ერთად იმყოფებოდენ ბუნებაში; საჭიროა კიდევ, რომ ან გვაკვნონ ან გვასარგებლონ.

მაგრამ ხშირად ისეთი მოვლენები მოახდენენ ხოლ-

მე ჩვენზე ერთს მთელ შთაბეჭდილებას, აღძრავენ ჩვენში ერთს მთელ გრძნობას, რომელნიც ერთსა და იმავე დროს არ იმყოფებიან, არამედ სხვა-და-სხვა დროს, ერთი მეორეს შემდეგ მოხდებიან ხოლმე. ავიღოთ ხსენებული თხზულება შექსპირისა „ოტელლო“. იჭვიანობა, რომელიცა აქვს გამოხატული შექსპირს თავის თხზულებაში, ერთი განსაკუთრებული გრძნობაა, განსხვავებული სხვა გრძნობებისაგან. მაგრამ შექსპირმა დახატა ამ გრძნობის წარმოსადგენად მისი (იჭვიანობის) სხვა-და-სხვა ფაზისები, რომელნიც ეკუთვნიან სხვა-და-სხვა დროს, თუმცა კი ერთმანეთს გამოიწვევენ. ამ სხვა-და-სხვა დროს მომხდარ ფაზისებს ისე მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთს შორის, რომ ყველა ერთად შეადგენენ ერთს მთელს, იმას, რასაც იჭვიანობას უწოდებენ. ამ-გვარად, იჭვიანობის სისრულით და სავსებით დასახატავად, შექსპირმა წარმოგვიდგინა ამ გრძნობის ფაზისები ისე, როგორც შესაძლებელია, რომ მოხდეს ცხოვრებაში. მან მხოლოდ ერთ მაგალითზე გვიჩვენა, რანაირად ძლიერდება და, საზოგადოთ, რანაირია იჭვიანობა, და ამისთვის სრულებით არ დასჭირვებია ზემოხსენებული სამეცნიერო კვლევა.

ზემოდ ვსთქვით, რომ პოეზია არის მხოლოდ უმაღლესი განვითარება გრძნობისა, რთული გრძნობა. მაშასადამე, პოეზიის საგანს შეადგენენ ის მოვლენები, რომელნიც ერთად იმყოფებიან სივრცეში და ერთი მეორეს გამოიწვევენ დროს განმავლობაში, და მოახდენენ ამასთანავე ჩვენზე ერთ მთელ შთაბეჭდილებას, აღძრავენ ჩვენში ერთ მთელ გრძნობას.

როგორც ვხედავთ, ხელოვნებასა და მეცნიერებას შუა დიდი განსხვავებაა. ხელოვნებას აქვს საგნად იმ

გვარი მოვლენები, რომელნიც ერთად ან ერთი მეორეს შემდეგ მოქმედებენ. მეცნიერება კი, ადარებს-რა მოვლენებს ერთმანეთთან, არ დასდევს, ერთად არიან თუ არა ან ერთი მეორეს მისდევენ თუ არა ეს მოვლენები. იგი (მეცნიერება) ადარებს ხოლმე ერთმანეთს ისეთს მოვლენებს, რომელთაც მილიონი წლების და აუარებელი ვერსების სიშორე ჰყოფს ერთმანეთისაგან და რომელთა შორისაც ისე დიდი განსხვავებაა, რომ ერთად არ გაახსენდება კაცს. ხელოვნური ლიტერატურა ეხება იმ გვარ გარეშე მოვლენებს, რომელნიც პირდაპირ ავნებენ ანუ პირდაპირ ასარგებლებენ კაცს, ანუ იმ გვარ გრძნობებს, რომელნიც არიან პირდაპირი პასუხის გება ამ გარეშე მოვლენებისადმი. მეცნიერება კი შეეხება საგნებისა და მოვლენების საერთო თვისებას, რომელსაც არაფერი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს კაცის ცხოვრებასთან. ამას გარდა გრძნობები ძლიერ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მრავალგვარი არიან, მეცნიერული ცნებები კი უფრო ერთგვარი არიან.

ფილოსოფურად რომ შევხედოთ, ეს განსხვავება გამოვა ბოლოს-და-ბოლოს რაოდენობითი და არა ვითარებითი. საგანს, რომელსაც შეეხება მეცნიერება, თუმცა პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენთან, მაგრამ საბოლოოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. საგნებისა და მოვლენების საერთო თვისების მონახვა გვაძლევს ჩვენ ხელმწიფებას ბუნებაზე, ანუ საშუალებას, რომ გამოვიყენოთ ჩვენთვის ბუნების ძალები. ყოველი თეორია ყოფილა მიზეზი მრავალი გამოგონებისა, რომელსაც ჰქონია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, თუმცა ხშირად, ერთი შეხედვით, ძნელი საფიქრებელი

ყოფილა ხოლმე, რომ ამ ან იმ თეორიას შესძლებოდა, პრაქტიკულად გამოდგომოდა რაშიმე კაცობრიობას.

ამას გარდა გრძნობასა და გონებრივ ცნებას აქვთ კიდევ ის საერთო თვისება, რომ ყოველი გონებრივი ცნება არის წარმომდგარი გრძნობისაგან. გავიხსენოთ: გონებრივი ცნება მაშინ წარმოსდგება, როცა ერთმანეთს შევადარებთ ორს ან ბევრ გრძნობას ანუ შთაბეჭდილებას. მაშასადამე, დასაწყისი ყოველივე ცნებისა არის პირველ-დაწყებითი შთაბეჭდილება, ანუ უბრალო გრძნობა. მეორე მხრით გრძნობაც ხშირად არის ხოლმე ორ-ყოფი, წარმოადგენს ორი ანუ რამდენიმე გრძნობის შედარებას ერთმანეთთან, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში შედარება არ არის მიზანი თავის-თავად. მაგრამ განსხვავება მაინც რაოდენობითი გამოდის და არა ჯითარებითი.

რაც შეეხება იმას, რომ გრძნობა წარმოსდგება იმ მოვლენებისაგან, რომელნიც ერთად იმყოფებიან ბუნებაში, და მეცნიერება-კი შეეხება ისეთ ფოვლენებს, რომელნიც ძლიერ შორს არიან ერთმანეთზე, სიშორე წარმოადგენს მხოლოდ რაოდენობით, რიცხვით განსხვავებას. იგივე შეიძლება ითქვას მრავალფერობაზედაც.

მაშასადამე, ერთი მხრით, მეცნიერებაც გრძნობაა და მეცნიერებასაც პრაქტიკული მიზანი აქვს. განსხვავება მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის არის რაოდენობითი, მეცნიერება შეეხება ისეთ საგნებს, რომელთაც ერთად ვერ ხედავს კაცი, და მოაქვს სარგებლობა არა პირ-და-პირ, არამედ შორეულად, შუამავლობით, ხელოვნება კი — იმ-გვარ საგნებს და მოვლენებს, რომელთაც კაცი ერთად ხედავს და აქვთ პირდაპირი კავშირი მასთან.

მაგრამ, თუმცა რაოდენობითია, ეს განსხვავება ძლიერ დიდია, შეეხება შინაარსს ისე, როგორც გარეგან ფორმას. მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ორ საგანს შორის არის არსებითი განსხვავება,— აზრი, რომელსაც არ ეთანხმება ბ-ნი სკაბიჩევსკი.

თავი მეორე.

სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობები.

ჩვენ ვსთქვით წინა თავში, რომ ყოველი გრძნობა არის მიზნიანი, ე. ი., გვაგებინებს, რა არის სასარგებლო და რა არის მავნებელი. მაგრამ რით არის სასარგებლო ან მავნებელი რომელიმე მოვლენა ან საგანი? ყოველივე, რაც ახანგრძლივებს ჩვენს არსებას, არის სასარგებლო, და რაც ამოკლებს,—მავნებელი. რა ახანგრძლივებს ჩვენს არსებას? ზომიერი მოძრაობა, მოქმედება. ზომიერი მოძრაობა, მოქმედება, არის სათავე ტან-მთელობისა, განვითარებისა. სიზარმაცე, უქმად-ყოფა ამოკლებს სიცოცხლეს, არის, მაშასადამე, მავნებელი. მავნებელია აგრეთვე უზომო, წრე-გადასული მოქმედება. მაშასადამე, ყოველივე ის, რაც ზომიერად ამოქმედებს ჩვენს ორგანოებს, არის სასარგებლო, რაც ზომაზე მეტად ან ნაკლებად,—მავნებელი. მაგრამ რით ვტყობილობთ ამ ზომას? სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობით. რაც სასარგებლოა, რაც ზომიერად ამოძრავებს სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილებს,

ის აღძრაავს სასიამოვნო გრძნობას, რაც არა--უსიამოვნოს. აი, ეს აზრი, უნდა ვეცადოთ, დავამტკიცოთ ამ თავში.

ა) სასიამოვნო გრძნობები.

ჩვენ მოგვწონს შენობის თაღებად გადაყვანილი ცა*). რად? მიტომ, რომ, როდესაც თაღიან ცას ვუყურებთ, თვალი არ იღალება. როცა რომელიმე საგნის ზედა-პირი თაღის სიმრგვლეს არ წარმოადგენს, როდესაც ამ ზედა-პირის სხვა-და-სხვა ნაწილები ნელ-ნელა, თან-და-თანობით, თაღად, არ გადადიან ერთი მეორეში, არამედ წვეტიანი, უსწორ-მასწორო, კუთხეებიანი არიან, ამგვარ ზედა-პირზე თვალის გაჩერება უფრო ძნელია. განვიმეორებთ, როცა თაღს უყურებს, თვალი არა სწუხს, ისვენებს და, ამიტომ, სიამოვნებს. და როცა სხეულის ერთი ნაწილი სიამოვნებს, მაშინ ეს სიამოვნება ვრცელდება მთელ სხეულში, მთელ სხეულს ავსებს სიამოვნებით, ყველა სხეულის ნაწილებს სასიამოვნოდ ამოძრაავებს. და ეს სასიამოვნო ჟრუანტელი, რომელიც დაივლის ხოლმე მთელ სხეულში, ძლიერ სასარგებლოა: რაკი მოძრაობა მოემატებათ, ყველა ნაწილები სხეულისა უკეთ შეასრულებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას: კუჭი და წელები მეტ გადასახარშავ წვენს გამოადენენ, სისხლი უფრო ჩქარა დაიწყებს რბენას, და სხ. და სხ. ამას გარდა ზომიერი მოძრაობა აცხოველებს ნერვებს: სიკოცხლე მოძრაობაა. სიამოვნება არის ნერვის მოძრაობა, რაც უფრო ხშირად სიამოვნებს ნერვი, იმდენად უფრო ხშირად მოძრაობს,

*) იხილე სპენსერის ფსიხოლოგია ამ საგანზე.

იმდენად უფრო ადვილია მისთვის ამ გვარი მოძრაობის განმეორება, იმდენად უფრო ფხიზლდება, ვითარდება, მატულობს იგი ცხოველ-მყოფელ ძალას. როცა შემთხვევა რამე სიამოვნებას მოგცემსთო, ამბობს შოპენჰაუერი, იმის გამოკვლევას ნუ დაიწყებთ, გაქვსთ სწორედ ნამდვილი საბუთი ისიამოვნოთ, თუ არაო. ყოველს სიამოვნებას ხელ-გაშლით უნდა შეხვდეთო, იმიტომ რომ მხოლოდ სიამოვნება არის მოგება და სხვა ყოველივე წაგებაო.

იგივე შეიძლება ითქვას, კიდევ მეტი უფლებით, სიმღერის შესახებ. ფიზიოლოგიურად არის დამტკიცებული, რომ სიმღერის დროს კუჭი უკედ ინელებს საჭმელს. ამგვარადვე მოქმედებს შვენიერი ბუნების სურათი და ყოველივე, რაც ასიამოვნებს კაცს. ამიტომაა, რომ უფრო დიდხანს სძლებს მხიარული კაცი, ვიდრე დარდიანი.

რად არიან გემრიელი ზოგიერთი საჭმელები? მიტომ რომ ზომიერად აღძრავენ გემოვნების ნერვებს; რად ესიამოვნება კაცს ზომ-ერი ფიზიკურად მუშაობა, გავლა-გამოვლა, თამაში? მიტომ რომ ყოველივე ეს ზომიერად აღძრავს ნერვებს. ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ ამგვარი მაგალითები დაუბოლოებლად. მაგრამ ესენიც კმარა გასაგებად, რომ, რაც სასარგებლოა, ანუ, რაც ზომიერად ავარჯიშებს სხეულს, არის სასიამოვნო.

რომ კიდევ უკეთ დავსაბუთოთ ჩვენი აზრი, მოვიყვანთ კიდევ რამდენსამე მაგალითს. ზომიერი ღვინის სმა სასიამოვნოა მიტომ, რომ ზომიერად აღაგზნებს ნერვებს; ყოველი ჯიბრი, ცილობა, რაშიაც უნდა იქნეს ეს ჯიბრი, სიამოვნებას აძლევს კაცს, თუ წრეს არ არის გადასული. ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ყოველივე ის, სადაც

ზომიერი ჯიბრია, მაგ. ბანქოს თამაში,—მოსაწონია. როცა უკეთესი დროს გასატარებელი გვაქვს, უარესს არ უნდა მივმართოთ. აქ მხოლოდ იმის მიზეზს ვხსნი, თუ რად აძლევს კაცს სიამოვნებას ისეთი,—ერთი შეხედვით, —უბრალო რამ, როგორც მაგ. ბანქოს თამაში.

კაცს დიდ სიამოვნებას აძლევს, ბედნიერად ჰხდის, ზომიერება სქესობრივ სიყვარულში, რადგან, ამ ზომიერების გამო სხეული არ ილახება, არ იქანცება.

დიდ სიამოვნებას გვაძლევენ აგრეთვე ზნეობრივი გრძნობები, თუ ავი პირობების გამო წრეს არ გადასცილდენ.

ვერაფერი სიამოვნება ვერ შეედრება გონებრივი მოქმედებისაგან წარმომდგარ სიამოვნებას, როდესაც კაცი თავის თავს ძალას არ დაატანს და ერთბაშად არ დახარჯავს მთელ თავის ენერგიას. მაშინ თან-და-თანი, ზომიერი შრომით, იგი მიაღწევს მეტ ზომას, მეტ ხარისხს, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ ეს დიდი გონებრივი მუშაობა არამც თუ არ მისცემს სხეულს არაფერ ზიანს, არამედ, პირიქით, მოუმატებს ძალას და სიმხნეს.

ბ) არა სასიამოვნო გრძნობები.

ახლა მოვიყვანოთ იმის მაგალითები, რომ ის, რაც მავნებელია, არის მასთანვე უსიამოვნო.

ავიღოთ ჯერ საჭმელები: მწარე და მჟავე საჭმელები, საზოგადოდ, საწამლავები არიან. *) თუმცა ხშირად ხმარობენ ხოლმე საჭმელად ცოტათი მჟავე და ცოტათი მწარე საჭმელებს, რადგან ეს საჭმელები ოდნავ აღაგზნე-

*) სპეკსერი.

ბენ ნერვებს და აძლევენ მათ სიამოვნებას, მაგრამ ძლიერ მწარე და ძლიერ მჟავე საჭმელები ძლიერი საწამლავები არიან და ერთბაშად ხრწნიან ნერვებს.

მართალია, არიან ისეთი საწამლავები, რომელთაც არაფრის გემო არა აქვთ, არიან ისეთებიც, რომელთაც აქვთ ტკბილი გემო, მაგრამ ამ გვარ საწამლავებზე ჯერ ერთი ეს უნდა ითქვას, რომ კაცი იმათ ძვირად შეხვედრია ბუნებაში და არ შეუწყვია თავისი სხეული მათთვის პასუხის საგებლად, და მეორე რომ ეს საწამლავები წუთიერ სიტკბოების შემდეგ ხომ დიდ წვალებას აყენებენ სხეულს.

რადა აქვს ხოლმე ცუდი ბოლო ნამეტანს, მოულოდნელ სიხარულს? რადგან მეტის-მეტი აღელვება ნერვებს ნამეტან ძალას აყენებს, აფუჭებს, შლის. ამიტომ ნამეტან სიხარულს ხშირად ჭკუაზე შეშლაც კი მოსდევს ხოლმე, და გულის-შემოყრა ხომ კიდევ უფრო ხშირად. ამგვარად, ნამეტანი უცები სიხარული ხშირად ნამეტან შეწუხებად იქცევა, რადგან მავნებელია.

ჯავრი რომ მავნებელია კაცისთვის, ეს ყველამ იცის. რითია მავნებელი? მით, რომ ნერვებს ნამეტან ჯაფას აყენებს.

მეტის-მეტი გონებრივი მოქმედება, რასაკვირველია, დიდად მავნებელია, რადგან ტვინის დაქანცვა, დასუსტება მოჰყვება ხოლმე. პირველად, ერთ რომელსამე წერტილამდის, ძლიერ სასიამოვნოა გადამეტებული გონებრივი მუშაობა, მაგრამ ამ საზღვარს იქით, როდესაც ტვინი ისე დაიქანცება, რომ მცირეოდენ ჯაფასაც კი ვეღარ შესძლებს, მშვიდობით ყოველგვარო სიამოვნებავ! იწყება ყოველ გვარი ტანჯვა, ფიზიკური და ზნეობრივი...

თუ ყველგან მავნებელია მეტის-მეტობა, ყველაზე უფრო მავნებელი სქესობრივი სიყვარულის დაკმაყოფილებაშია. თუმცა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს ადამიანი, როგორც ცხოველი, ყოველთვის დიდ სიამოვნებას გრძნობს ხოლმე, მაგრამ, მეტის-მეტობის გამო, მალე ილახება. ტყდება, ბერდება, ჯავრიანდება... ვისაც გაზვიადებული აქვს სქესობრივი მოთხოვნილება, მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ უბედური. მაშასადამე, მეტის-მეტობა სქესობრივ მოქმედებაში არის მიზეზი ხანგრძლივი უსიამოვნებისა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მავნებელია ის მიზეზი, რომელიც ჰშობს უსიამოვნო გრძნობებს, თვით გრძნობა, თვით ტკივილი, ზნეობრივი იქნება ეს ტკივილი თუ ფიზიკური, სასარგებლოა ჩვენთვის, რადგან იგი გვიხელს თვალს იმაზე, სადაც სიბრთხილე გვიმართებს. მაგალითად, ხელში ეკალი შეგესოთ. თუ არ გეტკინათ ხელი, ისე ვერც კი გაიგებთ, თუ თქვენს ხელს რამე ზიანი მოუვიდა. მაგრამ ტკივილის გრძნობა გატყობინებსთ თქვენ, სად უჭირს თქვენს სხეულს და ამით გაძლევსთ საშუალებას განათავისუფლოდ ნატკენი ნაწილი ეკლისაგან. იგივე ითქმის ყოველ ავადმყოფობაზე; ამგვარ კანონს ემორჩილება ზნეობრივი მხარეც. თქვენ ზრდით შკილს. თუ არ გებრალებათ, მაშინ ყურადღებასაც არ მიაქცევთ. მაშასადამე, სულიერი ტანჯვა საჭიროა, რომ თქვენ იგი კარგად აღზარდოთ, რასაკვირველია, თუ ზომას არ გადადის ეს ტანჯვა.

თავი მესამე.

რიი განსხვავდება ხელოვნური თხზულება არა-ხელოვნურისაგან.

ჩვენ დავინახეთ უკანასკნელი თავიდან, რომ ყოველივე, რაც კი სასარგებლოა, არის სასიამოვნო. მაგალითად, ქინა-ქინა სასარგებლოა ავადმყოფისათვის და ამიტომ, თუმცა მწარეა, რა-კი სპობს ავადმყოფობას, ანიჭებს კაცს სიამოვნებას ტანმრთელობისას.

აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა ხელოვნური ლიტერატურის შესახებ. ხელოვნური თხზულება უნდა ჰქადაგებდეს კეთილშობილურ აზრებს და გრძნობებს; მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო მისი კითხვა, მხოლოდ ამგვარ თხზულებას შეუძლია მისცეს კაცს ნამდვილი სიამოვნება. თხზულება შეიძლება იქნეს სასარგებლო მაშინაც, როდესაც აღძრავს ჩვენში მწარე ფიქრებს და გრძნობებს, რომელნიც გვიხელენ თვალს სხვის უბედურებაზე და აღძრავენ ჩვენში სურვილს შველისას. ამ შემთხვევაში შეიძლება, კითხვის დროს, უსიამოვნებაც იგრძნოს კაცმა, მაგრამ ამ კითხვის მიზეზით, იგი ხდება ალტროისტად, გაჭირვებულთა შემწედ და დამხმარებლად, და ამ გვარი მოღვაწეობა ხომ ძლიერ სასიამოვნოა კაცისთვის. მაშასადამე, ამგვარ მწარედ დამაფიქრებელ თხზულებათა კითხვა გამოიწვევს ბოლოს და ბოლოს ხანგრძლივ სიამოვნებას, და ყოველი თხზულება, რომელიც მოგვიწვევს ჩვენ გაჭირვებულთა დახმარებისადმი, ანუ რაც იგივეა, საზოგადო მოღვაწეო-

ბისადმი, თუ კი არ ეწინააღმდეგება სხვა პირობებს ხელოვნებისას, უნდა ჩაითვალოს ხელოვნურად.

მაგრამ, თუ თხზულებაში მეტის-მეტად გაზვიადებულია უსასოება და უიმედობა, იმედის ნაპერწკალიც არა სჩანს, თუ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეუძლებელია ბრძოლა ბოროტებასთანა, თუ იგი ხედავს მხოლოდ ბოროტებას, მის ძლევამოსილებას ცხოვრებაში და არ ჰფიქრობს, რომ ყველგან, სადაც-კი ბოროტებაა, მისი ანტაგონისტი—კეთილიც არის, ამგვარი თხზულება აგდებს მკითხველს სასოწარკვეთილებაში, აგდებინებს ხელიდგან იარაღს ქველმოქმედებისას და არის მაინებელი მისთვის.

ამავე მიზეზის გამო, რაც უნდა სასიამოვნო იყოს წუთიერად გამრყვნელი თხზულების წაკითხვა, რაც უნდა დაკმაყოფილებული იყვნენ სხვა მხარეები ხელოვნებისა, ამ გვარი თხზულება მაინც არ ჩაითვლება ხელოვნურად.

აგრეთვე თხზულება, მქადაგებელი მავნებელი აზრებისა, რაც უნდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდეს მკითხველზე წაკითხვის დროს, ცუდ გავლენას იქონიებს იმაზე, დაუბნევს მას გზას და მიაყენებს ბევრ-გვარ უსიამოვნებას. ამგვარი თხზულება, რასაკვირველია, ვერ იქნება ხელოვნური. პირ-იქით, რა-კი ავს კეთილად აღიარებთ და კეთილს ავად, რაც უფრო ლამაზად, მშვენიერად, იქადაგებთ, მით უფრო საზიზღარი იქნება თქვენი სიტყვა.

ამგვარად, თხზულება არ უნდა განიზომებოდეს მხოლოდ წუთიერი საზომით. კრიტერიუმი ხელოვნებისა უნდა იყოს ის, სასარგებლოა თუ არა ეს ან ის თხზულება მკითხველისათვის; მაშასადამე, კრიტერიუმად

უნდა ჩაითვალოს, გარეგან ფორმას გარდა, შინაგანი მსარე, მიმართულება.

ახლა შევუდგეთ ხელოვნური თხზულებების მეორე თვისების განხილვას. ჩვენ ვეცადეთ დაგვემტკიცებია პირველ თავში, რომ გრძნობა არის მიზნიანი. მაშასადამე, გრძნობა მით მეტია, რაც უკეთ არის შესრულებული ეს მიზანი. ამიტომ ხელოვანი ლიტერატორი უნდა ხატავდეს ისეთს მოვლენებს, მან უნდა შეათანხმოს ეს მოვლენები ისე, რომ რაც შეიძლება უკეთ ასრულდეს მიზანი, რომელიც უნდა გამოსჩვირდეს ამ ერთად შეთანხმებულ მოვლენებში. ზოგი ამბობს, რომ ხელოვანი ლიტერატორი უნდა ხატავდეს ბუნებას პირდაპირაო, ხელოვნური ლიტერატურა უნდა იყოს ფოტოგრაფიული სურათი ბუნებისაო. ეს შემცდარი აზრია. სურათი, საზოგადოთ, ბევრად ნაკლებ მოქმედებს კაცზე, ვიდრე ნამდვილი. რაფაელ სანციოს მადონასთანა ქალი რომ დაინახოთ ნამდვილ ბევრად უფრო მოგეწონებათ, ვიდრე თვით რაფაელის მადონა. პირდაპირ ფოტოგრაფიული სურათები ახდენენ ადამიანზე მკრთალ შთაბეჭდილებას. რომ სურათმა მოახდინოს შთაბეჭდილება, საჭიროა იგი წარმოადგენდეს საუკეთესო საგანს თავის გვარში, საჭიროა, გაგვახსენებდეს იდეალურ, ტიპიურ მოვლენას. სისრულე არ არის ბუნებაში და ცხოვრებაში. სრული არსება, ტიპიური მოვლენა ძნელი მოსანახავია. ამიტომ ხელოვანმა ლიტერატორმა, საჭიროა შეისწავლოს ბუნება და ცხოვრება და ამოარჩიოს შესწავლილ საგნებში და მოვლენებში თავის ხელოვნების საგნად ის, რაც უკეთ მიაღწევს მიზანს, რაც უფრო იდეალურია. შესწავლა მიტომ არის საჭირო, რომ რაც უკეთ ეცოდინება ცხოვრება და ბუნება, რაც მეტი

გამოცდილება ექნება, იმდენად უფრო გაუადვილდება ეს საქმე, იმდენად უფრო სრული იქნება მისი შემოქმედება. გამოცდილება არის ერთად ერთი წყარო, რომლისაგანაც წარმოსდგება ხელოვნური ნიჭი, როგორც ყოველი სხვა თვისება ადამიანისა და, საზოგადოთ, ცხოველისა. ხელოვნური ნიჭი არის თანშობილი, მემკვიდრეობით გადამავალი თაობიდან თაობაზე. მაგრამ, თუ არ ავარჯიშა პატრონმა, იგი (ნიჭი) მოიკლებს, დამცირდება. შთამომავლობა ვალდებულია განაგრძოს შრომა წინაპრებისა, განავითაროს ნიჭი, გადმოცემული მშობლებისაგან.

განვიმეოროთ, ხელოვანმა ლიტერატორმა უნდა ამოარჩიოს ცხოვრებიდან ტიპიური, არსებითი მოვლენები. ყოველივე, რაც არ ემსახურება იდეალს, რაც არ არის საჭირო იდეალისათვის, უნდა გააცალოს მან სურათს იმიტომ, რომ ყოველივე ეს დაჰფარავს ამ სურათს და წაახდენს შთაბეჭდილებას. მაგალითად, თქვენ გნებავთ გამოხატოთ კაცის სიცქვიტე. ამისათვის, თუ იდეალი გნებავთ დახატოთ სიცქვიტისა, უნდა შეადაროთ კაცი ამ მხრივ ვეფხვს. თუ გნებავთ გამოხატოთ კაცის ძალა,—უნდა შეადაროთ ლომს. ქალის სიმშვიდეს გამოხატავს მტრედი. არაფერი არ ეზიზღება კაცს ისე, როგორც გველი. გველი მიაჩნია კაცს ცბიერებისა და ბოროტების განხორციელებად: ამიტომაც იტყვიან ხოლმე ცბიერ და ბოროტ კაცზე, გველი არისო. არაფერი არ შეეზარება კაცს ისე, როგორც კაცის-მკვლელი, კაცის სისხლში ხელებ-გასვრილი. ამიტომ, თუ გნებავთ დახატოთ ნათლად ვისიმე ბოროტება, საკმაოა თქვათ, კაცის სისხლში აქვს ხელები გასვრილიო. ებრაელ ფარისეველებზე იმდენი ავი გაგვიგონია, რომ მათს სახელს ვხმარობთ კაცის ბოროტებისა და ცბიერების

გამოსახატ ვად. უნებურად მაგონდება აკაკისაგან გამოხატული სურათი ბოროტი კაცისა:

სისხლით უყარდა ხელი,
გულში ედგა მას გველი
და შუბლზედ კი ეწერა
შავად: ფარისეველი.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ზემო-მოყვანილი შედარებანი ძლიერ განსხვავდებიან მეცნიერულ შედარებისაგან. მეცნიერება ადარებს საგანსა და საგანს, მოვლენასა და მოვლენას მიტომ, რომ დაივიწყოს მათი განსაკუთრებული თვისებები და მიაქციოს ყურადღება მხოლოდ საერთო, საზოგადო თვისებებს. ხელოვანი ლიტერატორი-კი მიტომ ადარებს ერთმანეთს ორ საგანს, რომ უკეთ გამოხატოს, უკეთ წარმოადგინოს ერთ-ერთ საგნის განსაკუთრებული თვისებები. ხელოვნური შედარება არის გადატანა ერთი საგნის თვისებისა მეორე საგანზე. მაგალითად, როდესაც კაცს ვადარებთ ლომს, ჩვენ გადმოკვაქვს ლომის თვისებები კაცზე. ამიტომ, ამგვ რი შედარებით, თვისებები იმ საგნისა, რომელსაც ჩვენ ვადარებთ სხვა საგნებს, კი არ ჰქრებიან ჩვენს წარმოდგენაში, არამედ მატულობენ, ძლიერდებიან. მეცნიერება აქცევს უმთავრეს ყურადღებას საერთო თვისებას სხვა-და-სხვა საგნისას, ხელოვნება-კი ცდილობს კარგად გამოხატოს მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განსაკუთრებული თვისებები.

ამგვარად, პირველი ვალი ხელოვნებისა არის, დახატოს მოვლენები ისე, რომ იდეალურად გამოხატავდენ, წარმოადგენდენ რამე მიზანს. ეს იდეალი უნდა მოძებნოს ხელოვანმა ლიტერატორმა ცხოვრებაში და ბუნე-

ბაში. მაგრამ მზა-მზარეული იდეალი არსად არის. ამიტომ, განვიმეორებთ, ხელოვანმა უნდა გამოარჩიოს საგნის ან მოვლენების არსებითი თვისებები და გამოტოვოს იმ გვარნი, რომელნიც არ არიან საჭირო მიზნისათვის. მან უნდა დახატოს მოვლენები ისე, როგორც არიან ბუნებაში, იმნაირი შედეგობით და იმნაირი თანდა-თანობით; მხოლოდ ეს მოვლენები ამორჩეული უნდა იყვნენ თავის გვარ მოვლენათა შორის, უნდა შეადგენდენ არსებით თვისებებს იდეალისას, უნდა იყვნენ განწმენდილი და განთავისუფლებული ყოველი არაარსებითი მოვლენისაგან, რომელიც ხელს უშლის იდეალს, ფარავს მიზანს.

აქ უნდა შეკეხოთ ერთ ფრიად შემცდარ აზრს, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ გავრცელებულია. მწერლების უმეტესს ნაწილს დღესაც კიდევ „ტიპის“ დახატვა ‘ოვლენების გაერთგვარება ჰგონია. შეიძლება ეს შემცდარი აზრი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ, როდესაც მწერალი ხატავს ტიპს, ამით იგი გვამცნევს ჩვენ ახალ თვისებებს ჩვენსას, მას, რასაც ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით, რაც ჩვენთვის ფარული იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს კიდევ გაერთგვარებას. შეიძლება მოგზაურმა დახატოს შვენიერი სურათები ახალი, ჩვენგან უნახავი ქვეყნებისა, მაგრამ ნუ თუ ამგვარი სურათების დახატვა გაერთგვარება იქნება?! მართალია, ხელოვანი ლიტერატორი ხედავს მას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, ხატავს ნათლად და ცხადად მას, რაც ჩვენთვის ბნელით მოცულია, მაგრამ მისი სურათი, მისი ნაწარმოები, არის გრძნობის ნაყოფი და არა მეცნიერული გაერთგვარებისა. ამბობენ, რომ ტიპსა აქვს საერთო თვისებები მრავალი ადამიანისაო. რასაკვირველია: თქვენ

ვერ იპოვით ისეთ თვისებას, რომ ცოტად თუ ბევრად არ ჰქონდეს მრავალს. რა განსაკუთრებული თვისებაც უნდა დახატოთ, ყოველთვის იქნებიან ისეთები, რომელნიც მიეახლებიან თავისი თვისებებით თქვენს სურათს. ვთქვათ, თქვენ დახატეთ იდეალურად—ლამაზი ქალი, ანუ ტიპი ლამაზი ქალისა. რასაკვირველია, რომ ბევრი იქნება ქვეყანაზე ისეთი, რომელიც მიუახლოვდება ამ იდეალს, მაგრამ, იდეალური სილამაზის დასახატავად, საკმაოა დახატოთ ერთი იდეალურად ლამაზი ქალი. შეგიძლიათ სხვანაირადაც მოიქცეთ. ვთქვათ, თქვენ შეამჩნიეთ ერთ ქალს შვენიერი თვალები, მეორეს შვენიერი ტანადობა, მესამეს კიდევ სხვა თვისება სილამაზისა. თქვენ შეგიძლიათ შეაერთოთ ეს სხვა-დასხვა თვისება სხვა-და-სხვა ქალისა და დახატოთ ლამაზი ქალი, რომელშიაც ერთად იქნება შეზავებული ყველა ეს თვისებები. ამ შემთხვევაშიაც თვითეული ქალის შვენიერი თვისება გექნებათ თქვენ შეტყობილი არა მეცნიერული გაერთგვარების მეოხებით, არამედ გრძნობით: ლამაზი თვალების, შვენიერი ტანადობის და სხ. შემტყობი გრძნობაა. მაგრამ სხვა-და-სხვა თვისებების ჰარმონიული შეერთება? ესეც გრძნობის საქმეა, რასაკვირველია. ჰარმონია მოითხოვს, რომ ყველა ნაწილები, რაც შეიძლება, იდეალურად ემსახურებოდენ მიზანს, იდეალს. მაგალითად, ყველა ნაწილები ლამაზი ქალის სხეულისა უნდა იყვნენ შეერთებული ისე, რომ თვითეული არამც თუ ხელს არ უშლიდეს სხვას, არა-

მედ ხელს უწყობდეს, ეხმარებოდეს სიცოცხლისა და სილამაზის მოსამატებლად. მაგრამ მეცნიერებას შეუძლია განა გამოიანგარიშოს მათემატიკურად, რა ადგილი უნდა ეჭიროს თვითეულ ნაწილს, თვითეულ თვისებას?! მართალია, მეცნიერება ეხმარება მხატვარს ამ შემთხვევაში, მაგრამ მხატვარი ხელმძღვანელობს ამ დროს, უმთავრესად, თავისი განვითარებული ესტეტიური გრძნობით.

მაშასადამე, ტიპი არ არის მეცნიერული გაერთგვარების ნაყოფი. ტიპი შეიცავს საერთო თვისებებს ადამიანებისას მიტომ, რომ ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიან. ყოველი ახალი თვისება, რომელიც, შეიძლება, აღმოაჩინოს ხელოვანმა ადამიანში, იქნება **საერთო** თვისება ადამიანებისა, გრძნობითაც რომ იყოს აღმოჩენილი ეს თვისება. მაგრამ ხელოვნების მიზანი ის კი არ არის, რომ გამოიძიოს მიზეზები კაცის თვისებებისა და მონახოს მათ შორის მსგავსება, არამედ იმოქმედოს ჩვენს გრძნობებზე. მაგ., პოეტმა აღწერა საკვირველი ბუნება უცხო ქვეყნებისა, ამით მას ის კი არა აქვს სახეში, რომ აგვიხსნას მეცნიერულად უცხო ქვეყნის შვენიერების მიზეზი, არამედ გვაგრძნობინოს ეს შვენიერება, გამოგვაცდევინოს სრულიად ახალი, ჯერ გამოუცდელი, გრძნობა. იგივე ითქმის ყოველ ახალ, უცნობ გრძნობაზე. და როდესაც ხელოვანი შეეხება ისეთ სულიერ მოვლენას, რომელიც ცოტად თუ ბევრად ყველას ესმის და ყველას გამოუცდია, ამ შემთხ-

ვევაში ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება .გაერთგვარების მნიშვნელობაზე. როდესაც გოგოლი ხატავდა „ჩინოვნიკების“ ტიპებს, იმას, რასაკვირველია, არ ჰქონდა მიზნად ის, რომ დაერწმუნებია მკითხველი, „ჩინოვნიკები“ ქრთამს იღებენო: ეს ხომ ისედაც იცოდნენ. აგრეთვე, როდესაც შექსპირი ჰქმნიდა „ოტელლო“-ს, მას სრულიადაც არ ჰქონებია სახეში დაემტკიცებია, რომ იჭვიანობა მკვლელობას ჩაადენიებს ხოლმე კაცსაო: ეს ხომ უმასოდაც იცოდნენ და იცის ყველამ. მაგრამ ამ მწერლების მიზანი ის იყო, რომ დაეხატათ პირველს სურათი იდეალური, ტიპიური, ჩინოვნიკისა და მეორეს იდეალური იჭვიანობა, რომ შეეძულებინებიათ მით კაცობრიობისათვის ავი და შეეყვარებინებიათ კარგი, ამასთანავე, სრულიად არ იყო საჭირო, რომ მეცნიერულად ჰქონოდათ გამორკვეული მათ, თუ რა არის მიზეზი ავისა და კარგისა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ მნიშვნელობა მეცნიერებისა პოეზიისათვის. როდესაც თქვენ აღგეძვრისთ რომელიმე გრძნობა, ეს გრძნობა კიდევ უფრო განძლიერდება თქვენში, როცა აგიხსნიან ამ გრძნობის მნიშვნელობას მსოფლიო ბუნებაში. მაშასადამე, მეცნიერება თუმცა ცალკე ვერ აღძრავს შესამჩნევად გრძნობებს, გარდა ერთგვარი, თავისებური მეცნიერული გრძნობისა, მაგრამ, როდესაც სხვა გრძნობებთან ერთად მოგვაგონებენ მეცნიერულ ჭეშმარიტებებს, მაშინ

ეს ჭეშმარიტებანი აძლიერებენ გრძნობებს. მაშასადამე, როგორც ნაწილი პოეზიისა, მეცნიერება ამდიდრებს პოეზიას, აძლიერებს, აკეთილშობილებს გრძნობებს. ამიტომ ყოველმა ხელოვანმა ლიტერატორმა უნდა დაიწეროს თავის დროშაზე: „მეცნიერება!“

ვ. წ.

—

მრიმინი

როდესაც სპარსეთს მართავდა უშვილო მოხუცებული შაჰი ჯემშიდი, ყოველნი დიდებული გვარის ახალგაზრდა კაცნი სცდილობდენ როგორმე თავი გამოეჩინათ თავის ხელმწიფის წინ, იმ იმედით, ეგების გვიშვილოსო: ზოგი თავის გარეგნობას უნდებოდა, მოხდენილად იმოსებოდა, ტანს იწვრილებდა, ზოგი არაბეთიდან გამოწერილ კეთილ-სურნელებით სცდილობდა მოხუცებულის მოხიბლვას. ვინ დოღში ვარჯიშობდა, ვინ სროლაში, ჯირითობაში და სხვა სამხედრო ვარჯიშობაში, რომ ამით თავი მოეწონებიათ. ზოგიერთი კი მთელ თავის დროს სხვა-და-სხვა ხელოვნების შესწავლახ ანდომებდა: ქანდაკებას, ლექსთა თხზვას, სხვა-და-სხვა საკრავებზე დაკვრას და სიმღერას; ზოგიც მეცნიერებას სწავლობდა, მწერლობდა, მეცნიერ კაცებთან ხანგრძლივ საუბრობდა, რომ თვისის განვითარებით თავი ესახელებიათ მის წინაშე; ზოგი მის შესახედავად ფულებს ჰფლანგავდა, ღარიბთ უმასპინძლდებოდა,

ქვრივ-ობლებს ჰმოსავდა, მოხუცებულთ და საპყართ არ იშორებდა, რომ თვისის ქველ-მოქმედებით კეთილი შაჰის ყურადღება დაემსახურებია. ერთი ისეთიც გამო'ნდა, რომ დარიგებისათვის პირდაპირ მიჰართა იბლისს—ეშმაკს.

გარდმოცემამ ჩვენამდე ვერ მოაღწევინა ამ მასწავლებლის რჩევებს, ოღონდ იმას მოგვითხრობს, რომ ეშმაკის მოწაფემ აჯეჰაკმა მოახერხა ჯემშიდის მოხიბლვა; იგი იშვილა შაჰმა და თავის ტახტის მემკვიდრედაც გამოაცხადა.

რა თქმა უნდა, ეშმაკი უანგაროდ არავის რას ურიგებს და აჯეჰაკსაც სამაგიეროდ, შრომის სასყიდლად ის მოსთხოვა, რომ მას ჯემშიდი მოეკლა.

ახალგაზდა კაცი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა. ებრალებოდა კეთილი მოხუცი, რომელიც მას გულწრფელად მიენდო და მრავალი წყალობით აავსო, მაგრამ ეშმაკის მჭევრმეტყველებამ დასძლია სინიდისსაც, მადლობასაც და საბრალო ჯემშიდი დაიღუპა მისის ხელით, ვინაც მას შვილად ჰყავდა აყვანილი.

მოხდა თუ არა ეს ბოროტ-მოქმედება, მყისვე მოჰყვა მას სასჯელიც, საშინელი, რომლის მსგავსი არავის რა ენახა და არავის რა გაეგონა. მკვლელის თვითვეულის მხრიდგან ამოძვრა თითო ვებერთელა გველი, რომელნიც ბოლოთი ისევ მისავე სხეულში იყენენ მირჩენილნი. ეს გველები იკვებებოდნენ მხოლოდ ადამიანის ტვინით.

საპირო შეიქმნა წილის ყრით არჩევა და ყოველს დღეს რამოდენიმე სპარსელთ ოჯახობა მწარე გოდებით მიაცილებდა თავის წევრს შესაზარ სიკვდილზე განწირულს.

ჯემშიდის სათნო მეფობის შემდეგ ამნაირი წესები მეტად შესაზარავი იყვნენ.

იმ დროს ერთი კეთილშობილი და მდიდარი მოხუცი სცხოვრებდა: ქველი იყო და სტუმართ-მოყვარე; ღარიბები, უსახლკარონი, მოგზაურნი და საპყარნი ჯგუფად ესეოდნენ მას და არც არავინ წავიდოდა მისაგან თუ არ დიდის მოწყალებით დასაუქრებული. იგი იყო ბრძენი და მეცნიერი, კეთილშობილნი და ღარიბნი მიეშურებოდენ მასთან რჩევის მისაღებად. იგი დროს ჰპოულობდა ყველას მოსასმენად, ყველასათვის სასარგებლო სიტყვის სათქმელად, ასე რომ ბაგენი მისნი სავსე სალაროს ჰგვანდნენ, რომლიდანაც ოდნავ გახსნის დროსაც კი სცვივა მარგალიტი ანუ ალმასი, იაგუნდა ანუ სხვა რაიმე ძვირფასი ქვა. იგი იყო ძლიერი და ხელმწიფის კარზე საყვარელი პირი, და ყველა დაუაგრული, ცილ-დაწამებულნი მასთან მირბოდნენ, და მასში ჰპოებდნენ დახმარებასა და თავის გამართლებას. მას ისე უყვარდა თვისი თანამემამულენი, რომ არაფერს არ იზოგავდა მათთვის, არ იშურნებდა არც დროს, არც შრომასა და შეძლებას; ხშირად როდესაც ყოველიფერს გასცემდა, ზედა ჩასაცმელსაც კი იხდიდა, რომ ამით რომელიმე ტიტველი მოხუცი შეემოსა. ჯემშიდი მეტად პატივს სცემდა მას და ხშირად ხუმრობით იტყოდა:

„მოსე, ვგონებ, შენ არაფერი არ გიყვარს ქვეყანაზედ და არც არა ფასს სდებ?“

—ბოდიშს ვიხდი, მეფეო, უპასუხა მან ერთხელ, მხოლოდ მთელი ჩემი ნიჭი სიყვარულისა დავამყარე ერთს საგანს, დანარჩენისათვის კი არაფრისათვის აღარ შემრჩენია გრძნობა.

„რა არის ანუ ვინ არის ეგ?“—ჰკითხა ჯემ-შიდმა.

—ეს არის ერთად ერთი ჩემი შვილი, ჩემი ქალი ნინო!

ერთს შვენიერ დღეს, როდესაც თითქოს მზე ჩვეულებრივზე უფრო ბრწყინავდა და ყოველივეს სადღესასწაულო იერს ჰსდებდა, განთიადისასვე მოედვნენ მთელს ქალაქს გაგზავნილი პირები და ეპატიჟებოდნენ ყველა წარჩინებულთ და საპყართ მოსესთან დიდის სიხარულისა და მეჯლისისათვის.

მრავალი ხალხი შეიკრიბა, ასე რომ არა თუ მისი ვრცელი დარბაზი და განიერი ეზო, არამედ მთლად გარშემორტყმული ქალაქის მოედანიც კი საკსე იყო სტუმრებითა. მასპინძლობა საუკეთესო მეტად უხვი იყო და ერთნაირი იყო როგორც გამოჩენილ, დაწინაურებულ მოხელეთათვის, აგრეთვე უუღატაკეს გლახაკებისათვის, რომელთაც მოედნის ნაპირებზე აეჩინათ თავ-შესაფარი. მოსე ამ მეჯლისს მართავდა თავის ქალის დანიშვნისა გამო სპარსეთის პრინცთან, რომელიც ეკუთნოდა ძველ სამეფო სახლეულობას პიშ-დადიანებისას. მას ერქვა სახელად თრითინო; იგი ცნობილი იყო ყველასათვის სამხედრო სიყოჩაღით, უზარმაზარი ტანის იყო, განსაცვიფრებელი ღონის, შეუდარებელის სიმარდით და შესანიშნავის სილამაზით.

ათასობით იყო გულწრფელი მლოცველი და ბედნიერების მნატვრელი სასიძოსა, სასძლოსა და მოსესათვის. თვით აჯეჰაკმაც (ეს სახელი ვეშაპს ნიშნავს) მოიწადინა ამ საზოგადო დღესასწაულებაში მონაწი-

ლეობა მიეღო და მოულოდნელად გამოერია მოლხინეთა შორის. მოსესა და დანიშნულების ყურადღება მიპყრობილი იყო მეფეზე, რომელიც მეტის-მეტად ალერსიანად იყო. ძველი ჩვეულების მიხედულებით თრითინომ მოისმინა აჯეჭაკის მოლოცვა, მიიყვანა მასთან თავისი დანიშნული, და საკუთარის ხელით აჰხადა მას ჩადრი, რომელიც უფარავდა დამსწრეთა თვალს მის შვენიერ ნაკვთებს.

ყველა გაოცებას იყო მისის არა ჩვეულებრივ სილამაზისაგან. ავ გველებსაც კი, რომელთაც ძილი ეპარებოდათ მეფის მხრებზე, აეღირათ თავი და თვალს არ აშორებდენ ნანას.

რამოდენიმე წამის შემდეგ აჯეჭაკმა მიატოვა ლხინი, რომელიც შუაღამესაც კი გადაჰშორდა. შინ დაბრუნებისას ბედნიერი და დაღლილი თრითინო ძილს მიეცა და მისი სიზმრები მისის ბედნიერი დღის გაგრძელება იყო. მაგრამ უცბად იგი გამოაღვიძა სამწუხარო მოთქმამ. მასთან მოვიდენ და უთხრეს, რომ წილი ხვდა ნანას და განთიადისას მოსემ უნდა წაიყვანოს იგი გველების და აჯეჭაკის მსხვერპლადო.

„თვითონ მე წავიყვან ნანას!“—წყნარად და გადაჭრით მიუგო თრითინომ და გაშმაგებით გაეშურა მოსეს სახლისაკენ.

მთელი არე-მარე მოცული იყო დრტვინვისა და გოდების ხმით ათას მოტირალთაგან; მან ნახა მოსე

ჯავრისაგან ცოცხალ-მკვდარი, მის გვერდით-კი იდგა შვენიერი ნანა ფერ-მიხდილი, მაგრამ დამშვიდებული.

„ნანავ, თვითონ მე წაგიყვან შენ და არც გველებს მიგცემ და არც აჯეჰაკს!“—წამოსცდა ბაგეთაგან თრითინოს.

—დანიშნულ დრომდე ჯერ კიდევ ნახევარ საათზე მეტი გვაქვს,—მიუგო ნანამ,—და უნდა გითხრა, ბატონო ჩემო, რომ მე არ მეშინიან არც გველებისა და არც აჯეჰაკისა. მე მყავს ძლიერი, ყოვლად შემძლებელი, დაუმარცხებელი მფარველი. ჩემი გამდელი იყო ებრაელი ქალი, ჩუმად მასწავლიდა სიყვარულს და თაყვანისცემას ჭეშმარიტის ღვთისას, რომელიც მფარველია ყველასი, ვინც კი მის ძლიერებას ერწმუნება. ჩვენ იგი თან წავიყვანოთ, მისი წმინდა ლოცვა ღონეს წაართმევს გველებს: აჯეჰაკს-კი, რასაკვირველია, მოერევა ჩემი თრითინო. ამიტომაცაა, რომ მოსვენებული ვარ, მაგრამ ვერ გარდამიცია ეს გრძნობა, ეს ჩემი რწმუნება ჩემი მამისათვის!

ამ დროს შემოვიდნენ შაჰის გამოგზავნილნი. საშინლად დაიკივლა უბედურმა მოხუცმა და მოსამსახურეთ თითქმის მკვდარ-ცოცხალი გაიტანეს ოთახიდგან.

„ერთს დედაკაცს და ერთს უიარაღო კაცს შეუძლია ნანას გაცილება!“—წარმოსთქვეს კარის-კაცთა და ნანა, თრითინო და გამდელი მათ გაჰყვნენ. შაჰის

განსასვენებელის კარებთან ესენი გულ-მოდგინედ გაჩ-ხრიკეს და შემდეგ შეუშვეს აჯეჰაკთან და მიკეტეს მათ უკან მძიმე ბრინჯაოს კარები.

გამდელი და ნანა ორივე ლოცულობდნენ: პირველი ხმა-მაღლად, შაჰის მოურიდებლად, მუხლ-მოდრეკილი და ხელ-აპყრობილი ცისადმი შესთხოვდა ყოვლად შემძლებელს ისრაელთა ღმერთს შველას! ნანა იდგა მის უკან, თვალ-დაშვებული და გულში ლოცულობდა მოხუცებულთან ერთად. მათი მნახველი შაჰი წამოდგა და უკეთურის ღიმილით გაემართა მათ მისაგებებლად. გველებმა გაიღვიძეს, დაისისინეს, სიხარულით გაიჭიმეს თავები და გამოაჩინეს თვისი დაშხამული საწერტელი. თრითინო იდგა ნანას გვერდით მკვდარივით გაფითრებული, აბრიალებულის თვალებით.

ჩვეულებრივად აჯეჰაკი მოშორებით შედგებოდა ხოლმე, გველები გაიჭიმებოდნენ, თვისი უშველებელი სხეულის ერთი შემოხვევით გადაატრიალებდნენ მიყვანილს, შემდეგ ჩაუყრიდნენ თავის მსხვერპლს საწერტელს თავში და მიუახლოებდენ მათ თვით შაჰს. ეხლაც ისინი სიხარულის შხივილით გაიჭიმნენ და გაქვავდნენ. აჯეჰაკმა ნახა მათი უძრაობა, უნდოდა მიახლოება, მაგრამ თრითინო მივარდა მას როგორც გრიგალი, გველების გრძელი სხეულით შეჰკრა იგი და მიწას განართხა.

გმირული ფეხის ერთი დაკვრა-ღა იყო საჭირო, რომ გაემტვრია მძიმე ბრინჯაოს კარები; და რამოდენიმე წუთის შემდეგ თრითინო უკვე მიათრევდა თვის ტყვეს მოედანზედ, ქალაქის გარედ, გაშტერებულ ქეშიკთ თვალ-წინ, უმაღლეს და მიუვალ მთას დეგავენზედ, სადაც მან მიამსჭვალა იგი კლდეზედ.

აჯეჭაკის სიკვდილის შესახებ არის ორ-გვარი თქმულება: ერთი ამბობს, რომ ისიცა და გველებიც შიმშილით დაიხოცნენო, მეორე—ვითომ გველებმა ჯერ მოჭკლეს თვითონ იგი, მისი ტვინი შესჭამეს და შემდეგ კი თვითონაც დაიღუპნენ სიმშილითაო. თრითინო კი სპარსეთის მეფედ გაეხადათ; მან ცოლად ნანა შეირთო, სასახლეში წაიყვანა გამდელი, რომელიც უხვად დაასაჩუქრა და აგრეთვე მოსეც, რომლის გონივრული რჩევით ხელმძღვანელობდა სამეფოს მართვა-გამგეობაში.

მოსეს რჩევით გაგზავნა მან სპასალარი არდამი ქართლში, რათა დაეპყრა ეს კურთხეული ქვეყანა. არდამმა დახოცა იქ მოპარპაშე ხაზარნი, დაიპყრა ყველა ქალაქები და ციხეები, და აღაშენა კასპის ზღვის ნაპირზედ ქალაქი დარუბანდი, რომელიც ნიშნავს „დახურულ კარს“.

მანვე შემოავლო ზღუდე მცხეთას: ეს პირველი შენობა იყო ქვითკირისა; ამაზე წინად ქართველები სახლებს ან ხისას აკეთებდნენ, ან კლდეში გამოკვე-

თილს და ან ქვისა და ალიზისას. კიდევ ერთგვარი შენობაც იყო, რომელსაც მხოლოდ მეფენი ანუ ფრიად მდიდარნი თუ შესძლებდნენ: ეს იყო მთელი შენობა, რომელშიაც დიდრონნი ქვები ერთის მხრით ითლებოდნენ და მარტო ერთი მეორეში შეჭდობით ჰკავდებოდნენ ერთმანეთზე. ამ ახალის წესითვე, ე. ი., ქვითა და კირით აღაშენეს ციხის კედელი არმაზში და ასევე დამთავრებულ იქმნა ციხის კედელი არმაზის მთის მიყოლებაზე მდინარე მტკვრამდე.

ქართველნი მადლობით იხსენიებენ თრითინოს მეფობას, რომელსაც ქართულად აფრიდუნს უწოდებენ. რასაც-კი მოიწადინებდა აფრიდუნი, ყოველითვის ახერხებდა, რადგანაც სასიამოვნოდ იყოდა ხალხისათვის ყოველი წინადადების მიცემა.

როდესაც მოსეს რჩევით მან გაჰგზავნა არდამი საქართველოს დასაპყრობად, მას მკაცრად ჰქონდა აკრძალული, რომ სრულებითაც არ გამოეყინა თავი ბრძოლით დამპყრობად.

არდამი წარსდგა ქართველებთან, როგორც გამოგზავნილი აფრიდუნისაგან მათდა საშველად და ხაზარებისაგან გამოსახსნელად. ქართველნი დაუყოვნებლივ შეუერთდნენ მის ჯარს და მისის წინამძღვრობით განთავისუფლდნენ ხაზართაგან. განთავისუფლებულმა ხალხმა, აღტაცებულმა სიხარულით, მადლობის ნიშნად

აფრიდუნი გაამეფა. ყველა მისი ქვეშევრდომი გულწრფელისა და უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული მისდამი. და მართლაც ღირსი იყო იგი ამისი, რადგანაც ყოველგვარ იმ თვისებით იყო შემკული, რაც-კი იზიდავს ქვეშევრდომთა გულს თავის მეფისადმი. ცნობილია, რომ იგი იყო ტანად ახოვანი, მეტად ღონიერი და ლამაზი შეხედულების, ძლიერ გამჭრიახე გონების, ნაზი და შემბრალებელი გულის და იმ დროისათვის საიშვიათო განვითარების, რადგანაც, როგორც მოგვითხრობენ, არა თუ შეეძლო სარგებლობის გამოღება ყოველი ხისა და ქვისაგან, არამედ შეეძლო თურმე იმისი აღსნაც, თუ რად იყო ალმოცენებული უკანასკნელი ბალახეული, ურვილად მოზარდი ძველი შენობის კედლებზე. იმდენადვე განთქმული იყო იგი თვისი მკაცრი მართლ-მსაჯულებითა და უსაზღვრო მამაცობით, რამდენადაც შეუდარებელი გამცემობით, მეფურის ქველის მოქმედებით და შესანიშნავ გამჭრიახობით.

მისი პირადი სიმამაცე და სიმარდე ყოველგვარ სამხედრო ვარჯიშობაში უხვეჭდა მას მიმზიდველობასა და კეთილ განწყობილებას მამაც ქართველობაში.

პლინი ამბობს, რომ ამ მეფის უფროსობის დროს დარიელის კარის სამხრეთით, მთაზედ ამართულ იქმნა ციხე, „პუმანია“-დ სახელწოდებული. ეხლა ქართვე-

ლობა ამ ადგილს უწოდებს სოფელს „ქუმნის-ციხე“-ს. იქაური მცხოვრებნი ეხლაც აკეთებენ იარაღს, რომელიც განთქმულია მთელ აღმოსავლეთში. მეტადრე ცნობილია და დიდათაც ფასობს იქაური მოწამლული დანები, რომელსაც ბებუთს უწოდებენ.

კნ. ადექ. მელიქოვისა.

საქართველოს

დედა-ქალაქი

ტფილისი

გაგრძელება *).

ბიორგი X, სვიმონის ძე ეკურთხა მეფედ ტფილისის (1600 წ.). 1604 წელს ტფილისს მოვიდნენ რუსთა ელჩები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ქართველთა სეფე-წულთაგან ამოერჩიათ საქმრო ბორისის ასულის ქსენიასათვის და სასძლო მისის ვაჟის თეოდორესთვის. ელჩი ტატიშჩევი სწერს: „მეფემ მიგვიწვია სასახლეში. მიკედით. მიგვიღო დედოფლის პალატში და გვაჩვენა თვისი ასული ელენე, რომელიც იჯდა მარგალიტ-მოვლებულ მჯთაქაზე. პალატის იატაკი დაფენილ იყო ოქროთი მოქარგულ ხალიჩებით. სეფე-ქალის საცმელი იყო ხავერდისა, რომელსაც ოქროს ფერი დასცემდა

---

*) იხ. «კრებული» № IV, 1899 წ.

და მოვლებული იყო არშიებითა. მას ეცვა აგრეთვე სხვა საცმელი—ოქსინოსი. თავზედ ეხურა ალისფერ ხავერდის ქუდი, ძვირფას მარგალიტებიან-თვლებიანი. სეფე-ქალის მარჯვენით იჯდა მისი დიდედა, ხოლო მარცხენით დედა. მათი საცმელი ხავერდისა იყო"... ელჩებს მოეწონათ ელენე და მეფეს ეხვეწებოდნენ მოგვეცი წავიყვანოთო. მეფემ უარხრა, ჩემი ქალი ჯერ მცირე-წლოვანია და ამას გარდა ქართველებს ჩვეულებად გვაქვს ქალი არ დავწინდოთ, ვიდრე მთხოვნელი სამგზის მაჯანკალს არ გამოჰგზავნისო.

ლუარსაბ II დროს (1605—1616 წ.) ტფილისის მოურავად იყო გიორგი საკაძე (თარხნიშვილი). ლუარსაბი მეფედ ეკურთხა ტფილისს. მან ამოსწყვიტა (1609 წ.) თათარხანის 30,000 მეომარი. მეფეს გადაემტერა შაჰაბაზ I, რომელიც 1615 წელს შემოვიდა ქართლს, ლიქნით შეიპყრა მეფე, მოიყვანა ტფილისს, ციხეში თავის ჯარი ჩააყენა, მეფე ყარაიას წაიყვანა, ანადირა და იქიდგან წაიყვანა სპარსეთს და ჩასო გულაბყალას და მერე მოაშთობინა (1622 წ.)

1616 წ. შაჰაბაზი ხელახლა ეწვია საქართველოს. აიკლო ტფილისი, აოხრა კახეთი, ერწო, თიანეთი, დაანგრია ციხე-ქალაქნი, ეკკლესია-მონასტერნი, გაჟლიტა 70,000 სული ქართველი, 100,000-მდე დედაბუდიანად აჰყარა და წარგზავნა სპარსეთს, 30,000 სული კიდევ სხვა დაიღუპა, ყაენმა წაასხა 2,000 საქონელი, 40,000 ცხვარი, დაატყვევა თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი და წამებით მოჰკლა (1624 წ.). საქურის-ჰყვნა თეიმურაზის ორი ვაჟი. ამოჟლიტა გარესჯის 600 მეუდაბნოე. ტფილისში ჩააყენა ძლიერი ჯარი და „ტფილისში" მეფედ დასვა გამაჰმადიანებული

ბაგრატ († 1619 წ.) და მის შემდეგ სვიმონ-ხანი († 1629 წ.), რომლის დროს სპარსელნი ,ეეცხლის წვიმებს აწვიმებდნენ ამერეთზედ. ქართველნი სასტიკად შეებრძოლნენ ყიზილბაშებს: არაგვზედ, სადაც გასწყვიტეს მრავალი მტერი, ქსანზედ, მარაბდას (1623 წ.), საცა ქართველთ დაჰკარგეს 10,000 მეომარი, ხოლო სპარსთ 18,000.

1634 წ. ტფილისში სპარსთა ჯარით შემოვიდა მეფე როსტომი, ხოლო 1636 წ. ხონთქარი და ყაენი მორიგდნენ და საქართველო გაიყვეს: ხონთქარს ერგო იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი, ხოლო ყაენს ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი.

ამ დროიდგან ტფილისი ხდება „სპარსთა ქალაქად“: სპარსთა მეციხოვნე ლაშქარი და აგრეთვე სპარსეთში გაზრდილნი ქართველთა ბატონიშვილები და დიდებულნი ტფილისში ავრცელებდენ ყიზილბაშთა ზნეჩვეულებას, და ეს უცხოეთიდგან გადმონერგილი ზნეჩვეულება ნელ-ნელა ვრცელდება ჯერ ტფილისის მიდამოებში და მერე მთელს ამერეთშიაც. მემატიანე ამბობს: „როსტომმა თვისი კარის გამგენი განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა. მას ჟამსა ქართველნი იყვნენ მხნენი, რჯულ-მტკიცენი, წრფელნი, ,ეეცხლის ,უყვარულნი; ხოლო როსტომმა სპარსეთიდან მოიყვანა საქართველოს ტყვენი, გამაჰმადიანებულნი, და ამათით შეერია ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორც-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი“ და სხ. ამის დროსვე ქართველებმა მიივიწყეს თვისი მშობლიური საკრავები და შემოიღეს სპარსულები: ნაღარა, ზურნა და სხ.

როსტომმავე ააშენა დანგრეულ-დაქცეული ტფილისი, გაამაგრა მისი ციხე, მეტეხს შემოავლო მაღალი და მკვიდრი გალავანი ბურჯ-კოშკებითა; ისნის სასახლე დაუტევა და თავის საცხოვრებლად ანჩისხატსა და სიონს შორის მტკვრის პირას ააშენა ახალი სასახლე, ხოლო კალაში ჩააყენა სპარსთა ლაშქარი. ავლაბრის ხიდის ყურიდან კალის ციხემდე ააშენა ზღუდე და მით გაჰყო ქალაქი და ციხე. კალის ციხეშიაცა და მეტეხის ციხეშიაც ჩააყენა ყიზილბაშნი. როსტომის წინააღმდეგ შეითქვნენ ზოგიერთნი დიდებულნი და მათ შორის კათალიკოსი ევდემოს დიასამიძე, რომელიც მეფემ შეიპყრა, დაამწყვდია ტფილისის ციხეში და მერე გადმოაგდო განჯისკარის კოშკიდან და გადაჩეხა.

1658 წ. გამეფდა შაჰნაოზი (ვახტანგ V), რომელმა „აღაშენა და განავრცო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი; ჰმატა რჯულსა ქრისტეანობისასა და ეკკლესიათა, რამეთუ მცდელობდა როსტომის მიერ განრყვნილნი ისევ მოეგო კვალსავე თვისსა: ვინადგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა ჩვენისა სირცხვილად უჩნდათ“... (ქ. ცხ. გვ. 54).

ყაენმა გამოუგზავნა შანაოზს დიდი ფული და უბრძანა ზღუდე შემოეკლო ქალაქისათვის. მეფემ რომ შეასრულა ეს ბრძანება, ყაენის ბრძანებით აქაურმა მოხელეებმა ქალაქის კარებზედ ყარაულები დააყენეს. ამ ყარაულებს მოხერხებულ ჟამს უნდა შეეპყრათ მეფე და წარეგზავნათ სპარსეთს. მეფე მიუხვდა მათ, გამოვიდა და ქალაქის სამხრით, ასპარეზის თავს, მტკვრის კიდეზედ აიშენა სასახლე, დაუახლდა მასში და ტფილისში აღარ შეევიდა. სპარსელები დარწმუნდნენ, რომ

მეფეს ვერ შეიპყრობდენ მისის სახლობითურთ, გაშორდნენ ტფილისის კარებს (გვ. 54).

შანაოზიდგან მოკიდებული ვიდრე ვახტანგ VI-დე (1658—1724 წლამდე) ყაენებმა წყალი აღარ დაუწმინდეს ქართლსა და კახეთს. მთელი ჩვენი ქვეყანა ყიზილბაშებმა დააკნინეს, დააქუცმაცეს, მეფენი გაამაჰმადიანეს, გადაჰკიდეს ერთურთს მებატონენი და მთავარნი, შეაძულეს ქართლი კახეთს და ორთავეს მიუსიეს ლეკეთი და ადრიბეჯან-შირვან-შაკიხის ხანები. ტფილისი მეტად გაამაგრეს და შიგ ჩააყენეს ძლიერი ჯარი, რომელთაც თვალყური უნდა სჭეროდათ, რათა ქართველნი არ აშლილიყვნენ წინააღმდეგ სპარსთა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მეფენი მაჰმადიანებად ითვლებოდნენ, გარნა იგინი ახერხებდნენ იმასაც, რომ მფარველობა გაეწიათ თვის ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის და ეზრუნათ მისის კეთილდღეობისათვის. ამ დროის შესახებ საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემენ უცხოელთა მოგზაურნი—შარდენი, რომელიც მოვიდა ტფილისს 1671 წელს, და ტურნეფორი (1701 წ.)

შარდენი სწერს: საქართველოდ ვუწოდებ მთელ იმ მხარეს ამ ქვეყნისას, რომელიც ექვემდებარება სპარსეთს. საქართველოს დღეს საზღვრავს: ჩერქეზეთი და მოსკოვი აღმოსავლეთის მხრივ, მცირე სომხეთი დასავლეთის მხრივ, დიდი სომხეთი სამხრეთის მხრივ და ჩრდ. მხრივ შავი ზღვა და კოლხიდის ის ნაწილი, რომელსაც იმერეთს ეძახიან. ეს მთლად, ჩემის ფიქრით, ის მხარეა, რომელსაც ძველად იბერია ერქვა. ერთ დროს საქართველოდ ითვლებოდა არზრუმსა, თავრიზსა და ტანაისს (მდ. დონი) შორის მდებარე ქვეყანა და ერქვა

მას ალბანია. ეხლა კი იგი დაკნინებულია და შევიწროებული. საქართველოში ბევრი ტყეებია. მთებ შორის მრავალი არის მშვენიერი და გრძელი, გარნა ვიწრო, ხეობებია. საქართველოს შუა უფრო ნაყოფიერია და თანაბარი, ვიდრე მისი გარე ნაწილები. შუაშივე ჩამოუდის მდ. მტკვარი, რომელსაც გეოგრაფოსები უწოდებენ კირუსს, და ანუ კორუსს. მტკვრის სათავე, როგორც მითხრეს, დღე-ნახევრის სავალზეა, კავკასიის მთებში; იგი ერთვის კასპიის ზღვას. ეს მდინარე ყველა სპარსეთის მდინარეებზე სასარგებლოა, რადგარ უფრო დიდს მანძილს იელის და გამოსადეგია სანაოსნოდ. სპარსთა გეოგრაფოსები საქართველოს გურჯისტანს ეძახიან და ოთხ ნაწილად ჰყოფენ მას: იმერეთად, გურიად, ახალციხის სამმართველოდ, კახეთად და ქართლად, რომელსაც ძველი გეოგრაფოსები ალბანიად უწოდებდნენ. ამათგან სპარსეთის საბრძანებელში მხოლოდ ქართლი და კახეთია. გიორგიონნი თავის თავს ქართველებს ეძახიან. ეს სახელი ახალი არ არის: იგი გვხვდება ძველ მწერლების ნაწერებშიდაც, მაგ. ეპიფანეს წერილებში ქართველები ქარდიანებად მოხსენებულია. საქართველოში ქალაქები ცოტაა. კახეთში უწინ ყოფილა რამდენიმე ქალაქი, რომელნიც ეხლა, ერთის გარდა, დანგრეულებია. ტფილისში მითხრეს, რომ ეს ქალაქები დიდრონები იყოო და მდიდრულად ნაგები. ამასვე აფიქრებინებს კაცს ჯერ ის, რაც კიდევ მთელად დარჩენილა და რაც მათს ნაშთს წარმოადგენს. კახეთს ხშირად არბევენო კავკასიონის გადაღმა მცხოვრებნი ერნი: ალანნი, გუნნი და სხ. და აგრეთვე ამაზონები (ამორძლები).

ქართლში 4 ქალაქია: გორი, სურამი, ალი და

ტფილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარებს ორს მთას შორის, მტკვრის ნაპირას, ერთის გორის ძირში, რომელზედაც ციხეა აგებული. ეს ციხე აუშენებია რუსტენ-ხანს (როსტომ მეფე) 40-ის წლის წინად. ციხეში ბევრი გუშაგი არ არის, სულ 110 კაცია. იგი მეტად მაგარია. ამ ქალაქის სახლები და ბაზარი მიწურებია, მცხოვრებნი ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაო შეძლებაც აქვთ. სანოვაგე აქ უხვად არის და იაფია. სურამი უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი, გორზედ პატარაა, გარნა მისი ციხე დიდია და კარგად აგებული. აქაც ასი მეციხოვნეა.

„საქართველოში კარგი ჰავაა, ხმელი, ზამთარში ძალიან ცივი და ზაფხულში ცხელი. აქ მაისიდან ნოემბრის გასვლამდე სულ კარგი დარები იცის. მიწას მორწყვა უხდება. საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. აქ სცხოვრობენ ადვილად და კარგად. აქაურისთანა პური სხვაგან არსად მოდის. ხილი მეტად კარგი იცის და ამასთანავე ყოველნაირი. აქაურისთანა ველური ვაშლი და მსხალი ევროპის არც ერთ მხარეს არ მოდის და აქაურისთანა ბროწეული—აზიაში. რქოსანი და წვრილ-ფეხი საქონელი აქ მრავალია და ძალიან კარგის ჯიშისა. გარეული ღორი ბევრია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს, როგორც კოლხიდის ღორს. დაბალი წოდებისანი სულ ღორის ხორცს სჭამენ. კასპიის ზღვასა და მტკვარში მრავლად იჭერენ თევზს. დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვათ, რომ იმისთანა კარგი სანოვაგე, როგორიც საქართველოშია, არსად სხვა ქვეყანაში არ იქნება. არც ისეთი ქვეყანა იქნება, რომ იმდენსა და ისე კარგს ღვინოს სვამდენ, როგორც საქართველოში. აქ ვაზი მაღლარია, როგორც კოლხი-

დაში. ტფილისიდგან ბლომა ღვინო მიაქვთ ყაენისთვის სომხითში, მიდიასა და ისპაჰანს. საპალნე ღვინო ღირს რვა ფრანკი. ასე ფასობს უკეთესი ღვინო, ხოლო ცოტა მდარე არც ამის ნახევარი ღირს. ყველა სხვა სანოვაგეც ძვირი არ არის. აქ ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები აღნიშნავენ. აბრეშუმის მოვლის ხელი კარგად იციან. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთსა, არზრუმსა და სხვა ქვეყნებში.

„აღმოსავლეთში ქართველთა ტომი უუმშვენიერესია, და, შემიძლიან ვსთქვა, მთელს ქვეყანაზედაც. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდის სახის ქალი და ან კაცი; ანგელოზივით ლამაზები ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებითვე ისეთის სიკეკლუცით დასაჯუქრებულია, რომ სხვაგან ვერსად შეხვდებით. აქაურს ქალს თვალი რომ მოჰკრათ, შეუძლებელია არ შეგიყვარდესთ. შეუძლებელია გამოიხატოს ქართველ ქალის მშვენიერ სახე-ტანადობისთანა სახე და ტანადობა. ივინი არიან მშვენიერნი, თვალტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი. იშვიათად შეხვდებით აქ უშნოდ გასქელებულს ქალს. მათ მხოლოდ ის აუშნოებთ, რომ ფერუმარილს ისმენ.

„ქართველები ნიჭიერნი არიან ბუნებითვე. იგინი სწავლულები და ხელოვნების მცოდნენი იქნებოდნენ, თუ სწავლა-ხელოვნებაში მწვრთნელნი ჰყოლოდათ. იგინი არიან თავაზიანნი, მოსიყვარულე გულისანი, თავმომწონენი და თავდაჭერილნი. ზნე და ჩვეულება უმეტეს ნაწილად შეთვისებული აქვთ იმ ერთაგან, რომელნიც ვარს არტყიან. ქართველებს მისვლა-მოსვლა აქვთ მრავალ ხალხებთან. თვით საქართველოში ყველასა აქვს უფლება იცხოვროს თავის რჯულისა და ჩვეულე-

ბისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგნებზედ და დაიცვას მათი შეუხებლობა. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპიელებს. სომხები ბევრი არიან აქ. იგინი ქართველებზე უფრო ბდიდრებია და დაბალის მოხელეების ადგილები უმეტესად სომხებს უჭერიათ. ქართველები მათზე ძლიერნი არიან, თავმომწონენი, ზვავნი ᲦᲐ მედიდურნი. სარწმუნოებისა, ზნისა და ხასიათის სხვა-და-სხვაობა არის მიზეზი სიძულვილისა ქართველებსა და სომხებს შორის. ქართველებსა და სომხებს ეზიზღებათ ერთმანერთი და არ უნათესავდებიან ურთიერთს. განსაკუთრებით სომხები მეტად სძულთ ქართველებსა და თითქმის ისე უყურებენ მათ, როგორც ევროპაში ურიებს. ქართველების ტანისამოსი სრულიად წააგავს პოლონურს ტანისამოსს. ქუდებიც ისეთი აქვთ, როგორიც პოლონელებს, მათი ახალუხი გულჩაღილულია და წინა-კალთებგაშლილი. ფეხსაცმელი სპარსულს წააგავს. ქალების ტანისამოსი სპარსთა ქალების საცმელის მაგვარია. დიდკაცობის სახლები და აგრეთვე ყველა სახელმწიფო შენობანი სპარსულ შენობათა გემოვნებაზედ არის აგებული. სახლების აგება ადვილდება სიუხვისაგამო ხე-ტყისა და ქვა-კირისა. ქართველები სპარსელებს ჰბაძვენ სხდომაში, წოლაში, ჭამა-სმაში. მებატონეებს დიდი უფლება აქვთ ყმებზედ. იგინი მთელის თვეების განმავლობაში, რამდენიც სურთ, იმდენს ამუშავებენ ყმებს და არც Ჯამაგირსა და არც საზრდოს აძლევენ. მათ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებს და ან მონებად ჰყავთ სახლში.

ქართველ-მეგრელებმა ქრისტიანობა მიიღეს მეორე საუკუნეში.

„ქართველებსა ჰყავთ რამდენიმე ეპისკოპოსი, ერთი მთავარ-ეპისკოპოსი და ერთიც პატრიარქი, რომელსაც კათალიკოზს უწოდებენ. თუმცა მეფე მაჰმადიანია, გარნა აკურთხებინებს ხოლმე ეპისკოპოსებს, როცა ადგილები დაიცლება, და ამ თანამდებობათ თავის ნათესავებს აძლევს. მებატონეებსაც ამგვარივე უფლება აქვთ თავთავიანთ მამულებში. აქაური კეთილშობილნი გარეგნობით უმეტეს ნაწილად მაჰმადიანნი არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმისთვის მიუღია, რომ მეფის კარის ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირები მიეღო; ზოგს იმისთვის, რომ თავიანთი ქალები მეფისათვის მიეთხოვებინა და ან დედოფლის კარზედ ფარეშობა ეშონა მათთვის. ვისაც ლამაზი ქალი ჰყავს, სცდილობს რაც შეიძლება ადრე გაათხოვოს; ღარიბი ხალხი უფრო ადრე ათხოვებს თავის ქალიშვილებს, ხანდახან აკვანშივე ჰნიშნავენ ხოლმე. ამას იმიტომ სჩადიან, რომ მებატონეებმა არ მოსტაცონ გასასყიდად.

„კახეთში ეხლა მეფობს შანაოზის შვილი არჩილი, რომელმაც მაჰმადიანობა იმიტომ მიიღო, რომ სამეფო დაეჭირა. არჩილი თავდაპირველად დანიშნული იყო ერთ თავადიშვილის ქალიშვილზედ, მაგრამ იმან თვისი დანიშნული დასტოვა და შეირთო კახეთის მეფის თეიმურაზის ასული ნესტან-დარეჯან. პირველმა დანიშნულმა არჩილს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, რად შეურაცხჰყავი ჩემი სახელიო. ქალს ჰსურდა სასამართლოსათვის მიემართა, გარნა ამ გზით არა გამოვიდა-რა, რადგან მოწინააღმდეგე დიდის ხარისხისა და გავლენის პატრონი იყო. სასამართლომ რომ ვერ და-

აკმაყოფილა ქალი, ოთხასს კაცს მიუძღვა და საომრად გამოითხოვა მოღალატე. არჩილმა უარი სთქვა და შემოუთვალა: ქალთან ბრძოლა არა მსურსო და ნურც გამოიდებ თავს, თორემ გავამჟღავნებ, რომ ციცი კვეხულობდა, ვითომ შენ იმას მოწყალე თვალით უყურებდიო. ამ ცილის-წამების გამო ქალი უმეტესად განრისხდა და ახლა ციცის გადაეკიდა და ხმალში გამოითხოვა. მისგან უარი მიიღო. ქალი ჩაესაფრა ერთ ალაგს, დაეცა მას და ოც კაცზედ მეტი მოუკლა. ქალის ძმამაც დაუწყო დევნა ციცის. მეფე და ყველა კარის კაცნი შეეცადნენ შეერიგებინათ მოპირდაპირეები, გარნა ვერას გახდნენ და მისცეს ნება იარაღით გადაეწყვიტათ დავა. საქართველოში, ჩვეულებისამებრ, როდესაც სამართალი ვერ გადასწყვეტს დავას კეთილშობილთა შორის და ვერც შეარიგებს მათ, მაშინ ერთმანეთთან ბრძოლის ნებას მისცემენ. ბრძოლა ასპარეზზედ იციან. მოწინააღმდეგენი აღსარებას იტყვიან, ეზიარებიან და გადიან საბრძოლველად. ამას ღვთის სამსჯავროსადმი მიმართვას უწოდებენ. ციცი და მოწინააღმდეგე გავიდნენ მოედანზედ, მაგრამ ჯარის-კაცებმა გააშველეს. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილითა და ჯავრით, როდესაც ნახა, რომ მეფის ბრძანებით მისი ძმა იძულებული შეიქმნა შეჰრიგებოდა არჩილსა და ციცის.

„ტფილისი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია. იგი დიდი არ არის, გარნა ძლიერ დასახლებულია და გამაგრებული; სძევს მთის ძირში, რომელსაც ჩამოუდის მტკვარი. უმეტესი მტკვრის პირა სახლებისა სალს კლდეზედ აგებულია. ქალაქი შემოზღუდულია შვენიერისა და მაგარის კედლით, მხოლოდ მდინარის მხრივ

უგალავნოა. ქალაქი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ვაწეულია. სამხრეთის ძხრივ აქვს დიდი ციხე, რომელიც აგებულია მთის კალთაზე. ციხეში მხოლოდ სპარსელები სცხოვრებენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარსნი არიან. ციხის წინ არის სარბიელი და იგივე მოედანიცაა და ბაზარიც. ეს ციხე თავშესაფარ ადგილად ითვლება: ყველა დამნაშავე და ანუ შეუძლებელი მოვალე რაკი ამ ციხეში შეეფარება, აღარ მოელის შიში. ქართველთა მეფემ ეს ციხე გზად უნდა გაიაროს ხოლმე, როდესაც იგი, ჩვეულებისამებრ, ქალაქ გარედ მიდის ყაენისაგან გამოგზავნილ წერილებისა და ან საჩუქრების მისაღებად. მეფე არასოდეს არ გაივლის ხოლმე აქ ისე, რომ შიში არა ჰქონდეს: ვაჲ თუ შემიპყრანო, ვაჲ თუ ციხისთავს საიდუმლო ბრძანება ჰქონდეს ჩემის შეპყრობისაო. სპარსებს ძალიან ჭკვიანად დაუწესებიათ, რომ საქართველოს მეფეები და სპარსეთის მირზაჰანები ქალაქ გარედ უნდა გავიდნენ ხოლმე იმის მისაღებად, რასაც ყაენი უკზავნის. ეს ძალიან მოხერხებული ღონეა, რომ ადვილად და უხიფათოდ შეიპყრან საეჭვო კაცები.

„ტფილისის ციხე აუშენებიათ ოსმალებს **1576** წ. ამ წელს მათ დაუპყრიათ ეს ქალაქი და მთლად მისი მიდამო მუსტაფა-ფაშის წინამძღოლობით, რომელსაც ვერ გაჰმაგრებია მეფე სვიმონი. მუსტაფა-ფაშამ ხონთქარს სოლიმანს ურჩია, საქართველოში რამდენიმე ციხე ავაგოთ, თორემ უამისოდ ამ ქვეყანას ვერ დავიმორჩილებთო. სოლიმანის ბრძანებით აგებულ იქმნა ციხეები და მათ შორის ტფილისისაც, რომელიც გაამაგრა ასსზედ მეტ ზარბაზნით.

„ტფილისში რამდენიმე ეკკლესიაა, რომელთაგან

6 ეკუთვნის ქართველებს და დანარჩენი სომხებს. დედა-ეკკლესია, სიონად წოდებული, მდინარის პირზედ აშენებული არის შვენიერის თლილის ქვით. ეს ეკკლესია ძველი შენობაა და ჰგავს იმ უწინდელ ტაძრებს, რომლებსაც ხშირად შეჰხვდებით აღმოსავლეთში. შუაგულს აქვს 4 დიდი სვეტი, რომლებზედაც დამყარებულია გუმბათი. ეკკლესიის საკურთხეველი დიდია. შიგნითი მხარე ტაძრის კედლებისა სავსეა მხატრობით. არქიელის სასახლე იქვე ეკკლესიასთან ახლოა. მასში სცხოვრობს ტფილელი. ქართველებს ჰქონდათ ერთი შვენიერი ეკკლესია ქალაქ გარედ. იგი მეფემ თოფის წამლის ბეღლად აქცია. მას ჰქვიან მეტეხი. სომხების უმთავრესი ეკკლესია არის ფაშა-ვანქი, ე. ი. ფაშის მონასტერი, და ესრეთი სახლი იმიტომ დარქმევია მას, რომ იგი ოსმალეთიდგან გამოქცეულსა და ტფილისში გაქრისტიანებულს ფაშას აუშენებია.

„ტფილისში მეჩითი სულ არ არის. სპარსნი ბევრს ცდილან, ბევრჯელ დაუწყიათ მეჩითის აგება, მაგრამ ვერ დაუსრულებიათ: ქრისტიანები მაშინვე იარაღს ხელში იღებდნენ, არეულობას ახდენდნენ თურმე, შენობას ანგრევდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მეჩითის ამშენებლებს! მეფეებს გულში ძლიერ უხაროდათ ხალხის ამგვარი ამბოხება, თუმცა თავს ისე აჩვენებდნენ, ვითომ არ მოსწონთ ერის ასეთი საქციელი. მეფეები თუმცა ქრისტიანობას გადუდგებოდნენ ხოლმე და მაჰმადიანობის გავრცელებას ეხმარებოდნენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მეფობა მოეპოვათ, გული კი ისევ ქრისტიანობისკენა ჰქონდათ.

„ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია. ესენი თავჯანწირულად იცვენ თავიანთ თავისუფლებას. რად-

გან იგინი ოსმალებზედაც ახლოს არიან, ამიტომ სპარსები ვერა ჰბედვენ სრულიად ხელი ჩაჰკიდონ ქართველებს და ნებას აძლევენ დაიცვან თითქმის ყველა გარეგანი ნიშნები თავის რჯულისა: ყველა ეკკლესიის თავზედ გაკეთებულია ჯვარი, სამრეკლოში ჰკიდია ზარები. საქვეყნოდ და მოურიდებლად ჰყიდიან ღორის ხორცსა და აგრეთვე ღვინოს ქუჩებში. სპარსებს, რასაკვირველია, ჯავრი მოსდით და აღკრძალვა უნდათ, მაგრამ ჯერ-ჯეროობით ვერა გაუწყვიათ.

„ამ რამდენიმე წლის წინად სპარსებმა ააშენეს ერთი პატარა მეჩითი ციხეში, იქ, საცა ციხესა და მოედანს შორის მაგარი კედელია. ეს ადგილი იმიტომ ამოურჩევიათ სპარსებს, რომ ხალხს ხშირად დაენახა და შესჩვეოდა როგორც მეჩითსა, ისე მოლებსაც. ქართველებმა ვერ დაუშალეს მეჩითის აგება, რადგან ციხე გამაგრებული იყო, ხოლო როცა მოლა ავიდა მეჩითის თავზე და მუყრი შემოსძახა, ხალხი შეგროვდა მოედანზედ, დაუშინა ქვა მეჩითს და მოლა გადმოიფრინა მაღლიდგან. ამის შემდეგ მოლა ვეღარ ადის სამუყროდ...

„ქალაქში რამდენიმე კარგი საჯარო შენობებია, დიდრონი ბაზრები, ქვით ნაშენი და სუფთად შენახული. ასეთივეა ქართველებიც, საცა ბინავდებიან უცხოეთიდან მოსულნი. შიგ ქალაქში ცოტა აბანოებია და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხეშია. ამ აბანოების წყალი გოგირდიანია და მეტად ცხელი. დუქნებიც კარგად მოწყობილია, სუფთად შენახული. დუქნები ჩამწკრიკებულია მაღლობზე, დიდის მოედნის პირში.

„მეფის სასახლე ერთი უშვენიერესი შენობაა ტფი-

ლისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან დიდრონებია. იქვე არის საფრინველოები, რომლებშიაც სხვა-და-სხვა გვარ ფრინველებს ინახვენ. აქვე აშენებულია აგრეთვე ერთი მწვანარ-მეძებრების სადგომი და ისეთი შვენიერი საქორე, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ ოთხ-კუთხი მოედანია, სადაც ათასს ცხენამდის დაეტევა. მოედნის გარეშემო დუქნებია და ბოლოს გრძელი ბაზარი, სასახლის პირდაპირ. შვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის პირი ამ ბაზრის თავიდან. კახეთის მეფის სასახლე ქალაქის ნაპირას არის, რომელიც აგრეთვე ღირს იმად, რომ კაცმა დაათვალიეროს.

„ტფილისის მიდამო შემკულია რამოდენიმე სალხინო სახლით და შვენიერის ბაღებით, რომელთაგან ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტა დგას, ხოლო გავსილია იმისთანა ხეებით, რომლებიც აშენებენ ბაღს ღა ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ.

„ტფილისში არის კაპუცინების სახლიც. იგინი აქ 13 წელიწადია, რაც დასახლდენ. კაპუცინები ექიმებს ეძახიან თავიანთ თავს. და ხალხიც ექიმებს უწოდებს მათ. იგინი ძალიან მიღებულნი არიან, რადგან ექიმობასა და ქიმიას მეტად პატივს სცემენ აღმოსავლეთში. კაპუცინები ჯერ დაბინავებულან ტფილისში და მერე გორში. შაჰნაოზს მათთვის უჩუქებია სახლები გორსა და ტფილისში. მათ მიურთმევიათ მეფისათვის წერილები პაპისა და კონგრეგაციისა და აგრეთვე მათივე სახელით შვენიერი საჩუქრები. საჩუქრები მიურთმევიათ აგრეთვე დედოფლისათვის, კათალიკოზისათვის და კარის უმთავრეს დიდებულთათვის. ერთი მისსიონერთა-

განი, რომელიც ექიმობაში უფრო დახელოვნებულია, მეფეს ახლავს. საექიმოში მათ აძლევენ ღვინოს, ფქვილს, პირუტყვს, ახალგაზდა მონებს. მათ ნება აქვთ იყოლიონ ცხენები, მონები, მსახურები, ივაჭრონ, ფული სარგებლით გაასესხონ და ისესხონ და სხ.

„12 თებერ. 1673 წ. დილით ერთის კეთილშობილის პირით მეფემ შემომითვალა: ამ კვირა ყოველ დღე შექცევა გვექნება სასახლეში და გთხოვთ შენც მობრძანდეო. რაც კი უკეთესი საცმელი მქონდა, ჩავიცვი და მეფეს ვეახელ. შუადღე მოტანებული იყო, როდესაც სასახლეში წავედი და თან წამომყვნენ კაპუცინების პრეფექტი და მამა რაფიელი. სადილად გველოდნენ. მეფე დარბაზში ბრძანდებოდა. დარბაზი სიგრძით 110 ფუტი იყო, სიგანით 40. სასახლე მტკვრის პირზედ იდგა და მტკვრის მხრივ დარბაზი ახდილი იყო. დარბაზის საროთით ნაკეთებს ჭერს იმაგრებდა რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი, რომელთა სიმაღლე იყო 35—40 ფუტამდე. მთელი დარბაზი შვენიერის ხალებით იყო მორთული. მეფე და დიდებულნი შემოსხდომოდნენ სამს პატარა ბუხარს. ეს ბუხრები და რამდენიმე მაყალი ისე კარგად ათბობდნენ დარბაზს, რომ კაცი სიცივეს სრულებით ვერა ჰგრძნობდა. მეფე შაჰნაოზს მიმსვლელნი ისევე აძლევდნენ სალამს, როგორც ყაენს: ორ-სამ ნაბიჯზედ რომ მიუახლოვდებოდნენ, მუხლს უდრეკდნენ და სამჯერ ზედი-ზედ თაყვანს სცემდნენ. მეფეს სამჯერ დავუკარ თავი მდაბლად, გარნა მუხლი კი არ მოვუყარე. შემდეგ ორმა დიდებულმა მთხოვა დამჯდარვიყავი. მეც დავჯექ პრეფექტთან ერთად.

„მეფეს მივუძღვენი ერთი დიდი საათი ჩუქურთმით ნაკეთებისა და მოვარაყებულის ვერცხლის კოლოფით; ერთი ვერცხლში ჩასმული ბროლის სარკე, ერთი სევადიანი ოქროს პატარა კოლოფი თრიაქის აბებისათვის, ერთი ლამაზად შემკული და დიდის ხელოვნებით გაკეთებული სადოსტაქრო ირაღის ბუდე და შვენიერი და საუცხოკო დანები. როდესაც მივესალმე მეფეს, მას არაფერი ვუთხარი და არც მას უთქვამს-რა ჩემთვის. ხოლო სუფრაზე რომ ვიჯექი, მესუფრის ხელით გამომიგზავნა ოქროს თეფშით ნახევარი ერთის დიდის პურისა, რომელიც მის წინ იდვა, და შემომითვალა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი აქ ყოფნაო. მეორე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფემ გამომიგზავნა ღვინო იმ თასით, რომლითაც თვითონ სვამდა. ღვინო ოქროს სევადით მორთულ საღვინეში იდგა, თასიც ოქროსი იყო და გარედგან ლალითა და ფირუზით მოჭედილი იყო. ერთმა კეთილშობილთაგანმა მოგვართვა ეს ღვინო და გვითხრა: „მეფემ შემოგითვალათ: მიირთვითო, იმხიარულეთო, ნუ მოგიწყენიათო“. შემდეგ, მესამე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფე უფრო დაგვიტკბა. მოიტანეს შემწვარი. მეფემ გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეშხა და შემოგვითვალა: „თუმცა ნადირის ხორცზე ღვინო კარგია, გარნა მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო“. აღარ გავაგრძელებ სიტყვას იმაზედ—თუ რა წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს; მხოლოდ ამას ვიტყვი: ღვინო ბევრი სვეს, გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, მოჰქონდათ სახსნილოცა და სამარხოც, რადგან საღილზედ პატრიარქი და ეპისკოპოსებიც იყვნენ, რომლებიც ხორცს არასოდეს არა სჭამენ.

„16 თებერვალს 1673 წ. მეფემ მიმიწვია თავის დისწულის ქორწილში. ჯვრის-წერა სასახლეშივე იყო. ჯვრის-წერა თითქმის გათავებულიყო, როდესაც მივედით მე, მამა პრეფექტი და მამა რაფიელი. ჯვარს სწერდენ იმ დარბაზში, რომელშიაც წინა კვირას ჩვენ ვისადილეთ. ძლიერ მსურდა ჯვრის წერის ნახვა, გარნა დარბაზი ქალებით სავსე იყო და ამისათვის კაცებს აღარ უშვებდნენ. დარბაზში იყვნენ მხოლოდ მეფე, მისი ახლო ნათესავები, ქათალიკოსი და ეპისკოპოსები. ქართველებმა ქალებს აუკრძალეს კაცებში ყოფნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან. ეს წესი ჯერ მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული, ხოლო სოფლებში კი და იმ ადგილებში, სადაც მაჰმადიანები არ არიან, ქალები უპირველადეოდ დადიან და სრულებითაც არ ეკრძალებიან ვაშკაცებს და მათთან ლაპარაკს. მაგრამ რადგან მაჰმადიანთ რჯული და ჩვეულება თან-და-თან ვრცელდება საქართველოში, ამიტომ ქალებს თავისუფლება დღე-დღეზე უფრო აკლდებათ. ქორწილი სასახლის აივანში გამართეს. აივნის ირგვლივ ტახტები გაემწკრივათ. აივანი დახურული იყო დიდის ჩარდახით, რომელიც ხუთს სვეტზე იდგა. ყოველი სვეტი სიმაღლით იყო 22 ფუტამდე. ჩარდახის ქვემო მხარეს გაკრული იყო ოქსინო, ხავერდი და ბრელი ტილო, და ყველა ეს ისე შვენიერად და ხელოვნურად იყო შემკობილი, რომ ლამპრების შუქზედ ისე გეგონებოდათ, თითქო ყვავილებით არის მორთულიო. ამ დარბაზის შუა იყო დიდი აუზი. იატაკი დაფენილი იყო შვენიერის ხალიჩებით. 40 დიდი ლამპარი ანათებდა აქაურობას. 4 ლამპარი, რომელიც მეფის ახლოს იდგა, ოქროსი იყო, სხვები ვერცხლისა.

ყოველი ლამპარი 40 გირკანქიანი იყო. სტუმრები ტახტზედ ისხდნენ. მეფე უფრო მაღალს ტახტზედ იჯდა. სამეფო ტახტი გუმბათის მსგავსის ფარდახით იყო დახურული. მეფეს მარჯვნივ თავისი შვილი და ძმები უსხდნენ, მარცხნივ—ეპისკოპოსები. ახალ სიძესაც მეფის ახლო ჰქონდა ადგილი. ქორწილში იყო ასიოდე კაცი. მესაკრავენი ძირს ისხდნენ. როცა დავსხედით, ცოდა ხნის შემდეგ კათალიკოზმა შემოიყვანა სიძე, რომელსაც მიულოცეს მისმა მშობლებმა და საჩუქარი მიართვეს, ესევე მოიქცა სტუმრების უმეტესობა: ყველამ თავის ხარისხის-და-გვარად მიულოცა სიძეს და დაასაჩუქრა ოქრო-ვერცხლის ფულითა და თასებით. ვახშამი ასე დაიწყო: ყველა სტუმრების წინ გაშალეს სუფრები, მერე მოიტანეს პური, ქაღალდივით თხელი, თითის სისქისა და დაშაქრული. ხორცი მოიტანეს ვერცხლის დიდრონ ლანგრებით, რომლებიც დახურული იყო. ყოველი ლანგარი წონით იყო 50—60 მარკა. ლანგრებს შემომტანნი სეფის კარებში აწყობდნენ, სხვა მოსამსახურეები მიართმევდნენ მეუფეს, რომელიც საჭმელს ანაწილებდა თეფშებზედ და უბრძანებდათ, სტუმრებს მიართოეითო. ჯერ მეფეს მიართმევდნენ ხოლმე და მერე სხვებს—უმცროს-უფროსობის კვალობაზედ. სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითო თავი 60-დე ლანგრით მოდიოდა. პირველი თავი საჭმელი იყო სხვა-და-სხვა ნაირი ფლავი—ყვითელი შაქრითა, დარიჩინითა და ზაფრანით შეზავებული, წითელი ბროწეულის წვენით. მეორე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, შვენიერი მომჟაოდ მოხრაკული ხორცი და სხვ. მესამე თავი იყო შემწვარი. სამღვდელოთათვის მოჰქონდათ აგრეთვე თევზი, კვერცხი და მწვანილი. საკვირველის

წესიერებითა და სიჩუმით მოჰქონდათ საქმელები. ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. ჩვენ სამი ევროპიელი უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ის 150 კაცი, რომელიც დარბაზში იყო. საკვირველი იყო აგრეთვე სუფრის იარაღი და ავეჯეულობა. სუფრაზედ იყო 120-დე ღვინის სასმური: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, 12 აზარფეშა და სხ. აზარფეშები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი ძვირფასის თვლებით მოჭედილი, ზოგი ვერცხლისა. ყანწები ძვირფასის თვლებით იყო მოოქვილი. დაილია ბევრი ღვინო თასებითა და ყანწებით. „ალავერდი“ და „იახშიოლ“ გაისმოდა... გათავდა ვახშამი. შინ წამოვედით. მეფემ შემომითვალა: ძლიერ მსურს ევროპიელები დასახლდნენ საქართველოშიო და გვიბრძანა: თუ აღებ-მიცემისთვის მოვლენ ევროპიელები, გავანთავისუფლებ ყველა გარდასახადისაგანაო და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენო. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდე, დიდი გავლენა მაქვს. სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთშიო და ამიტომ ევროპიელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის საქართველოზედ უკეთესს გზას ვერ იპოვიანო. თუ ერთხელ სცადეს და ამ გზაზედ გაიარეს, მერე აღარ დასტოვებენ ამ გზით სიარულსო. მე დავჰპირდი, რომ მეფის ბრძანებას შევასრულებ და მისს სურვილს ევროპიელებს გამოვუცხადებ“. *)

---

*) Voyages en Perse et autres lieux de l'orient.

ტურნეფორი, რომელიც იყო საქართველოში 1701 წელს, სწერს*):

ტფილისი—საკმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია. სახლები აქ დაბლებია და ცუდად განათებული, ხოლო აშენებულია აგურისა, ქვისა და თიხისაგან. ტფილისის გარეშემო შემოკლებული კედლები ჩვენებურ ბაღების გალავნებზე მაღლობი არ არის. ქუჩები ცუდად მოკირწყლულია. ციხე მაღლობზე სდგას და დაჰყურებს ქალაქს, გარნა თითქმის მთლად დანგრეულია და მაგრობს მხოლოდ რამდენიმე უხეირო ბურჯების შემწეობით. ციხის მკველთ დასი სუსტია და შესდგება მაჰმადიანთაგან, რომელთაც იარაღის ხმარება ცუდად იციან. ციხის წინა სარბიელი, საცა ასწავლიან მხედრობას, ვრცელია და ციხის გარეშე, სხვა შესავალი ქალაქს არა აქვს. მეფის სასახლე, რომელიც ციხის ქვემოა, ყურადღების ღირსია ისევე, ვითარცა ბაღები, მოედანი და ბაზარი... სასახლიდგან ჩვენ წავედით აბანოებში, რომელნიც არა ეგრე შორაკენ მას. აბანოებში გამოყვანილია გოგირდიანი თბილი წყაროები; მათში არის მოთბო და ცივი წყალიც. აბანოები სუფთად შენახულია და მოქალაქეთათვის ერთად-ერთს გასართობს წარმოადგენენ. უმთავრესი სავაჭრო ტფილისისა არის ტყავები და ბეწვეულობა, რომელიც გაქვთ სპარსეთსა და კონსტანტინეპოლს არზრუმიდგან. ადგილობრივი აბრეშუმი ტფილისში არ შემოაქვთ, რომ ბაჟი არ გადიხადონ და ადგილობრივვე ჰყიდულობენ მას ტფილისის სომხები და პირდაპირ გზავნიან ზმირნას და ხმელთა-შუა ზღვის ნავთ-საყუდლებში ფრანგ-

---

* Сборн. свѣд. о Кавк. т. VI, ст. 283—285.

თათვის მისასყიდად. ტფილისის მიდამოებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან ყოველ-წლივ იგზავნება 2,000 აქლემის საპალნე ენდრო; არზრუმიდან ენდრო შეაქვთ დიარბეკირს, საცა მით ღებავენ ფარჩეულობას პოლონელთა ქარხნებისათვის. საქართველო ბევრ ენდროს აძლევს ინდოსტანსაც... ჩვენ ვნახეთ ტფილისის ბაზარიც, საცა ჰყიდიან სხვა-და-სხვა ხილს და მათ შორის ქლიავსა და ფრიად კარგ მსხალს. ჩვენ აგრეთვე ვნახეთ მეფის საზაფხულო სახლი მისის მშვენიერის ბაღით, რომელიც არის იმ გარეუბანს, საიდგანაც გზა მიიმართება ოსმალეთისკენ. საზოგადოდ ტფილისში ბაღები უფრო კარგად მოვლილებია, ვიდრე ოსმალეთში. ტფილისში დაახლოვებით 20,000 მცხოვრებია, რომელთაგან 14,000 სომეხია, 3,000 მაჰმადიანი, 2,000 (?) ქართველი და 500 რომის კათოლიკენი. ეს უკანასკნელნი სომეხ-კათოლიკენია, რომელნიც ძლიერად მტრობენ დანარჩენ სომხებს... ტფილისში ჩვენ ვცხოვრობდით იტალიელ კაპუცინებთან, რომელნიც ძლიერ უყვართ საქართველოში. მათი ხელობა ექიმობაა. ჩვენ დროს იქ მხოლოდ სამი კაპუცინი იყო და მათ შორის ორი პატერი... საქართველოს ეკლესიას განაგებს მიტროპოლიტი, რომელიც ექვემდებარება (?) ალექსანდრიის პატრიარქს. სპარსთა მეფეები ამტკიცებენ ქართველთა მიტროპოლიტებს შეუვიწროებლად და ამასთან არც ძღვენს იღებენ მათგან. ასრე არ არის სომხის ეკლესიის მოთავის (რომელიც ერე-

ვანშია) დამტკიცება. მის დამტკიცებას ყოველთვის უნდება დიდი ფული და გარეშე ამისა კიდევ ყოველწლიური ხარკი ცვილით, რომელიც იგზავნება სპარსეთს. საზოგადოდ სპარსთ ეზიზღებათ სომეხნი და უყურებენ მათ ისე, როგორც მონათა ფერას, რომელთაც ვერ შეუჩვევიათ თავისი თავი ომისა და განდგომისათვის. ყაენის საქართველოზე უფლება იმაზედ მეტი უჯდება, რასაც ეს ქვეყანა აძლევს მას. ეს იმიტომ, რომ ამ ქვეყნის შესარჩენად თვის ხელმწიფეებაში იძულებულია მიიმხროს საქართველოს წარჩინებული გვარეულობანი, აძლიოს მათ დიდი ულუფა, რადგან უამისოდ იგინი მიემხრობიან თავის მეზობელ ოსმალეთს და გამოუდგებიან სპარსეთს. მართლ-მადიდებელთა ეკკლესია ხუთია, 4 შიგ ქალაქში და 1 გარეუბანში; სომეხთ აქვთ 7 ეკკლესია; 2 მეჩითია და ორივე ციხეში. მესამე მეჩითი, ციხის გარე მყოფი, გაუქმებულია. ქართველთა უმთავრეს ეკკლესიას სიონი ჰქვიან. იგი აღმართულია დაქანებულს კლდეზედ, მტკვრის პირას და ლამაზი და მკვიდრი შენობაა, სულ თლილის ქვით ნაშენი. იგი მაღლა სრულდება მშვენიერის გუმბათით. ტფილელი აქვე სცხოვრობს. ქრისტიანეთა ყველა ეკკლესიას აქვს ზარები და სამრეკლოები ჯვრებით თავზე. მაჰმადიანი მუყრები შიშით ვერ იწვევენ მაჰმადიანებს სალოცავად მეჩითებში: ამ შემთხვევაში მათ ქვას დაუშენდნენ ქრისტიანენი. კაპუცინების ეკკლესია ძალიან პატარაა".

სწორედ ამ დროს ქართლში მეფობდა ერეკლე I (ნაზარალიხანი), რომელიც 14 წელიწადს ყაენის კარზედ იყო და იქ შეეჩვია ყოველგვარ სიბილწეს, შვებალხინს, ლირწად და უშვერად უბნობას და სხ. ამ ნაზარალიხანმა ტფილისი სპარსებს დაუტოვა, თვითონ სასახლე აიგო ნაგებს, სადაც დროს ატარებდა ნადიმობითა და მგოსნით. ქვეყნის მართვა ჩააბარა სპარსებს, თვისი მოხელეები ჩააყენა ტფილისსა, გორსა და სურამს. მეცხოვნე ყიზილბაშნი იტაცებდნენ ქართველებს და ჰყიდდენ.

მ. ჯანაშვილი.

გოტჰოლდ ლესსინგი

(დასასრული *)

ჰამბურღში, როგორც ვსთქვით, ლესსინგი ცუდს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და სულის მოსაბრუნებლად და გასართობად უნდოდა მიეტოვებინა პრუსია და გამგზავრებულიყო რომს. მაგრამ ამ დროს მას შეეშთხვა ერთი დიდი, თვალ-საჩინო გარემოება და თავისი განზრახულება ვერ შეასრულა.

ჰამბურღში ლესსინგი გაეცნო ერთს დიდათ განათლებულს ვაჭარს კენიგს და იმის ცოლს—ევას. ლესსინგმა დაუხშირა კენიგისას სიარულს და ძალიან დაახლოვებითაც გაიცნო ვაჭრის ცოლი ევა. ლესსინგმა, ბოლოს კარგად შეატყო თავის თავს რომ გარდა უბრალო, ჩვეულებრივი პატივის ცემისა, განსხვავებული, არა ჩვეულებრივი გრძნობაც უღვივის გულში ევასადმი. ეს იყო მასთან საუკუნო დამეგობრებისა და დაკავშირების სიყვარული, რომელიც, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ლესსინგის ჰამბურღიდან იტალიაში წასვლას. ამ დროს უეცრივ ამბავი მოვიდა, რომ კენიგი, რომელიც ვენეციაში იყო სავაჭრო საქმეებისათვის წასული, გარდაიცვალაო და აი, ამ გარემოებამ ხელი შეუშალა ლესსინგის იტალიაში გამგზავრებას. კენიგის გარდაცვალების შემდეგ, ლესსინგმა გადასწყვიტა, ცოლად შეერთო ევა. სწორედ ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ორი ადამიანი ერთმა-

*) იხ. „კრებული“ № 3.

ნეთს ძილიან დაახლოვებით იცნობდენ, მაგრამ ლესსინგი მაინც ვერ ბედავდა იმ ქალისათვის გაემჟღავნებინა თვისი ძვირფასი საიდუმლო და დაფარული გრძნობა. ბოლოს, როდესაც კარგად დარწმუნდა, რომ ევაც უარს არ მეტყვისო, განუცხადა ქალს თვისი სურვილი. ევამ რასაკვირველია, უარი არ უთხრა, მაგრამ სწორი და გარდაწყვეტილი პირობა და თანხმობაც ვერ მისცა. ქვრივს ფიქრად ჰქონდა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ აწეწილ-დაწეწილი საქმეები და ფულების ანგარიში ცნობასა და რიგში მოეყვანა და შემდეგ მისთხოვებოდა ლესსინგს... ჰამპურღში ლესსინგმა ბიბლიოთეკარის ადგილი იშოვნა და ჯამაგირად 600 ტალერს აძლევდენ. ამ დროს ლესსინგს თვისი საყვარელი მოხუცებული მამაც გარდაეცვალა და უპატრონოდ, ვალებში ჩაფლული მთელი ოჯახი მამისა სულ ერთიანად კრიტიკოსს დააწვა კისერზე. მოხუცებული დედა იმისი და ძმები სულ მუდამ წერილს სწერდენ და იმ ბარათებში მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდენ: ფული მოგვაშველე, ფული და ფულიო...

ყველა ამ მძიმე და აუტანელმა გარემოებამ ლესსინგი დასცა სულით და ძლიერ დააუძლურა. აი, რასა სწერს იგი ერთს წერილში თავის ძვირფასს სატრფოს ევას, საყვარელი მოხუცი მამის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყო: „აგერ ექვსი დღეა თითქმის, რომ მე აღარაფრის ნიჭი აღარა მაქვს. ვზივარ ჩემთვის მარტოხელად, ყველასაგან მიტოვებული და გამწარებით მუშაობას ჩავულრმავდი... ჭეშმარიტად, მე ჩემს საკუთარს თვალებშივე ძლიერ სამწუხარო როლს ვთამაშობ, და მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ყოველისფერი უნდა უეჭველად გამოირკვეს, გაშუქდეს, ხოლო მე მალ-მალ, ხშირად უნდა ვიყურებოდე წინ, მომავლისაკენ, და სულ ცოტად-კი უკანისაკენ და წარ-

სულისაკენ მოიქეცით თქვენც აგრე, ჩემო ძვირფასო მეგობარო და ნუ დაჰკარგავთ იმ გამბედაობას და გმირულს სულის სიმტკიცეს, რომლის გამომხატველიც ბრძანდებოდით თქვენ ყოველთვის...“ თავის უნცროსს ძმას კი სწერს: „ვიცხოვროთ ისე პატიოსნად, როგორც ცხოვრობდა ჩვენი მამა, რომ უფლება გვქონდეს ვისურვოთ ისე უეცრივ სიკვდილი, როგორც მოკვდა მამა-ჩვენიო...“

მამის სიკვდილმა კინაღამ შეშალა ლესსინგი და 1771 წელს მძიმედ გახდა ავად... გაიარა რამდენიმე ხანმა და ლესსინგი ძლივს მოხედვით შეიქნა. ამ დროს იგი შეუდგა ადრევე დაწყებულ ტრაგედიის „ემილია ჰალოტტის“ შემუშავებას. ამავე ხანებში მან დასტამბა თვისი საუკეთესო ცნობანი „ლიტერატურისა და ისტორიის“ შესახებ, რომელშიაც ლესსინგმა პირველად გაატარა რაციონალური საღვთისმეტყველო აზრები და ამ გარემოებით ლესსინგი გაება ერთს უშველებელს ცხარე და მღელვარებით სავსე პოლემიკის საქმეში. ამ დროს ლესსინგს საქმეები ძალიან აეწეწ-დაეწეწა და ამასთანავე იმდენი ხნის ცდამ და ლოდინმა, რომელშიაც ევამ ჩააგდო იგი, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს ეს შესანიშნავი მწერალი და იგი განმარტოებული ხშირად იმეორებდა: „მე უკვე ვხედავ ჩემი დაღუპვის და გაუბედურების დღეს, მაგრამ დავემორჩილე მას.“

ლესსინგმა ველარ აიტანა ერთს ადგილზე ყოფნა და გასწია ვენისაკენ, სადაც ინახულა თვისი გულის სატრფო ევა, რომელიც დაითანხმა, რომ ქორწილი მომავალ წელში უნდა მოხდესო. ვენაში ლესსინგი გაეცნო ერთს ბრაუნ-შვეიღელ პრინცს, რომელმაც ლესსინგს სთხოვა იტალიაში წაჰყოლოდა. მართალია, ლესსინგი გაჰყვა პრინცს, მაგრამ ამ მოგზაურობას მწერალისათვის არავითარი სარ

გებლობა არ მოუტანია, გარდა იმისა, რომ დაბრუნების შემდეგ პრინცმა ბიბლიოთეკარს ლესსინგს წინანდელს ჯამაგირზე ცოტა მიუმატა...

ბოლოს, როგორც იყო, ლესსინგს აღუსრულდა დიდი ხნის ნატვრაც. 1776 წელს, 8 ოქტომბერს, მან ცოლად შეირთო ევა და ჯვარიც დაიწერეს. პირველ დაქორწინებულ ქმრისაგან ევა კენიგს ოთხი შვილი დარჩა. ლესსინგი ეღირსა დიდად ბედნიერს საოჯახო ცხოვრებას. იგი სულ ერთიანად გამოიცვალა, გაცოცხლდა, გამხიარულდა, თითქოს ახლად დაიბადაო. მეტად მშვიდობიანი, მიმზიდველი და გულით ღრმად მოსიყვარულე ბუნება ევასი დიდს ნუგეშს და სიცოცხლის მომგვრელს ცვრებს ჰგვრიდა ლესსინგის არსებას და ნეტარების ნათელს ცხოვრებას ანიჭებდა ამ წუთი სოფლად. 1777 წელს ლესსინგს ესტუმრა ერთი ახალ გაზდა მაგისტრი, რომელიც უდიდესი მწერალის ოჯახის მოწყობილებას აღწერს შემდეგის აღტაცებულობით: „ლესსინგი—ამბობს იგი—არის უდიდებულესი მეგობარი მთელი კაცობრიობისა, ძლიერ მომქმედი მფარველობის გამწევი კაცი, ყოველ ადამიანზე უმჯობესი, ყოველად შემწყნარებელი ხელ-მძღვანელი. ამ უდიდესს კაცთან ისეთის წარმოუდგენელის, ჩვეულებრივის უბრალოებით იმყოფები, რომ სრულიად გავიწყდება კიდეც თუ რა შესანიშნავ კაცთან გაქვს საქმე. მაგრამ უფრო უდიდესი სიყვარული, უფრო უმეტესი ალერსიანი შეწყალება და დაუყოვნებელი დახმარება, თუ კიდევ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა—ეს არის სწორედ მისი ცოლი. სხვა, იმის მსგავსი მანდილოსანი, მე იმედი აღარ მაქვს, რომ სადმე შემხვდეს...“ ნიკოლოზ ჩერნიშევსკი ლესსინგს ახასიათებს ასე: „გენიოსური ჭკუა, უკეთილშობილესი ზნეხასიათი, სიმტკიცე ნებისა, აღტაცება და სინაზე სულისა,

გული, გაშლილი თანაგრძნობისათვის ყველაფრისადმი, რაც კი რამ მოიძებნება შვენიერი ქვეყნიერებაზე, ძლიერი, მაგრამ სპეტაკი გულის-თქმანი, ცხოვრება, რომელსაც არ მოეძებნება ნამცეციც კი ბიწიერებისა და დაყვედრებისა, სავსე ბრძოლითა და მოქმედებით,—ყველაფერი, რითაც კი შეიძლება იყოს კაცი შვენიერი და დიადი, შეერთებულ იყო მასში...“

დავანებოთ ამას თავი... და დავუბრუნდეთ ისევ ლესსინგის სალიტერატურო მოღვაწეობას. ჰამბურღის მიტოვების შემდეგ, ლესსინგმა ქალაქ ვოლფენბიუტტენში დასწერა, როგორც იყო ნათქვამი, დიდ-მნიშვნელოვანი, საყურადღებო ტრაგედია „ემილია ჰალოტტი“, რომელსაც დიდი ზედ-მოქმედება და გავლენა ჰქონდა შილლერის მოღვაწეობაზე.

ქ. ვოლფენბიუტტენში, „ემილია ჰალოტტის“ გარდა ლესსინგმა დასწერა ბევრი სამეცნიერო და პოლემიკური სტატიები. დიდად შესანიშნავი და უმთავრესი პოლემიკური სტატიები სახელოვანის კრიტიკოსისა პროფესორის კლოცის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელსაც თავი თვისი შეუცოდველ მეცნიერად მიაჩნდა. გასაოცარის ძლიერებით, მღელვარებითა და ენტუზიაზმით აღსავსე დაეტაკა ლესსინგი თვის მოწინააღმდეგე-მოკამათეს და მთელი დასავლეთი ევროპის განათლებულთა თვალში „დიდებულს“ პროფესორს საუკუნოდ მოუღო ბოლო...

ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა ძლიერი და წარმოუდგენელი შთაბეჭდილები მოახდინა ყოველგან კლოცის წინააღმდეგ დაწერილმა ლესსინგის პოლემიკურმა სტატიამ: „როგორ ჰხატავდენ ძველად სიკვდილს?“ ამ სტატიაში ლესსინგმა გამოაშკარავა, თუ რა განსხვავება სუფევს კლასსიკურ ხალხთა ცხოვრების ჭეშმარიტს შეგ-

ნებასა და ნემეცების მსწავლულთა უმსგავსო გამოკვლევათა შორის. კრიტიკოსმა გენიოსურის შორს-გამჭვრეტელობით უჩვენა, რომ მათ შორის გამსკდარიყო მთელი უფსკრული. რასაკვირველია, თავ-მომწონე კლოციც, როგორც შეჰფეროდა თვის პროფესორობის ხარისხს, მთელის თვისი ჭკუა-გონების სურსათით და მომზადებულობით გამობრძანდა ლესსინგის წინააღმდეგ სალიტერატურო ასპარეზზე. ლიტერატურაში ლესსინგი კი წარმოადგენდა ამ დროს ერთს შესანიშნავს და უპირველეს მნათობს. უბედურს პროფესორს ველარაფერმა ველარ უშველა, რადგან ლესსინგი ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნით ჰხატავდა კლასსიკური ქვეყნის სულს და ხასიათს. სრულიადაც საჭირო არ არის,—ამბობს ლესსინგი,—ვატარებდე „კლასსიკის“ სახელწოდებას, რომ გავიგო კლასსიკური ქვეყნის ვითარება ისე ნამდვილად და ჭეშმარიტად, რომელზედაც თვით „მეცნიერ კლასსიკებსაც“ დაშორებული წარმოდგენაც, იქნება, არც ჰქონდეთ. და მთელი ეს ფრიად შესანიშნავი კამათი-კი სულ უბრალო, უმნიშვნელო საქმემ ასტეხა. ლესსინგმა თვისს „ლაოკოონს“ გაუკეთა ერთი პაწია სხოლიო, სადაც ამტკიცებდა, რომ ძველად მხატვარნი და ჩუქურთმის მჭრელნი საზოგადოთ ერიდებოდენ საზიზღროების და სისაძაგლის გამოხატვასო და სიკვდილს, გარდაცვალებას ძილის მსგავსად ხატავდენო, ახლანდელი დროის მხატვრებმა კი სრულიად დაივიწყეს ეს ანალოგია და სიკვდილს ჰხატავენ ძვლების ჩონჩხის მსგავსად და, შეიძლება, ამ საზარელს სანახაობას ზოგჯერ ტყავიც გადააფარონო. ძველად კი არა თუ მხატვრობაში, არამედ პოეზიაშიაც არ ჰხატავდენ ასეთს საზარელს სანახაობასო.

პროფესორი კლოცი, რომელიც წინად ძლიერ აქებ-

და „ლაოკოონს“, გადუდგა თვის აზრს, რადგანაც ლესსინგმა ქ. გალლეში მყოფობის დროს ვერ ინახულა თავმომწონე პროფესორი, რომელიც ძალიან გაჯავრებული დაეტაკა ლესსინგის სხოლიოს და, როგორც ვითომ-და შეუცოდველი „დიდებული“ მსწავლული, კრიტიკოსს საქვეყნოდ უმეცარი უწოდა. პროფესორს მოჰყავდა მრავალი ციტატი, რომლის შემწეობით უნდოდა დაემტკიცებია, რომ კლასსიკური ქვეყნის მხატვარნიც სიკვდილს, ჰხატავდენ ვითომც ძვლების ჩონჩხების სახითო. 1769 წელს ლესსინგმა პასუხად დასწერა თვისი ფრიად შესანიშნავი და საყურადღებო ტრაქტატი, სადაც მან წამოაყენა და მეცნიერულად დაამტკიცა ორი დიდი უმთავრესი ტეზისი:

1) ძველი ქვეყნის მხატვარნი ჰხატავდენ სიკვდილს, სიკვდილის ღვთაებას, ანუ გენიოსს, ადამიანის ძვლების ჩონჩხების სახით კი არა, არამედ, ჰომიროსისა არ იყვეს, იმათ წარმოდგენილი ჰქონდათ იგი, როგორც ძილის ძმა და ტყუბის ცალ ყრმად. მაგალითად, ნაძვის ხის ზანდუკზე, რომელიც იდგა ქ. ელისის იუნონას სახელზე აღგებულს ტაძარში, სიკვდილი და ძილი გამოხატულია ორის ყრმის სახით, შავისა და თეთრის სახით, რომელნიც განისვენებენ ღამის წყვდიადში. ერთი მძინარეა, მეორე კი ისეა, მხოლოდ ჭგონია კაცს, სძინავსო; იმათ ერთი მეორის ფერხნი ერთმანეთზე არიან გადახლართულნი.

2) თუ კლასსიკური მხატვარნი ჰხატავდენ ადამიანის ძვლების ჩონჩხებს, რაც საზოგადოთ ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე, ამ ძვლების ჩონჩხების სახით სიკვდილი კი არ იგულისხმებოდა, არამედ მოჩვენება, სული ისეთის გარდაცვალებულისა, რომელიც ამ წუთი სოფლად ბოროტ, ცოდვილ კაცად ითვლებოდა და ეს სულიც ბოროტი, ცოდვილი ადამიანისა იმ მიზნით გამოცხადდება ხოლმე,

რომ დააფრთხოს, შეაშინოს უღმერთო, ცოდვილი კაცები. იმ დროს, როდესაც კეთილის მყოფელის კაცთა სული მშვიდობის მოყვარე საოჯახო ღვთაებად ითვლებოდენ, როგორც მაგალითად, რომაელთა **Lares**, მაშინ ცოდვილ ადამიანთა სულები მთელი ქვეყნის არე-მარეზე დაძრწოდენ და მათ უწოდებდენ **Larvae**. აი, სწორედ ამ უკანასკნელთ ჰხატავდენ ადამიანის ძვლების ჩონჩხების სახით. ამ გვარ ნახატებს, რომელნიც ვეცხლისგან იყო გაკეთებული, მოიტანდენ ხოლმე ლხინის დროს, რომ მოქეიფეთათვის მოეგონებინათ სიკვდილი კი არა, როგორც ჩვეულებრივ ბევრსა ჰგონია, არამედ ის განსაცდელი, რომელიც სიკვდილის შემდეგ მოელის ამ გვარ ადამიანთა.

ლესსინგის ტრაქტატის ფილოსოფიურს მხარეს ჰქონდა ნამეტურ დიდი ზედ-მოქმედება. თვითოეული ჩვენგანი, სიკვდილის შვილნი, მუდამ და ყოველგან მოუსვენრად ფიქრობს და ბჭობს ამ უდიდესი ამიკანის, სიკვდილის საიდუმლოებაზე. კაცის გონებას შხამი და ცხოვრების სიმწარე ამ ფიქრში უორკეცდება და უფსკერო პესსიმიზმის ზღვაში ინთქმება. მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მეცნიერება სრულიად უძლურია სიკვდილის დასათრგუნავად. და წარმოიდგინეთ, სიკვდილის შვილთა შეშინებული, შეძრწუნებული გონება თვით სიკვდილის გამოხატულებაში ეძიებს ამ გასაშტერებელი ამიკანის აღსნას და გამორკვევას... ლესსინგმა დაუმკვიდრა შემდეგ თაობას უფრო საიმედო, სანუგეშო, ოპტიმისტური შეხედულება სიკვდილზე. „როდესაც გამოიცა „ლაოკოონი“ და კლასსიკურ ხალხთა მიერ სიკვდილის გამოხატვის შესახებ დაწერილი ტრაქტატი ლესსინგისა, სწერს გეტე, ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ყოველ-გვარ ცოდვებისგან თავი გვაქვს გამოხსნილი და სიბრალულით გაესაქერო-

დით ჩვენს მომხიბლველს XVI საუკუნეს, როდესაც ნემცების მხატვარნი და პოეტნი სიცოცხლეს ჰხატავდენ ხუმარას სახით, რომელსაც სულელის მოსასხამი ჰქონდა წამოხურული, სიკვდილს კი—კაცის ძვლების ჩონჩხის სახით, რომელიც ძვლების რახუნით მოდიოდა.“ შილლერმა ოთხს სტრიქონში პოეტურად დახატა მთელი აზრი ლესსინგის ტრაქტატისა: „მაშინ (ძველად), ამბობს იგი, მომაკვდავის სარეცელს ვერ მიეკარებოდა ძვლების საშინელი ჩონჩხი. სიცოცხლის უკანასკნელი სულის თქმა ბაგეთაგან ამბორებას უნდა მიეღო; უზენაესი ძალა მხოლოდ მაშინ ჩამოუშვებდა თვის გაბჟღრიალებულს კერეონს“.

გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ლესსინგის საოცრად ძლიერი და დაუზოგველი კრიტიკა შეიქნა სახელოვანის პროფესორის კლოცის სიკვდილის მიზეზი. კლოცი, მართლაც, ორი წლის შემდეგ ამ ტრაქტატის დაწერისა, სახელდობრ 1771 წელს, გარდაიცვალა. მაგრამ ძნელია მაინც გადაჭრით ითქვას, რომ უეჭველად ლესსინგის ტრაქტატის გამოისობით მოკვდაო... რაც უნდა იყოს, ის კი ნამდვილია, რომ სახელი და დიდება თავ-მომწონე „დიდებული“ პროფესორისა საბოლოოდ მოისპო, თუმცა თვით ლესსიგნსაც ბევრი სისხლი გაუფუჭა კლოცის წინააღმდეგ დაწყებულმა შესანიშნავმა პოლემიკამ, რადგან ლესსინგს ბრძოლის და კამათის მთელი ქარ-ტეხილი მიჰყავდა გასაოცარის ენტუზიაზმით და გამწარებულის მღელვარებით.

ლესსინგის გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი და მკვდრეთით აღმდგენელი იყო ოჯახი და განსაკუთრებით, ცოლი იმისი ევა, მაგრამ გამწარებულს მოღვაწეს არ დასცალდა, რომ ამ ბედნიერების ხანგრძლივის ნეტარებით

დამტკბარიყო. 1777 წელს, სწორედ შობის წინა დღეს, ცოლი იმისი მშობიარობის, მწარე ლოგინობის დროს შეიქნა ძძიმე ავად-მყოფი. ორიოდე დღის შემდეგ, ლესსინგი დარწმუნდა, რომ ევას მოარჩენის იმედი აღარ არსო და თვის მეგობარს პროფესორს ეშენბურგს 31 დეკემბერს სწერს სულის შემგუბებელის სიტყვებით სავსე ბარათს, სადაც გულსაკლავად მოსთქვამს ახლად დაბადებულის შვილის დაკარგვას, რომელიც სამარისაკენ მიაქანებს თვის მშობელ დედას... იანვრის 3-ს რიცხვს ლესსინგს ცოტა იმედი-ღა კიდევ მიეცა, მაგრამ 7-ს რიცხვს სწერს ეშენბურგს, რომ ცოლის გამობრუნების იმედი აღარა მაქვსო. 10-ს იანვარს კი შემდეგს სწერს: „ჩემი ცოლი გარდაიცვალა, მე ახლა ეს განსაცდელიც ავიტანე. მიხარია, რომ ამის მსგავსი განსაცდელი მეორე აღარ დამატყდება თავზე. ეს აზრი მე შვებას მაძლევს. მიხარია ისიც, რომ დარწმუნებული ვარ თქვენისა და სხვა ჩვენ მეგობართა თანაგრძნობაში“...

ცოლის სიკვდილმა დიდად შეარყია ლესსინგის მთელი არსება და ცხოვრება. იგი, თუმცა ჯერ კიდევ ორმოც და ათის წლისაც არ იყო, მაგრამ გული გაუტყდა, წელში მოიხარა და ისე ძლიერად მოხუცდა, რომ თვალთა სიცოცხლის გამომეტყველებაც მოაკლდა და წინანდელი მიმზიდველი საუბრის შნოც ძალიან დაჰკარგა. ლესსინგმა თვალი მოარიდა საზოგადოებას და შვიქნა ღრმა მწუხარებით სავსე გულ-ჩათხრობილი და მგლოვიარე. ცოლის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ, იგი თვის წერილებში მწარედ ჩივის აუტანელს უბედურს ცხოვრებას, მძიმედ დაავადმყოფებას, სიცოცხლის ძალთა მოქანცულობას და წარმოუდგენელს უძლურებას. „მე, სწორედ ვსთქვა, ავად არა ვარ, —სწერს იგი გამო-

ჩენილს რაციონალისტს, პროფეოსორს რეიმარუსს, მხოლოდ კი-არც კარკადა ვარ.“ „კარგად არ ყოფნა“ კრიტიკოსისა ნამეტურ უფრო გააძლიერა ახალმა პოლემიკურმა ბრძოლამ, რომელიც ლესსინგმა აუტეხა იმ ხანებში მთელი პრუსიის ღვთის-მეტყველ სახელოვან მსწავლულებს. ასეთი განსაცდელით სავსე, ასეთი დიდად სახიფათო კამათი ლესსინგს არ შეხვედრია მთელს თავის სიცოცხლეში. თუ კიდევ სადმე მოიძებნებოდა ნემენცების მთელს ქვეყენაში ახალ-გაზდა, ან მოხუცებული მსწავლული ღვთის მეტყველი-ყველანი ერთხმად, შეერთებით დარაზმული დაეტაკენ ნახევრად წელში გაწყვეტილს ლესსინგს და ასტყდა ერთი უშველებელი, წარმოუდგენელი ქარიშხალი, რომლის მსგავსი ჯერ არ მოსწრებია არსად არავის. სხვათა შორის, ჰამბურგელმა პასტორმა მელხიორ გეცემ ლესსინგის შესახებ დასწერა დაბეზღების წერილი, ნამდვილი „დანოსი“ და ბეჭდვითი სიტყვით ამტკიცებდა საქვეყნოდ, რომ ლესსინგმა გამოსცა ისეთი ხელთ-ნაწერი, რომელიც ხელმწიფის, სახელმწიფოს და სარწმუნოების დიდ საქმეს თავდალმა, პირქვე ამხობს და ქვეყანას უქადის დიდს უბედურებასო. შესანიშნავია ლესსინგის სულ-გრძელება და ხასიათის სიმტკიცე! თუმცა ლესსინგი ამ უშველებელი და გაცხარებული კამათობის დროს ჯან-მრთელად ვერ იყო, მაგრამ ჰამბურღელ მსწავლულს ღვთის-მეტყველს დაეტაკა ისეთის გასაშტერებელის მღელვარებით, გამწარებულის ძლიერებით და წარმოუდგენელის ლოღიკით, რომ თითქმის პროფესორის კლოკის წინააღმდეგ ატეხილს ბრძოლასაც აღემატა და ამ პოლემიკამ დაჩრდილა ლიტერატურაში ყოველისფერი. დიდად მსწავლული ღვთის მეტყველი გეცე მოკამათის საბუთიანმა და ძლიერმა ტას-

ტიამ საუკუნოდ წელში გასწყვიტა და კედელზე მიწებებულ ქალალდივით სამარცხვინო ბოძზე მაგრად მიაკრა. შერცხვენილმა და თავ-მოჭრილმა გეცემ პოლიციას მიმართა და თუმცა ლესსინგს აღუკრძალეს ხელთ-ნაწერის დასტამბვა, მაგრამ ლესსინგი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა, და არა თუ დასტამბა ხელთ-ნაწერი, გამოსცა კიდეც იგი. ამ ნაშრომში ლესსინგი „ატეისტურს“ აზრებს როდი ქადაგებდა. კრიტიკოსი იყო რაციონალისტი და რაციონალური აზრების მხურვალე მქადაგებელი საღვთისმეტყველო საკითხთა და საქმეებში...

იანვარში, 1781 წელს ლესსინგი გაემგზავრა ბრაუნშვეიღს, რომ, ცოტაც არის მაინც, საზოგადოებაში გართულიყო. წასვლის წინად თვის მეგობარს მენდელსონს მისწერა ბარათი, რომელიც თავდებოდა ასეთი უნუგეშო სიტყვებით: „უკანასკნელი სცენა დასრულდა“... ლესსინგს გულის წუხილი აუვარდა, სულს ვეღარ იბრუნებდა, ეგუბებოდა სული საშინლად. 1781 წელს, 15 თებერვალს, დილით, ძალიან კარგად იყო; მაგრამ საღამოს, ჩაწვა თუ არა ლოგინში, მაშინვე სული ძლიერად მოაწვა, ცნობა დაეკარგა და უეცრად თვალის დახამხამების უმალვე გარდაიცვალა. ლესსინგმა მხოლოდ 53 წელიწადი ღა იცოცხლა. ლესსინგის სიკვდილის შემდეგ, იმისი გულითადი მეგობარი მენდელსონი კრიტიკოსის ძმას კარლს სწერს: „ჩვენი ძმის ბიოგრაფს შეუძლია სთქვას: „ლესსინგმა დასწერა „ნათან ბრძენი“ და იგი მოკვდაო“...

V.

„ნათან ბრძენი“ ერთი უდიდესი სიტყვა-კაზმული სალიტერატურო ნაწარმოებია, რომელსაც თვით ავტორი

„დრამატიულს პოემას“ უწოდებს. ეს შესანიშნავი ნაშ-
რომი ლესსინგმა სიკვდილის მხოლოდ ორის წლის წი-
ნად დასწერა. ამ ნაწარმოებმა ბრწყინვალეებით დააგვირ-
გვინა ლესსინგ.ის მოღვაწეობა, როგორც დიდად დიდის,
სახელოვანის დრამატურგისა, კრიტიკოსისა და ფილოსო-
ფოსისა. ფილოსოფიური დრამა „ნათან ბრძენი“, რომე-
ლიც დაიწერა ავტორის ცოლის გარდაცვალების შემდეგ,
სრული და ნამდვილი გამომხატველია ლესსინგის უმთა-
ვრესი, სახელმძღვანელო აზრებისა და მიმართულების.
თვის „ნათანს“ დრამატიული პოემა იმიტომ უწოდა
ლესსინგმა, რომ სცენის ხელოვნების თვალით და მოთხო-
ვნილებით არავის განეხილა იგი, რადგან სცენისათვის
არ არის დაწერილი ეს ნაწარმოები. და თუ მაინცა-და-
მაინც იმაში ზოგან არის სასცენო ადგილი, ეს, რასა-
კვირველია, თავის თავად, უნებურად უნდა მომხდარიყო,
იმიტომ, რომ ლესსინგი, ყველამ იცის, შესანიშნავი,
ერთი დიდი მცოდნე იყო სცენისა.

ლესსინგმა თვისი „ნათან ბრძენი“ წმინდა საზნეობო
და საფილოსოფიო მიზნით და განზრახვით დასწერა.
ლესსინგი აქ, მართალია, მომქმედ პირად ხატავს დიდი ხე-
ლოვნური და ისტორიულის სინამდვილით, მაგრამ „ნა-
ნან ბრძენი“ უფრო გამომხატველია საკაცობრიო ტიპე-
ბისა, რომელნიც ნათლად და აშკარად წარმოგვიდგენენ
წინ საზოგადოთ კაცთა საქციელს, ზნე-ხასიათს და უმალ-
ლესი გრძნობა-გონების მოქმედებას. მაგრამ ეს საერთო,
საკაცობრიო ტიპები, რომელთაც, როგორც იყო ნათ-
ქვამი, უდიდესი, ღრმა ფილოსოფიური მნიშვნელობა
აქვთ, საოცარის ნიჭიერებით, უმეტ-ნაკლებოდ ჰხატავენ
ადამიანის არსების ფსიხოლოგიურს მხარეს, მის ხასიათს
და ყოფა-ქცევას, ზნეობას. ნათანი, მართალია, რწმენით

და აზრებითაც დიდი, უკეთილ-შობილესი ბრძენია, მაგრამ იგივე ნათანი სისხლ-ხორცში მყოფი მომქმედი პირია, ცოცხალი შვილია ცხოვრების დაუცხრომელის დულილისა და მღელვარე მოძრაობის. მართლაც, როგორი უბრალოდ გასაგებია, ადვილად მისახვედრია და ნაცნობი ის ხარწმუნო დასაჯერებელი ისტორია, რომელსაც ნათანი უამბობს მონასტრის მოსამსახურეს ?!... მრავლის უმრავლეს წლებს გაუვლია მას აქეთ, რაც ქრისტიანებმა ქალაქს გატში ამოსწყვიტეს ებრაელნი და იმ უბედურების ცოლ-შვილნი. ნათანს დაელუპა ცოლი და შვიდი ვაჟი-შვილი. მთელი სამი დღე და ღამე გაატარა ნაცრად და მტვრად ქცეულს მიცვალებულთა შორის მწარედ მომტირალე და ღრმად მწუხარე ნათანმა, რომელიც ფიცსა სდებს, რომ ქრისტიანებს შეუბრალებლად გაჟლეტს, მაგიერს გადაუხდის, შურს იძიებს. მაგრამ, ბოლოს, ცხოვრების ქარ-ტეხილმა შეაშთო აღშფოთებულ გულში დატრიალებული ცეცხლი, დამჯდარმა და გამოცდილმა ჭკუა-გონებამ თვის ნებაზე წაიყვანა და ნათანი დაემორჩილა უზენაესს ძალას. ამ დროს იმასთან მოდის შვენიერს ცხენზე მჯდომარე ვინმე მხედარი და ქრისტიანს ბავშვს აძლევს ხელში. ათრთოლებულს ნათანს ხელ-აპყრობით მიჰყავს ბავშვი, აწვენს თვის საკუთარს სარეცელზე, ნაზის სიყვალით ეამბორება ბავშვს და მის წინაშე მუხლ-მოდრეკილი თვალ-ცრემლიანი სტირის მოთქმითა: „ღმერთო! შვიდი ვაჟი-შვილის მაგივრად ეს ერთი-ლა ხომ მაინც მოგიცია შენ ჩემთვის“...

ნათანი, მართალია, თუმცა ბრძენია, მაგრამ როგორც უბრალო, ჩვეულებრივი ხასიათის კაცი, იმისთვისაც შესაძლებელია, რომ მოიკვეთოს და დაიმორჩილოს, შეშთოს თვისი საკუთარი გულის-თქმანი, ბუნების უსიამოვ-

ნო გრძნობანი. მთელი ეს შესანიშნავი დრამატიული ნაწარმოები გასაოცარის თან-და-თანობით, ლოდიკურის ძლიერებით ჰხატავს ამ უმთავრესი მომქმედი პირის ხასიათსა და ყოფა-ქცევას. ლესსინგი გვიჩვენებს აგრეთვე, თუ როგორის განაზებულის მოწიწებით და დიდი სათნოებით ზრდის თვის შვილად აყვანილს რეჭას. თვით რეჭა პიესის დასასრულს ეუბნება ხვანთქარის დას, სიტტას, რომ იგი უბრალო, დაბალი წრის, გაუნათლებელი ქალწულია, რადგან მის მამას ნათანს არ მოსწონს წიგნებიდან „მკვდარი ნიშნებით“ ამონაკითხი სწავლა-მოძღვრება. საყვარელი მამა თვის უმანკო რეჭას დიდის ალერსით უზრდის სიცოცხლით სავსე ღრმა სიყვარულის გრძნობებს, უჩვენებს მაგალითებით მიმზიდველს პატიოსანს საქციელს და მოქმედებას. ღრმა რწმენის მხურვალე გრძნობით აღტაცებულს ახალ-გაზდა ქალს, როშელიც ულმობელ ცეცხლისაგან დაიხსნა და გადაარჩინა ტაძრის მოსამსახურე ერთმა მშვენიერმა რაინდმა ნათანის სახლში არყოფნობის დროს, ჰგონია, რომ კაცმა, სისხლსა და ხორცში მყოფმა ადამიანმა კი არა, თეთრად შემოსილმა ფრთოვანმა ანგელოსმა გადამარჩინა სიკვდილსო. ქალი ერწმუნება თვის მოსამსახურის, ქრისტეანი დედა-კაცის სიტყვებს, რომ იგი დიდმა სასწაულმა გადაარჩინა და ეს სასწაული კი მხოლოდ ზეციერმა არსებამ, თეთრად შემოსილმა ფრთოვანმა ანგელოსმა მოახდინაო. „როგორ!— ეუბნება ნათანი. შენ რომ ნამდვილ ტაძრის მოსამსახურე კეთილმა რაინდმა გადაგარჩინა განა ეს ამბავი კი ეფრო მცირე მნიშვნელოვანი, უბრალო სასწაულია იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი, უბრალო ცხოვრების ამბავია?“ ტრედივით უმანკო რეჭა მაინც თავისას არ იშლის. ცბიერ მოსამსახურე დედა-კაცსაც, როშელმაც დანამდვილებით იცის, რომ ქალი ჯვაროსანმა-

გადაარჩინა იმ უბედურების დღეს, რეჰას მხარე უჭირავს და მას ქომაგობს. „ცრუ ფიქრებით მოცულნო ულმობელნო—შეჰყვირებს იმათ ნათანი, რას იტყვით მაშინ, რომ ეს ანგელოსი.... ჰო, თუნდ უძლებადაც იყოს“. ამ უბრალოდ, გულის სიწმინდით წარმოთქმულმა სიტყვებმა უეცრივ გონზე მოიყვანა რეჰა და იმისთვის დადგა სულის განწირულების, სასოწარკვეთილების წამი. ნათანი უხატავს იმას სხვა-და-სხვა გვარს საშინელებას და, ბოლოს, თვითვე ამშვიდებს ამ სიტყვებითა: „რეჰა, რეჰა! მე შენ წამალს გაძლევ და არა საწამლავს... გაიგე კარგად, რომ ღვთის მოკრძალების ცრუ ფიქრი გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კარგის საქციელის, პატიოსანი საქმის ჩადენა“...

განვაგრძოთ ქვევითაც ამ უდიდესი ნაწარმოებიდან კიდევ რამდენიმე ადგილის ამოწერა, რადგან „ნათან ბრძენი“ სრულიად ახალი ხილია ქართული ლიტერატურისათვის. ლესსინგი კვალ-და-კვალ მიჰყვება ნათანის ხასიათის, ყოფა-ქცევის და საქციელის ვითარებას და ნათლად გვირკვევს, თუ როგორ, რა და რა გარემოების ძალით შემუშავდა ნათანის მსგავსი ტიპი. ბოლოს, ავტორი წინ გვიყენებს ისეთს იდეალს, რომელსაც, ავტორისავე ფიქრით, ძალიან ადვილად მისწვდება ყოველი გონიერი ადამიანი. ნათან ბრძენი ესაუბრება ჯვაროსანს რაინდს, სადაც იხატება დიდი სიმტკიცე სულისა, მშვიდობიანი და ბრწყინვალე შეხედულება იმის ჭეშვონებისა და აზრისა. რაინდს საშინლად ეზიზღება ებრაელნი, დიდად ლანძღავს და აგინებს ამ უბედურს, დაჩაგრულს ხელს. მაგრამ უკანასკნელი საბუთიც რაინდისა, რომელსაც ხმარობს ებრაელებისა და ქრისტიანების წინააღმდეგაც-კი, სრულიად მტკრად აქცია ნათანმა

და ძალიან უბრალო პასუხს აძლევს: „განა ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენს ხალხს? რა არის ხალხი? ნუ თუ ქრისტეანი და ურია, ჯერ პირველად ქრისტეანები და ურიებია და მხოლოდ შემდეგ ამისა ხალხი?“ ამ სიტყვების შემდეგ მან აჩქარებით გაუშვირა ნათანს ხელები და დაემორჩილა...

ხვანთქარის სალადინის წინაშე მდგომი ნათანი ერთ-ხელაც არ ღალატობს, არ უარჰყოფს თავის თავს და ჩვენ გვაკვირვებს თვისის დიდად ბრძნულის აზრითა და ყოფაქცევით. სალადინი გულკეთილი კაცია, მაგრამ მაინც დესპოტია, მეტად გაუთლელი და ეუბნება მას: „ახლოს მოიწი, ურია! ახლოს მოდი, კიდე ახლოს-მეთქი! მხოლოდ კი არ შეგეშინდეს!“ ნათანი დარბაისლურად უპასუხებს: „შიში შენს მტერს ჰქონდესო.“ სალადინმა იმიტომ მოიწვია იგი, რომ ჰკითხოს მას: „რომელი სარწმუნოება სჯობია და ვისი კანონია ყველაზე უკეთესი?“ ნათანი რჩება განმარტოებული, დიდ ფიქრებში, უკვირდება ამ საკითხს და ამბობს: „მე ასე ვფიქრობდი, რომ იმას ფულები უნდა-მეთქი და ის კი არა, თურმე, ჭეშმარიტებას ისეთს წმინდას და ხალასს, თითქოს ეს ჭეშმარიტება ახლად მოჭრილი ოქროაო...“ რამდენიმე ხნის შემდეგ შამობრუნდება სალადინიც ისევ უკან და ნათანიც, პასუხის მაგივრად, დესპოტს უამბობს სამი ბეჭედის შესახებ ზღაპარს. ძვირფასი ბეჭედი (ესე იგი ჭეშმარიტი სარწმუნოება) ერთი მოდგმიდან და ნათესაობიდან მეორე მოდგმის, ნათესაობის ხელში გადადის და, თანახმად პირველი პატრონის ანდერძისა, მუდამ და ყოველთვის უსაყვარლესი შვილის ხვედრია. ბოლოს, ბეჭედი გადადის ისეთი მამის ხელში, რომელსაც სამი შვილი ჰყავს და ეს სამივე თანაბრად უყვარს მშობელ მამას. იმ დროს, როდესაც კვდება

მამა, რომ არც ერთს შვილს გული არ დასწყვიდოს, საიდუმლოდ, ფარულად უთვლის ძვირფასი ქვების მთლელს ოსტატს, ორი იმ გვარივე და სწორედ იმ ფერისავე ბეჭედი კიდევ გააკეთოს. მამამ სათითოოდ, შვილების ერთი მეორის დაუნახვებლად აკურთხა თვითეული იმათგანი, ბეჭედიც დაურიგა სათითოოდ და მოკვდა. მამის სიკვდილის შემდეგ, თვითოეული იმ შვილთაგანი ოჯახში ბატონობას ჩემულობს და ამტკიცებს: რომ იმისი ბეჭედი სწორედ ნამდვილი, ჭეშმარიტი ბეჭედიაო. მაგრამ ბეჭდები სრულიად ერთი მეორეს ჰგავს და, რასაკვირველია, ძნელი დასამტკიცებელიც არის, თუ რომელი იმათგანია ნამდვილი, ძვირფასი და ჭეშმარიტი ბეჭედი...

— „როგორ! შეჰყვირებს სალადინი. შენ ხუმრობ ჩემთან თუ! ნუ თუ ყველა სარწმუნოება და რჯული ერთნაირი და თანასწორია? ისინი ყველაფერში სხვა და სხვაა, თითქმის სასმელსა და საჭმელშიაც კი.“

— „მაგრამ იმათი მთავარი საფუძველი ხომ არა, უპასუხებს ნათანი. განა ყველა ისინი ისტორიასა, საღმრთო წერილს და ძველთაგან გადმოცემულს თქმულებაზე არ არის დაფუძნებული? და ისტორიას ხომ უნდა ვერწმუნოთ, დიდი გულის რწმენით უნდა მივიღოთ იგი. ხომ ასე არის? ახლა ეს ვიკითხოთ, ვისი დარწმუნება, ვისი გულის დაჯერება ყველაზე უფრო მიგვაჩნია მცირე საეჭვოდ და მართლად ჩვენ? რასაკვირველია, ჩვენივე მახლობელ ნათესავებისა და სისხლ-ხორცისა, რომელნიც პატარაობითვე, ბავშობაშივე გვილოლიავებდენ ჩვენ. განა შესაძლებელია, რომ მე ჩემს საკუთარ მშობლებს და წინაპრებს ნაკლებ ვერწმუნო, ვიდრე შენ — შენს მშობლებს და წინაპრებს, ანუ ნსკაკსი რომ მოითხოვოს შენგან ვინმემ?“

ნათანი აგრძელებს თავის ზღაპარს. შვილები ჩივიან სასამართლოში. მოსამართლე ეუბნება მათ: „მოიყვანეთ აქ მამა თქვენი, თორემ მე არ ვიცი, რომელს თქვენგანს ვერწმუნო ამ საქმეში. მაგრამ ჰო, ნამდვილი ბეჭედი, რომელიც არის და ეძებთ თქვენ, სასწაულთ მომქმედია, იმას არა ჩვეულებრივი ძალა აქვს. და იმ ბეჭდის პატრონი სწორედ იგია, რომელი თქვენგანიც იტყვის, ვის ვინ უყვარს ყველაზე უფრო. აბა, სთქვით, ვინ გიყვარსთ თქვენ ყველაზე უფრო? ხომ გაჩუმებული ხართ? თვითეულს თვენგანს ყველაზე უფრო თავი თვისი უყვარს, არა? მაშ, სჩანს, თქვენ სამივენი მოტყუებულნი და შემცდარნი ყოფილხართ. ნამდვილი ბეჭედი დაკარგულია; თქვენდა საბუგეშებლად მამამ სამი ბეჭედი გააკეთებინა და ყველა სამივენი ყალბია.“ ზღაპრის აზრი იმას ჰხატავს, რომ თვითოეულმა ამ სამთაგანმა თავ-თავისი ბეჭედი დეე, ნამდვილ ბეჭდად ჩათვალოს და იცხოვროს ამ ქვეყნად ისე, ვითომც და იგი მართლაც ნამდვილი ბეჭედი ყოფილიყოს. „დეე, თვითოეული ჩვენგანი ევლტოდეს ყოვლად შეუსყიდველს, მართალს, ყოველ-გვარ ამაოდ-მორწმუნეობისგან თავისუფალს სიყვარულს.“

ლესსინგს აქვე ჰყავს გამოყვანილი ნათან ბრძენის წინააღმდეგი ხასიათის კაციც, რომელიც პატრიარქის საქციელით და მოქმედებით ნათლად გვიხატავს სარწმუნოებით დაბრმავებულს და ფანატიკოსობით აღტაცებულს სულ-მოკლე წარმომადგენელს. ჯვაროსანი რაინდი პატრიარქს უამბობს, რომ ქრისტეანს ქალიშვილს ღვთის კეთილ-მსახურებასა და მაღალი ზნეობრივი ცხოვრებით ზრდის ერთი ურიაო, რომელსაც არ ასახელებს და მორჩილებით მოახსენებს: როგორ მოვექცე ასეთს ურიასო? პატრიარქი

აძლევს შესანიშნავს კლასსიკურს პასუხს: „ურია დაიწვას!“ (Der Jude wird verl brannt).

ამ მსოფლიო სალიტერატურო ნაწარმოების გარდა, სიკვდილის წინად ლესსინგმა კიდევ დასწერა ერთი დიდი ფილოსოფიური ტრაქტატი, სადაც გაარკვია სარწმუნოება-სჯულის დიდ-დიდი საქმეები, კაცობრიობის ისტორიის გონებრივი და ზნეობრივი ვითარების საკითხნი.

ასე დასრულდა ქარიშხალითა და შხამ-ნაღველით სავსე ცხოვრება ამ გენიოსის კაცისა, რომელსაც ჩვენ ჩვენი სტატიის სათაურშივე ვუწოდეთ უდიდესი რეფორმატორი. ამ რეფორმატორმა განამდიდრა ნემენცთა ლიტერატურა, შთაბერა მას უკვდავების ახალი სული და განავითარა მთელი კაცობრიობის გრძნობა-გონებაც...

ჰოტტგოლდ ლესსინგის ცხოვრების განხილვამ და გულდასმით შესწავლამ ჩვენ დაგვანახვა, თუ რა დიდი დაუფასებელი ღვაწლი დასდო მან თვისს სამშობლო ქვეყანას, რაოდენი ზედ-მოქმედება და გავლენა იქონია მან იმ დიდ პოეტებზე, რომელთაც საქვეყნოდ განითქვეს სახელი. ლესსინგი ერთი იმ დიდ მწერალთაგანია, რომელიც თვით-მყოფი, დამოუკიდებელი გრძნობა-გონებით იკვლევს გზას, სწავლობს, უკვირდება და ულრმავდება ცხოვრების მოვლენათა რთულს მრავალ-გვარობას და ძლიერის ანალიზის განმკვეთის იარაღით ჰქმნის მხატვრობა-ხელოვნურს, სიტყვა-კაზმულს ლიტერატურას. ამავე დროს იგი გვერდში უდგას მეცნიერების და ფილოსოფიის ვითარების დიდს საქმეს, ითვისებს თვის თანამედროვე საზოგადო აზრებს და სინტეზის ძალით ამუშავებს სახელ-მძღვანელო პრინ-

ციპებს, რომ გზა გაუკაფოს მთელი მოწინავე საზოგადოების და შემდეგი თაობის ჭკუა-გონებას. როგორც ვიცით, ლესსინგმა შექმნა ახალი დრამატიული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურის ესტეთიური ისტორია. პირველად მხოლოდ ლესსინგმა დაიწყო პრუსიაში რომანტიზმის ძლიერი და დიადი აღორძინების საქმე და საუკუნოდ მოსპო იმ დროში გაბატონებულ ცრუ კლასსიციზმის ტახტი ლიტერატურაში. ლესსინგს მოხვეჭილი და დამკვიდრებული აქვს სახელი პირველი და შესანიშნავი იდეალისტისა, რომელმაც დაუმკვიდრა ნემენცურს ლიტერატურას ნამდვილი მსოფლიო მნიშვნელობა და დიდი საზოგადოებრივი, ჰუმანური ძალა. ამ უდიდესი მწერლის შემდეგ პრუსიაში გამოჩდნენ სახელოვანნი მწერალნი, შილლერი და გიოტე, რომელთა ნაწარმოებს ესოდენის ყურადღებით და დაკვირვებით სწავლობს მთელი განათლებული კაცობრიობა...

ლესსინგი დიდი მცოდნე იყო კლასსიკური, ინგლისური და ფრანგული ლიტერატურისა. პირველად მან გაარკვია, ახსნა და დააფასა შექსპირი, ვოლტერი და არისტოტელის აზრები. ესტეთიური კრიტიკის შესახებ გამოსთქვა სახელოვანის ენციკლოპედისტის დიდროს აზრების მსგავსი შეხედულობა დამოუკიდებლად საოცარის ნიჭიერებით და ძლიერის ლოგიკით. ბოლოს, ისე დიდად მომწიფდა და განვითარდა, რომ თავისუფლად უჩვენა ახალი გზა ლიტერატურას და ამით გაანადგურა ცრუ კლასსიციზმი. იმისი შეუპოვარი, მედგარი, მიუდგომელი კრიტიკა გამწარებით სდევნიდა უნიჭო, მაგრამ სახელმოხვეჭილ „დიდებულ ავტორიტეტებს“ ლიტერატურაში. როგორც XVIII საუკუნის გონების ვითარებას შეეფერება, ყოველი თვალ-საჩინო ფილოსოფოსი და ლიტერატორი

უეჭველად, ან სკეპტიკური, ან ნამდვილი მატერიალისტური მიმართულების უნდა ყოფილიყო, რადგან ყოველგან ევროპაში დიდი გავლენა ჰქონდა ინგლისის დიდს ფილოსოფოსს—სკეპტიკს იუმს და საფრანგეთის მატერიალისტებს, განსაკუთრებით გოლბახს... ლესსინგი იცნობდა ამ ფილოსოფოსებს, მაგრამ იგი უფრო რაციონალისტია, რომელსაც ყველაფერზე ძვირად უღირს თავისუფალი აზროვნობის კრიტიკული ზრდა და წარმატება. თუმცა, რასაკვირველია, ლესსინგის გონება გენიოსი კანტივით ერთს ფილოსოფიაზე არ იყო მხოლოდ და მარტო მიჩემებული, მაგრამ დიდის ნიჭიერებით და გაბედულობით არკვევდა და ჰქადაგებდა ლოკკისა და ლეიბნიცის ფილოსოფიის დიდ-დიდ საგნებსა და ამნაირად გზა გაუკაფა კანტის გრანდიოზულს კრიტიკულს ფილოსოფიას...

ზევით ლესსინგის კრიტიკის სახელ-მძღვანელო აზრებს და პრინციპებს როდესაც შევეხეთ მხატვრობა-ხელოვნების, პოეზიის და ერთობ ლიტერატურის შესახებ, ის აზრი გამოვსთქვით, რომ ეს კრიტიკა იმ დროის შესაფერი წმინდა იდეალისტურია-თქო, რადგან იგი უარ-ჰყოფს შვენიერების, სიტურფე-სილამაზის დახატვას ნამდვილის რეალურის ელემენტებით. ლესსინგი უფრო გატაცებული იყო ზოგადი სიტყვებით, ძლიერი ეპიტეტებით და შედარებით დახატულიყო სიტურფე-სიშვენიერე, რადგან ამაში ხედავდა მხატვრობის და პოეზიის უდიდეს მოწოდებას და დანიშნულებას. ესეთი აზრები, ჩვენის ფიქრით, დღეს დროს გადასული, შემცდარი აზრებია და ამ ჩვენს დროში ამ დიდ-დიდი, უმთავრესი სალიტერატურო საკნების შესახებ დამკვიდრებულია უფრო ამ დროის, ჩვენი ცხოვრების შესაფერი რეალური, ნამდვილ ცხოვრებასა და მეცნიერებაზე დამყარებული შეხედულობა, რომლის მამათ-მთავრად

უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის შესანიშნავი კრიტიკოსი—ტენი. ტენმა უარჰყო იდეალიზმი და რომანტიზმი და ლიტერატურას უჩვენა სრულიად ახალი გზა და მიმართულება. ამიტომ საჭიროა და განზრახვაც გვაქვს ჩვენ, ტენის ცხოვრებას და სალიტერატურო მოღვაწეობასაც ცალკე განსაკუთრებული სტატია ვუძღვნათ.

სომლული.

არქეოლოგიური ფურცლები *).

ბევრნი იმდურებიან ჩვენგანნი, რომ ერთი რიგიანი ქართლის ცხოვრება არა გვაქვს, რომ კაცმა გულ-ახდით წაიკითხოს და მუდამ კარგ ხელსამძღვან სანუგეშოსავით ჰქონდეს ხოლმე თავის ცხოვრებაში. თუ არა და ეს რასა ჰგავს, ჩვენი მეფის შვილის შედგენილს ქართლის ცხოვრებას არ გვაჯერებენ, ვინც არა გვგონია, გამოდიან სხვა და სხვა ცნობებს ჰსძენენ, ავრცელებენ, ამოკლებენ, თავ-ბოლოს ჰსჭრიან, ამახინჯებენ და ან აკრუებენ შესანიშნ ისტორიულ ადგილებსაო ბევრგან. ამ გვარს მათ სამდუ-რავს ჯეროვნად ადგილი ექნებოდა, რომ მის დროს ვა-ხუშტს ყოველი ისტორიული წყაროები და ნამდვილი ცნობები ჩვენ წინაპართა დაწვრილებით ხელთ ჰქონოდა. მაშინ ის, დარწმუნებული ვარ, სრულს ქართლის ცხოვ-რებას შეადგენდა და ახლა აღარ გაგვიხდებოდა საჭიროდ ახალ-ახალი წყაროებისა და ცნობების ძებნა. არც მოვუ-მატებდით არც დავაკლებდით და არც საბჭო-საკამათებ-ლად გავიხდიდით მას.

ქართველთ მოდგმა გუშინდელი და გუშინ-წინდე-

---

*) ამ პატივცემულ ავტორის ისტორიულ მოსაზრებას, თუმცა ზოგან არ ვეთანხმებით, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვბეჭდავთ, მით უფრო რომ სხვა გვარ ღირსებას გარდა დიდი კავშირი აქვს ჩვენ ზეპირ-გადმონაცემობასთან. რედ.

ლი ტომ-გვარობა არ არის, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი ისტორიის შედგენა და გაგება. რაც უფრო ბევრს წყაროებს, ცნობებს მოვსძებნით, ბევრს ვიშრომებთ უწყვეტლივ, რაც უფრო კარგ სწავლულთ დავღალავთ და დავქანცავთ ამ საქმეებზედ, იმდენი უფრო კიდევ ბევრი ღონე, ხერხი და საშუალება მოგვინდება ასით და ათასი წლობითაც, ვიდრე ჩვენი ისტორია სისრულეში მოვიდოდეს.

ჩვენი ტომი ახალი ტომთაგანი არ არის, რომელნიც საშვალ-საუკუნოებში გამოვიდნენ ან ცოტად ამის წინად, როგორც არიან ინგლისელები ანგლო-საქსონელებისაგან, ფრანგები გერმანელებისაგან, იტალიელები გოთელებისაგან, ოსმალოები თათრებისაგან და ტაჯიკებისაგან, გერმანელები ალბანელებისაგან და რუსები სარმატელებისა და სლავიანებისაგან, რომლებში სკივითელნიც მრავალნი ერივრენ,— არამედ ჩვენ იმ ძველის ძველ გვარებისაგან ვართ, როგორნიც არიან ქალდეველნი და ასურნი, ეგვიპტელნი, ფინიკიელნი, ბერძნები და ბაქტრიელნი, პარსნი და მიდნი, რომელნიც აღნიშნულ არიან ჩვენს სალმრთო წერილში (დაბადებაში).

აი რასა ჰსწერს ამაზედ ბ. იოაკიმ მენანი ასურეთის და ქალდეეთის განხილვაში.*)

ოცდა ხუთი თუ ოცდა ათი წელიწადია, რაც ძალდატანებით ასორეთის და ქალდეეთის მოთხრობებს ვსწავლობთ და ისევე ვივიწყებთ. რა კარგი იქნებოდა მარტო ბერძნებს და ებრაელებს დავრწმუნებოდით იმაზედ, რაც მოთხრობები გადმოუციათ მათ ჩვენთვის ნინზედ, რომელმანც ნინევი აღაშენა და ნინიც ძე შეეძინა, ან დავრწმუნდებოდით სემირამიდ დედოფალსა, რომელმაც ბაბილოანი დააფუძნა და დაიპყრა ასია ერთიან განგის მდი-

*) მხითარისტების ბაზმავეპითგან.

ნარემდის და იქ მხოლოდ სტრადოპის სპილოებისაგან ძლეული დამარცხდა, რომელიც ვოლტერმან ღირსად დაინახა სამგლოვიაროდ გალექსვა მისი. გარნა პოდაებმან, ლაიარდებმან, რევლინსონთა, ლინორმანთა და იოპერებმან ასორეთის და ქალდეეთის ზოგიერთ ადგილების დათხრითა, სხვებმან ლურსმული წარწერების ამოკითხვითა და ასიურის ენების კარგად დაკვირვებითა, მოთხრობაები ძალიან აგვიფუტკნეს და დღე ყოველ გვირევენ იქამდის, რომ არც ერთი ტომი ვიცით ღდეს საფუძვლიანად; ყოველ დღივ ნინევსა და ბაბილოანში ახალ-ახალი მეფეები ჩნდებიან. თუმც რამდენიმე სიძნელენი გამოირკვა აიხსნა. მაგრამ უფრო დიდრონი ძიებანი წინ გვიდგებიან და ახალს ახსნასა გვთხოვენ.

მართლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოთხრობაცა გვაქვს, სიბრძნის-მოყვარებრი მოთხრობა ასორასტანელთა და ქალდეველთა; ლურსმული ასოებიც ეგვიპტური ნაწერების ნაირად უშიშარის კანონებით აღმოიკითხება, რომლით გაირჩნენ ნაირ-ნაირი ტომები: არიანები, თურანები, ქუშები და სემეხები, რომ ყველას ერთნაირი წერის კილო უხმარიათ: დარბაზების კედლებსა, გამარჯვების ციხეკოშკებსა, აგურებსა, ჭურებსა და მრგვალ რამეებზედ; აღმოკითხული აქვთ მრავალ-გვარი წერილები, ეგრედ რომ დღევანდლამდის ნინევის და ბაბილოვანის ჯეროვანი სამახსოვრონი და დაევდრებანი უმრავლესნი არიან უფროს ჩინებულ ავტორების ჩვენთვის გადმოცემულ გაურკვეველთ ცნობათა ზედა.

უ. მენანმა მის დროს სორბონში დაასრულა ასორული წერილის სწავლა და, რა განითქვა ფრანგების ნინიულ მოლაპარაკებში, ჩაიდვა აზრში ერთს მოდიდო რვეულ წიგნში შეეკრიბა ეფრატის და ტიგრის მფლობელებიდ-

გან ჩვენთვის დაშთენილი წერილები. დროთ აღწერილების რიგად გაწკაპა ქვეშ მთავრების სახელები და ასე შეადგინა ასორესტანის მეფეების საწლო წიგნები. მით უ. მენანმან წარმოგვიდგინა 44 მთავრები, რომელთაც იმეფეს ქალაქში (ნინევში): ასორესტანს სხვა და სხვა დროს ორი თუ სამი დედა-ქალაქი ჰქონდა, ყველაზედ უფრო სამხრეთული ქალაქი, რომელსაც არაბები სალმრთო წერილში უწოდებენ ნემრუდად, ძლიერ დაწინაურებული ყოფილა თურმე სალმანასარის დროს! მერე რომ დაქცეულა, გაუახლებია ის ასურ-ნასირ-ნაპალს. იქ მოიძევიან მეფეებისაგან აშენებული სხვა-და-სხვა პალატების ნაოხრები, რომელთაგანიც აუშენებია სხვა-და-სხვა დროს დიდს სალმანასარსა, სამსიბინს, ბინ-ნირარისს, ბ. თაგლათფალასარს, ასაჰატონს, ასურიტილ-ილლის ნინევის ბოლონდელს მეფეს. რაც დღემდის ცნობილ არიან, ჰსჩანს რომ თითქმის ყოველს მეფლობელს საჭიროდ დაუნახია თავისთვის საკუთარი პალატის აშენება თავის წინაპართ სახსოვრად, და ზოგჯერ ძველი სამახსოვრონიც დაუქცევიათ თავიანთის ასაშენებლად! ქალაქის პალატებში ყველაზედ შესანიშნია ას-ურ-ნასირ-ნაბალისა, რომლის ერთს სენაკებთაგანში აღმოჩნდა ასორული ვრცელი წარწერა, სადაც ჰსწერს ეს მთავარი თავის გალაშკრების მოთხრობასა.

მუსულის გაღმით ტიგროსის მდინარისკენ ორი ხელოვნური გორები ჰსჩანან, სახელად ქიონაიქი და ნებიონოსი, რომელნიც დედა-ქალქს ნინევში დაიდგნენ. მოსთხარეს, იპოვნეს პირველში სენაქერიმის პალატი და მისი ძის ას-სარ-ჰატონისა. სენაქერიმის პალატში, რომელიც განაახლა ასურ-ბანი-ფალმან, ათი ათასამდის წარწერილი აგურები იპოვნეს, თქმა არის, ასორული საწიგნე; ბოლონდელს მეფეს ჩაუწყვია რიგრიგისად, რომლებში მრა-

ვალი ცნობები არიან, ასორასტანელების მეცნიერებისა, სამართლისა და უფრო საკუთრად მათ ყოფა-ქცევაზედ. მეორე იყო ნებიოზონის გორა, რომელსაც დიდის ხნის აქეთ პატივს სცემენ ტაჭიკები, როგორც იონას სამქადაგებლო ადგილსა, სადაც სენაქერიმის სხვა პალატის ნაოხრებიც იპოვნეს.

უკანასკნელ ნინევის ჩრდილოეთის აღმოსავლეთისკენ 16.000 მეტრის სიშორეზედ ნინევითგან ბ. პოდდამ სარკო ძლიერი ხელმწიფის საზაფხულო იპოვნა, რომლის ნანგრევნი ხორსაპატ სოფლის ქვეშ დაფლულ არიან. ეს დედა-ქალაქი სულ მისი ნაშენი ყოფილა, თავის წინაპართაგან ნაშთი არა იყო რა სრულიად, მრავალი პალატები აუშენებია მას აქ, რომელთ უმრავლესნი წარწერაები და საკვირველი ქანდაკები მხოლოდ მასზედ ლაპარაკობენ.— აქ იყო გმირ-გმირი სახის კუროები, კაცის თავიან წვეროსანები; ყველას თავს გვირგვინი ედგათ, რომლებიც დღეს ლუვრის სასახლეს ამშვენებენ. იქ 14 სრა (ბაკი) სავსე არის ლურსმულის წარწერებითა: მოსთხრობენ მის ქვეყნის მპყრობელობაზედ, რომლის სწორი ასურასტანის მეფეებში არავინ არ აღმოჩენილა, რომელს ხმელთა-შუა ზღვაში კიპრი და ასიური კუნძულებიც დაუჭერია.

ბ. მენანს თავის ნაწერში აქვს შედგენილი მრავალი გეოგრაფიული ქარტები და გეგმები, რომელნიც ასორესტანის ადგილობრივს აღწერილობას გვაჩვენებენ, მეტადრე ნემრუდისა, ნინევისა და ხორსაპატისას.

ბ. მენანის მოხსენებულ 44 მეფეებისაგანნი ნახევარნი 17—18 საუკუნოების ქრისტეს წინად ყოფილნი არიან. ამათზედ ცოტა ცნობები გვაქვს, ვიდრე მათი სახელებიც კარგად არ იკითხება. ხოლო მეორე 22 მეფეებისა ჯერ კიდევ გაურკვეველად დაშთენილია მეცნიერებისათვისაც. ამ

დროთგან ნინევის და ასორესტანის პარველი დაქცევის რიცხვი სწორე არის. თუ ეს ასრე არის, მაშასადამე უნდა გასწორდეს ის რიცხვი, რომელიც თავის ძველს მოთხრობაში იხმარა ბ. ფ. ლინორმანმა (1869), რომელიც მენანის მიღებულზედ ერთის საუკუნოებით ირჩევა. მენანისაც უნდა შესწორდეს ბ. რევლინსინისა, ჰინქსისა, ბ. ზანგისა ზედა ასორესტანის მეფეების გაწყობილების კვალად ახლად მოხდენილის გამოკვლევითა, რომელსაც ახდენენ წლითგან წელიწადზედ ლიმნუ (ჩინებული) თქმულთ რუქებზედა.

უფროსი ერთი ბ. მენანის საწლო წერილში, ყველაზედ ვრცელი და ყველაზედ გამოსადეგი სამახსოვრონი არიან: ა. თაკლად-პალასარს (1130 ქ. წ.) ასურ-ნასირ-ნაპალისა (884), სალმანასარისა (857) ბ. თაკლათ-პალასარისა (744) სარკონისა (821) სენაქერიმ•სა (704), ასარ-პატტანისა (680), ასურ-ბანი ფალისა (669). ბ. მენანს თვითოეულ მეფეების სახელებთან ერთად, წყაროებიც გამოუყვანია. ეს ციხე-კოშკი ანუ ეს მომრგვალი (გალავანი) ამ სრისა, ანუ იმ სვეტის წარწერა, რომელნიც ზოგან ძლიერ ვრცელნი არიან, როგორც სარკონისა, რომლის სახელს ესაიაც იხსენებს (კიარანად, თეოდიტონის და სვიმაქოს თარგმანში ებრაულად სარკონად). ეს თუმც ჰფლობდა იონიის ზღვაზედ, მაგრამ ბერძნების ისტორიკოსებმან მისი სახელიცარ იციან. ბ. მენანს 50 სტრიქონი წაუწერია იმაზედ.—მთელი ეს მოთხრობა ხორსაპატის ნანგრევებიდგან გამოვიდა! ეროდოტებს, კტესიებს და ალიკარნელ დიონესიოს საუკუნო დავიწყებაში მიეცათ, დაეტოვათ სარკონი. ბ. პოდდის ნათხარ ადგილებთან აღმოაჩინეს ისა. დღეს ასორასტანის მეფეებში ყველაზედ უკეთესად გარკვეულია მისი ამხედრება-გალაშკრებანი

იქამდის რიგზედ ცნობილ არიან, ვიდრე ბ. ფ. ლინორ-მანმა შეიძლო თქმა, „რომ მისი მეფობა რომის მეფეებზედ უფრო დაწვრილებით ცნობილიაო.“ წინააღმდეგ ასორასტანის ორს დიდ აოხრება-აკლებაზედ, სარდანაბალის დროს ნინევის დაქცევისა და მეორეჯერ ასსარაკოსის დროს თავობაზედ მენანს ვერა უპოვნია რა; ვიდრე სარდანაბალს და სარაკოს არც კი ახსენებს სამახსოვროების კვალად, არამედ ჩუმდება. მაშასადამე ამაზედ სჯობს ბერძნების გარდმოცემული ამბები განვიმეოროთ: ანუ წინასწარმეტყველების წარმოთქმული წყევლა-კრულვანი. ამიტომ რომ ასიური საწლო წერილთ წარწერანი დაჩუმებულ არიან ამისთანა მიმორეულ დროებზედ. უმისოდ ჩვენი საუკუნოების სამასწავლო მოთხრობა ძნელად დადგინდება.

II

ყოველ ძველებურს წარწერებში ერთიც უფროსი დაკლათ-ბალსარი არის იბ. საუკუნოების (ქ. წ.) ეს ჩვენ მაგალითს გვაძლევს თუ როგორი პირნიც იყვნენ ტიგრის მდინარის პირების მფლობელნი. ეს პირველად უწყობს ვედრებას ასორასტანის მთელ ღმერთებს, რომელნიც თითქმის ერთიან მეომარნი არიან: ასური, ღმერთების ლეგეონების მმართველი არის. ევედრება, რომ მტრებს რჩევა, აზრი განუცრუოს! პინი, თურმე აჯანყებულთ ქვეყნებსა ჰრყვნის! ატარ-სამტან ძლიერი ღმერთი მტერებს აცხობს და სიმხნეს ჰფენს! ისდარი, გამარჯვების ღმერთი და გარდამწყვეტელი ომებისა!

შემდგომ რიგზედ მოსდევენ თაგლათბალსარის ბრძოლები, აღებული და მომწყვარი ქალაქები, ერობა, რომელთაც უგრძვნიათ მისი ღმერთის ასურის საოცარი შიშის ზარი; სპილენძის ურმის თვლების ქვეშ დამტვრეულ-დალეწილი ურდოები, ხელთ გატარებული სიმდიდრეები, ტყვეები, რომელნიც მის უაღმატებულესობას მუხლთ შემოჰქნიან; მეფეები, რომელთაც მძევლად მიუციათ თავიანთ შვილები, თავიანთ გულის ნორჩი საკეთოები.

უფრო კარგი იქმნებოდა, რომ ბ. მენანის გამოცემაში ერისა და ქალაქების შესახებ ბევრნაირი გეოგრაფიული ცნობები და ახსნანი დამატებოდნენ.

ყოველ მოთხრობის შემდგომ, სულ ამ გვარი განმეორება არის. „მე ვარ თაგლათ ბალსარი, სიბოროტის დამმსხვრეველი და ტყვეობის მომსპობელი!“

თაგლათ ბალსარი მარტო ქვეყნის-მპყრობელი არ არის, არამედ ნებროთის მონაცვლეცა: „გმირი მონადირე ღვთის წინაშე“. ბერძნების და ასორების ერეკლეების მოშურალი არის: ერიმანდული ტახების, თითბრის ფეხოსან ირმების, ნემიური ლომების მძლეველი არის: რომელთაც მის დროს ქვეყნის პირვანდულს ტყეებში იმოდენი ბრაზიანი მხეცები და დევები ამოუწყვეტიათ. ხოლო თავის თავგანწირული მეომრობა ხომ კიდევ სხვა.—აგერ მონადირობის მხნე-მამაცური წყობანიცა. „ოთხი ცოცხალი ტახები დავიჭირე ჩემის მწის ადაროს ძალითა. ასოცი ლომი მოშიკლავს, ხელ და ხელ მიომია მე იმათთან და ფეხ ქვეშ გამისრესია. რვაასი ლომი დამიჭერია ჩემის ეტლითა და ჩემს ისრის პირს ცის მჭრინველები არსად არ გადარჩენია.

შემდგომ მოჰსთხრობს, თუ როგორ მის მეფობის დასაწყისში მის უფალთა, დიდთა ღმერთთა უბრძანეს მას,

აღეშენებინა თავიანთთვის წმიდა ადგილები; და თვითონაც თუ როგორ მოუჭრევინებია აგურები და თუ რანაირ ღრმად დაუძს მათი საძირკვლები „უფსკრულისავით, სითგანაც მაღლდებიან ვარსკვლავები.“—წარწერა იწყება და სრულდება მვედრებელობითის სახითა, სადაც ღმერთებისაგან კურთხევას თხოულობს იმათთვის, რომელთაც უნდა პატივი სცენ იმ სამახსოვროებსა, „რომელშიც მისი თავგანწირულება გარდაბეჭდილია!“ „ვინც დამალოს, წაახდინოს, ან თუ გააფუჭოს რუკები და შენობაების ბალავრები, ვინც წყალში ჩაყაროს, ცეკხლში გარდაუძახოს, მიწაში დაჰფლას, ანუ კაცის მიუმკვლეველს ადგილს დასდვას, ჩემი სახელი წაშალოს და თავის სახელი დააწეროს, ანუ თვითან შეითვისოს იმაში ყოფილი მოთხრობები, და ანუ გარდაასხვაფეროს წარწერაები: თვალთ-შეუდგამმან ანუ და პინ ღმერთებმან უფალთა ჩემთა ყოველი თავიანთ ძლიერებით დაჰსწყევლონ ისა, ავის ცუდის შეჩვენებით შეაჩვენონ ისა; დაამხონ სამეფო მისი და შეარყიონ საძირკველი მისი ტახტისა... ღმერთმან პინმან შეჩვენების რუკაზედ წარწეროს ქვეყანა მისი, მიაყაროს მას სიგლახაკე, სიმშილი და სენი სიკვდილისა, ნულარ გაუშვას ის მზის დასანახავად, მოსპოს ქვეყნითგან სახელი მისი და გვარი მისი.“

თითქმის მთელი ასორასტანის მეფეების წარწერაები სულ ამ აზრისა არიან: ვედრება კერპებთან, გამარჯვება, ქვეყნის მპყრობელობა, მონადირობაში თავ-განწირულება, საკერპოების აშენება ან გაახლება და მერე წყევლა მომავალ მეფებზედ, თუ უსინიდისოდ რამე მოიპარონ.

ამ მუხლ ნაკვეთების მიხედვითა, ამათი ცხოვრება უკეთესად მოხერხებული არის უფროს ნინეულის ხელმწიფებისა; ჰსჩანს ჯერ მდედრულ სირბილე-გარყვნილებაში

არ ყოფილან ჩავარდნილნი! ყოველ წლივ სთვლიან თავიანთ ლეგეონებსა, სპილენძის კერპებსა: ჩრდილო, სამხრეთს, აღმოსავლეთს და დასავალსა. განდგომილებზედ და ავკაცებზედ საომრად მიდიან. დიდსასჯლიან ომ-ბრძოლებს იხდიან სასომხეთო სამესხეთოს მთებში, შუა მდინარის ტიალსა და ასორეთის უდაბნოებში.—ითმენენ სიმშილსა და მწყურვალებასა, შრომასა და იქანცვიან მძიმე ჯაჭვ-აბჯარ ქვეშ, ასორთ ყოვლად დიდის დიდებისათვის.

ზოგჯერ წარწერაები ცხადად აღიარებენ ასიის ბუნების პირვანდულ მიუდგომელ-შეუვალობასა. ხატვენ ძველ ტყეებს, რომელშიდაც ლომები ბუდობენ, ფარისტანის და სომხეთის ეწრებსა, იწრო ბილიკებსა, სადაც ძლიერ სიძნელით გადიან სპილენძის ‹ეტლები, მიხვეულ-მოხვეული მთის ზურგ-უღელ-ტეხილნი, სადაც კაცსაც არ შეუძლია გავლა: მაღალი ხმალივით აყუდული მთები, რომელნიც იმუქრებიან ციურ წვეტიან მეხსავით: ხან წარმოადგენენ ხოლმე განბნეულ მტერთა მფრინველთ სიმრავლესავით: ხან მკალივით მოდიან, ეფინებიან ასაკლებად, ვიდრე მათი მტვერი გზა-შარებითგან ადის ცაში და ზამთრის ღრუბლებისავით ერთიან ჰხშობს ცასა. ზოგჯერ პურის მჯასავით გალეწილი არიან, ხმელის თივასავით მოთიბული, ან ხის გოძებ-მორგვებსავით შეყრილნი! სარკონი საბერძნეთის კუნძულებისაკენ მოლაშკრეობს თევზივით მოცურალობითა, და სენაქერიმი აღგვიწერს ჩვენ ეზეკიას გამომწყვდეულს თავისს დედა ქალაქს იერუსალემში, როგორც მფრინველს გალიაში. ამ წარწერებში რამდენიმე ისეთი ჩინებული და ძლიერი გამოხატულობის ნაწერები არიან, რომ იმათ მსგავსთ საღვთო-წერილშიც თანა ვუგრძნობთ!

და რა არის ნეტა ამათი ამოდენა ომების და სასჯელების აზრი? ნაშოვარი ხომ მეოროობით საგნად მიღებულია!

ამ მეფეების შემგიზგიზებელი უთუოდ დიდების-მოყვარეულობაა. სურვილი ნატვრაა, რომ გარდაამეტონ თავიანთ წინაპართა და სხვა უცხო მთავრების ქვეყნები დაიპიროონ, რომელთა სახელიც არავის არ გაეგონოს. ეს ძედიდური გულის-თქმა არის, რომ იმათ ძეედართ-მთავრად ჰხდის, ქვეყნის ოთხკუთხ მხარეებს არონინებს და გამარჯვების კოშკებს ადგძევინებს, რომლებზედაც წარწერილია მათი უდიდებულესობის ხატი; ატყობინებს იძათს ისეთს ძლიერს საყვედურებს და საშინელ წყევლა-სარგვლას, ვიცა ძათ უდიდებულესობის საძახსენებლოს დააქცევენ და არ უშვებენ, რომ წალურსმნულს წარწერებში იძათ შეძდგომაც იხსენიებოდნენ! ესრეთი ძგრძნობელობაა, რომ იძათ აძხნევებს. ძთელ ასორასტახის მეფეების ორგვარი მფლობელობა ერთად ცხადად ჰსჩანს. მხედრებიც არიან და ქუოუძებიც: იმათი პირველი ღირსების წოდება არის ბადისი (ასორის ძღვდელთ-ძთავარი).

აი გალაკრების. განცხადება მათი. „რადგან ერთა განაგდეს ჩეძის უფლისა, ასურის ღმერთისა, ის გარდასახადი და ხარკები, რაც რამ ემართათ გარდასახადად, ძისთვის ხინევის ძთავარნი იძათზედ მიაქცევენ ურდოსა, უღთონი აოიან და გამდეგნი, რადგან არა აქვთ სრულიად ძოშიშრობა!“ ასურის სახელს იძისთანა ძნიშვნელობა ჰქონდა, რა მნიძვნელობაც ჰქონდა ებრაელებისათვის ეჰოვას სახელსა; ძით მას ასორის სახელზედ ძთელ ერს განუკითხავად ხმალასქვეშგაავლებდნენ, ღმერთნი აძარჯვეიინებდენ თავიანთ მტრებზედა. ასორის ‘ძი’ძის ზარი იყო, რომ იძათ იძონებდა, ვითომ, გამარჯვების შემდგომ თაგლათბალასარ, სალძანასარ დააგრიალებდნენ ცეცხლსა იქაძდის, ვიდრე ხახძარის ალი ცამდის ავიდოდა და ძაშინ დამარცხებულ მტრის საჟურველთ თავიანთ ღმერთებს ‘ძესწირვიდხენ ‘ძსხვერპლებსავით.

აძ წარწერებ ძი მოიძევიახ კვალად იმისთანა ომები, რომლითაც ჰსცდილობენ ხინევის კერპების სჯულს დაამორჩილონ უცხო ერები და ხაშდვილი სამხედრო ლაშკრობა. უნდათ, რომ გამოიტანონ ელამის ქვეყნითგან ის

განწმედილი ხატ-კერპები, რომელნიც გაჭირვებაში მტერს გაუტაცია, წაუღია. როცა სალმანასარს ემარჯვება მტერზედ, ასურიც საგვარო ღმერთებსაც ამარცხებს, გამოჰყავს ისინიც თავიანთ ტაძრის საიდუმლო ჩრდილითგან და ტყვედ მიჰყავს ქალაქად (ნენევში).

ამ მთავრების რიგ-გარედი დიდების მოყვარება არეულია ერთად თავიანთ სარწმუნოების გრძნობასთან. ასურის მსახურნი რომ არიან, თავიანთ თავს მეფეთ. მეფედ უწოდებენ, ქვეყნის უფლად და დამლეწველად ეროვნობათა! ასორასტანის მეფე თავისთვის და თავის ეროობისათვის სხვა არა არის რა, თუ არ მხოლოდ გამომავლობა ან განხორციელება, ან თუ მაინც წარმომადგენელი ღვთისა და მისი მომაგიერე: ერთის სიტყვით „თვალი ასურისა!“

ტიგრის და ეფრატის ნაპირებზედ ძნელი ყოფილა შეეწყნარათ ერთ-ღმერთობა: იგივე ძრავალი საუკუნოების შემდგომ, (მაჰმადიანობაც განსხვავდა: ალიას და უსეინის ტომებსა თითქმის საღვთო პატივი მისცეს, რომ ახლა ნამდვილ სემელების წინ ულვთო კერპთ-მსახურებად შერაცხილია.) ასორასტანელნიც თუმც სემეხები იყვნენ, მაგრამ სულ კერპთ-მსახურად დარჩნენ, როცა ურიებმან მხოლოდ ერთი ღმერთი იცოდნენ. რაც უნდა დიდად მიაჩნდესთ მათ თავიანთ ასური, მაინც მათნი მღვდელ-მეფენი მასთან სხვა ღმერთებსაც თაყვანს-სცემენ, რომელნიც თითქოს ყველგან ადგილის-დაგვარ მრავლდებიან.—ისდურ ღმერთა არის ნინევისა, ისდურ ღმერთაც არის არბილისა: ეს ორნი ღმერთნი ხშირად ჰსჩანან წარწერებში, როგორც სხვა და სხვა პირნი; მაგრამ კი ამ ღმერთების სიმრავლე ნინევის მეფეებს საბრძოლველს და სარწმუნოებრივს წადილსა არას დროს არ დაუბრკოლებენ.

ამ მებრძოლ მეფეებს, ჰსჩანს მართვა არ ჰსცოდნიათ რიგიანად. მართვით დებულობის ნაკლულოვანების გამო უსარგებლოდ დარჩენიათ თავიანთი გამარჯვებანი! როცა ქვეყნებს დაიპერდნენ, დამარცხებულ მეფის ნათესავთაგანს დააჯენდნენ იქ მთავრად; ამის გამო მუდამ აჯანყება ჰხდებოდა და ხშირად ნინევის მეფეები პალესტინს, ანუ

სასომხეთოს „რომელსამე მხარეს უნდა წასულიყვნენ! რამდენი ბრძოლანი დასჭირდათ ურიებს მცირე სამეფოზედ? ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ნინეველთ ბრძოლას ასიული ყოველნაირი შიშის ზარი ჰქონდა. ბრძოლის უკან დამარცხებულთა და გადარჩენილთა შინა გულითგან ამოუღებელი შური დარჩებოდათ ხოლმე. ლურსმულს წარწერებში ასოთ მთხზველნი სიამოვნებით ძოუთხრობენ დამარცხებულებზედ თვითოეულს ნაქმნარ უწყალოებას ერთნაირ დიდებად ჰსთვლიდნენ დიდ მოსისხლობა-მკვლელობათა და ჩინებულ გამარჯვებათა! ამნაირადაცვე ჯინგიზ-ხანი და თემურ-ლანგი გინდ ბაიაზეთიც, იქადოდენ ხოლმე კაცის თავებით ციხეების ახორხლასა, პალოებზედ ჩამოცმასა, ცოცხალთ ტყავების გაძრობასა და ანუ ტყვეების გაუპატიურებასა! ძონგოლები და თათრები იმათ ქვეშ არ დარჩნენ, დიდ ხანს საგვარტომო სიმართლედ ჰსჩანდა ქალაქების დაწვა, ხევნების გარდაჭრა, ერის აწყვეტა და მეფეების დატანჯვა! გავუგონოთ ასურ-ნასირ-ნაბალსა ნიმრუდის დიდს წარწერაში, თუ რას მოგვითხრობს:

„ვუბრძანე და ხმალ ქვეშ გაავლეს 260 მებრძოლი, დასჭრეს იმათ თავები და ციხესავით ახორხლეს...

„კედელი ავიტანე ქალაქის დიდ კართან. ტყავები დავაძვრე თავ-აჯანყებულთა მათგანნი ზოგი კედლის შენობაში ჩავატანე, ზოგნი ჯვარს ვაცვი და ანუ პალოზედ ავაგებინე და გავაწკაპკინე კედლის სიგძის სიგძეზედა! ბევრნიც ჩემ თვალ-წინ გავატყავებინე და მათი ტყავებით კედლის პირები დავაფარებინე. იმათი თავებით გვირგვინები გავაკეთებინე და მათი ტანთ სახსრების ნაკუწებითგან ყელ საბამები! სულ ბოლოს ნინეველთგან მოვიყვანე აგიპაპი. გამოვხადე ტყავი ტანითგან და გავშალე ნინეველის გალავანზედა...

„ძალად გავიტაცე არბის ქალაქი. 600 ტყვე დავიჭირე, 300 კაცი მოვჰკალ და ჩავაყრევინე ცეცხლში, არავინ არ შემიბრალებია!“

„დიდი გორა დავაყენე მძორთა ციხესავით, შეურაცხვჰყავ ვაჟნი მათნი და ასულნი მათნი.“

„ცოცხალ-ცოცხალი ხელ და ხელ დაჭერილი 20 ყრმა მოვაშთე კედლებში, დატყვევებულთ მძორთაგან კედელი ავაშენებინე ჩემს სატახტო ქალაქის კარ წინ: დავაჭრევინე მათთვის თავები... დიდი კარის წინ ჩამოვჰკიდე 700 კაცი...

„400 ტყვე ჩამივარდა ხელში და დავამტვრიე მე მათ მკლავის მაჯები.“

„ხმალ ქვეშ გავავლე მე 5,600 მხედარი“...

ბევრს აღარ გავაგრძელებ წამკითხველთა უსიამოვნობისათვის. ასურ-ხისირ-ნაბალი ბევრს ტრაბახობს ამ თავის დიდრონ საქმეებზედა, ეშინიან, რომ არა ჰქონდეს რა დავიწყებული, ღმერთების წყევლას სდებს იმათ, ვინც ამ საზიზღარს სამოსახსენებლო წარწერას გადაასხვაფერებს. ბოლოს ასე ათავებს: „თუ დამვიწყებოდეს რამე აქ რუკაში: ანემ ბელ-ტაკამ და სალმახ მზრუნველ ღმერთებმან ჩემ მაგიერ სთქვახ!“ ამ წამებულთ სიძეტე უფრო საგრძნობია გამოქახდაკებულებიდან და ნახატებითგან, რომელთა სახეები, როგორც აბობს ბ. ფ. ლინორმანი, უკახასკნელის ხარისხის სისუფთავით გამოყვანილია! მართლად კაცს გაუკვირდება ძლეულ-დამარცხებულთათვის გაჩენილი დასჯა პატიჟნი: ერთს ცოცხალ-ცოცხალს ტყავს აძრობენ, სხვებს ყურებს ჭსჭრიან, თვალებს ჭსთხრიან, წვერს გლეჯენ, ფრჩხილებს ახლეჩენ და სხვა.

ასორასტანის მეორე თვით-მპყრობელობის უფრო ბოლო დროს ბრძოლის სიმართლით მოპყრობისა ტკბილობა ჭსჩანს; აჯანყებულთ მოთავეებს კი ისევ უწყალოდ ეპყრობიან, მით ნიხევის მეფეებიც ნელ-ნელა ჭხვდებიან, ოომ კაცის ხროვასაც ღირსეცა აქვს და უფრო სასარგებლო აოის 50,000 ანუ 100,000 სულის ასორასტანის ცარიელ მინდვრებში გარდაყვანა, გარდასახლება, ვიდრეძც მათის თავებით დარბაზ-გვიოგვინების და ძათის მძორებით გალავნების აშენება.

ასორასტახის საწლო წიგნები მაშინ უფრო სასარგებლო იქნებიან ჩვენთვის, როცა იწყობენ თავიანთ დაძოკიდებულებას ურიებთან ანუ სხვა გაწვრთნილ გვარებ-

თან. ბ. მენანის გამოცემული სტატიები საღმთო წერილის რამდენსამე წერტილთ მნიშვნელობა უფრო სისრულეში მოჰყავთ და აბეჯითებენ. მაგალითად, იპოებიან იქ ისრაელის აქაბ მეფის და დამასკოსის ძე ადერა მეფის მომხრე; საწინააღმდეგოდ სალმანასარისა, 12 მეფეები იყვნენ, რომელთაც თითქმის 80,000 კაცი შეუკრებიათ. ასორასტაანის წარწერები გვაცნობებენ კიდევ ნაირ-ნაირ რიცხვთა ნაწილსა, ქვეითთა, ცხენოსანთა, საომარ ეტლთა და აქლემებსა: ჰსჩანს იქ აქაბ მეფეს 10,000 კაცი ჰყოლია მხედრად და 200 საომარი ეტლი! ვჰპოულობთ კვალად ბ. თაგლათ-ბალასარის მოხარკეებში სახელად აზარია იუდის მეფესა; უთუოდ აქაზ მეფის მოწინაღმდეგე უნდა იყოს, რომლის სახელს საღვთო წერილი არ იხსენიებს, მარტო ძედ ტაბელისად ამბობს!

სარკონი თავის ხორსაბატის წარწერებში მოვვითხრობს, რომ სამარია დაუპერია და 27,280 სული მცხოვრებთაგანი წაუყვანია! უფრო სამეკეკრო ცნობანი არიან ეზეკიას დროს სენაქერიმებისა პალესტინში ქმნილის ბრძოლებისათვის. იქ ჰსჩანს, სენაქერიმს ურიასტანში 44 ქალაქი აუღია და უთვალავი ციხეები 200,150 ტყვე გაუყვანია ყოველის ასაკისაგან, და ბევრისგან ბევრი შინაური პირუტყვი; და ეზეკიას ქვეყნები მახლობელ მეფეებისთვის გაუნაწილებია! აი რასა სწერს:

„მაშინ შიშმან და ზარმან ჩემის ძლიერებისამან შეაძრწუნა ხაზაქია, მეფე იაჰუდისა: განავლინა მხედართ გუნდნი, რომელნიც თავის სატახტო ქალაქის იერუსალიმის დასაცველად შეეკრიბა: მოციქულები მომივლინა მე ნინევიდ ჩემს სატახტო ქალაქსა და მასთან 30 ტალანტი ოქრო, 800 ტალანტი ვეცხლი, მიდალნი, სპეკალნი და მარგალიტნი: მეტად მორთულნი სკამები სანდალისა და ეკალ-მუხისა (აბანოზისა), კვალად საუნჯენი, ასულნი და დედაკაცნი, თავის სასახლის მსახურნი და მხევალნი წარმომიგზავნა მე მოციქულებით, რომელთაც მომართვეს მე კელავ გარდასახადი და მორჩილება!“

მრავალთ მეფეების წარწერებითგან ჰსჩანს რიგრიგად არიელების, ბერძნების, კიპრელთა და პარსის ერის დამონება! ეროდოტის მოთხრობაში მოხსენებული გმირი გიდე სახვაშიადო ბეჭდის უფალი, მეგობარი უგნურის კანდაულისა, ვიდრე ისიც მოიძევა ასურ-ბანი-ფალის წარწერებში! ის არის საკვირველი, რომ იმავე სახით ვიპოვეთ, რომელიც ბერძნების აღწერილებას ძლიერ ემსგავსება, საკვირველი და ხელოვნური წერტილი არის! ისე ჰსჩანს, რომ კიმერელებისაგან შეიწრობეულმან გიგემ (იქნება კელტკიმერის წინაპარნი იყვნენ) სხვა ღონე ვერა იპოვა რა, თუ არ ჰსთხოვა შემწეობა ნინევის მეფესა და აღუთქვა გარდასახადი: ამ ლიდიის მისანმან ასურასტანის მეფეს გააგებინა, თუ სიზმარში როგორც ჰსჩვენებია მას ასურ ღმერთი და მისი (ასურ-ბანი-ფალის) ძლიერება გამოუცხადებია. ამ გვარი გარემოებისაგან თურმე გული აღეძრა ასურასტანის მეფეს და მისცა შემწეობა, რომლითაც შეიძლო კიმერელების განდევნა, გარნა განთავისუფლების შემდგომ აღარ მისცა გარდასახადი ასორეთის მეფესა... მაშინ აგრძელებს მეფეს მოთხრობას მწერალი, ვილოცე ასურასთანა და ისდართან „რომ მისი მძორი მტერთ თვალ წინ დაცემულიყო.“ ქურუმ მეფის წყევლა ისეც ასრულდა: ასტყდა ბრძოლა, გიგე მოიკლა და კიმერმლებმან მოაოხრეს მისი ქვეყანა! აგერ ამ შესანიშნ პირზედ საგანგებო სამეკეკრო ნაკვეთი: აქეთგან შეუძლია კაცს წარმოიდგინოს, რომ ასურასტანელთ წერილების წაკითხვა რა ნაირს სინათლეს მისცემს, არა მარტო ზემო ასიის ისტორიასა, არამედ იგივე ეგვიპტისა, ურიისტანისა, ელლადისა და მცირე ასიის ისტორიებს!

მოხუცებულთაგან ნაამბობი ამბები:

I.

ქართველ კათოლიკენი არტაანის (არდაგანის) სეოებში.

ჟამთა ვითარების მეოხებით ძველად ქართველნი კათოლიკების შესახებ არაფერს სწერდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ ჩვენში ძალიან ცოტა ცნობებია დაშთენილი. თუ რამ იკრიბება დღეს და იწერება, უმეტესი ნაწილიც ქართველ კათოლიკეთაგან ნაამბობია, ხალხში ზეპირსიტყვაობად დაშთენილი. რა გაეწყობა, ჩვენც უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც კი ამ საგნის შესახებ ზეპირ ან მწერლობით დაშთენილა. საუბედუროდ, ამ ნაკლს არც თვით ქართველ კათოლიკენი აპყრობდნენ ყურადღებას.

ჩვენ, ქართველნი, მარტო ამ სარბიელზედ არ გახლავართ უკან ვრდომილნი, სხვა ასპარეზზედაც უფრო დიდი ნაკლი გვაქვს,—ქართველ კათოლიკენი კი არა და თვით ქართველ მაჰმადიანთ გადაბირების, სჯულისა და გვარტომობიდგან განდრეკის ცნობებიც არ ვიცით. ნახევარ საქართველოზედ მეტი გამაჰმადიანდა, გამაჰმადიანებულ ქართველთა ოცდა-ორმა ნაწილმა თავისი დედა-

ენა დაჰკარგა, იგი თავის მოძმის დაუძინებელ მტრად შეიქმნა! ჩვენმა ძველებმა კი ამ ქართველთ განდრეკის, სჯულიდგან განსვლის და გვარტომობის უარის-ყოფის მიზეზები და ცნობებიც კი არ აგვიწერეს. ამდენის ხალხის შესახებ თუ რამ დაიწერა და ითქვა, ისიც მხოლოდ ამ ბოლოს დროს.

დღეს როგორც ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა არის ჩვენთვის საყურადღებო და გამოსარკვევი, ამაზედ მეტად ქართველ მაჰმადიანთა მდგომარეობაც გვაწუხებს. მაშ ჩვენ აქედგან დავიწყებთ ქართველ კათოლიკების შესახებ წერას და დრო და დრო ჩვენს მწერლობაში აღვნიშნავთ ყველა იმ ცნობას, რაც კი ამათ შესახებ ზეპირ ან ძველ მწერლობით სადმე რამე მოიპოვება.

—

დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში არტაანი შესანიშნავს კუთხეს წარმოადგენდა. ძველად მას ერუშეთი ეწოდებოდა. შემდეგ დროებში ოსმალთაგან მთელს ამ კუთხეს „ზარუშეთი“ ეწოდებოდა, თვით ერუშეთის ქალაქ არტაანს-კი არდაგანი. ძველად ერუშეთი ქართველის ტომით იყო დასახლებული, აქ ერთი მტკაველი ალაგიც არ იყო უხალხოდ დატოვებული. იგი ქართველებით ისევე იყო დასახლებული, როგორც იმერეთი, ქართლი და კახეთი. ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ არტაანის ქართველთ შემცირება იწყეს: ზოგნი ქართველთ მეფეთა სამფლობელოში გადმოდიოდნენ და ზოგნიც სხვაგან. ვინც იქ დაშთნენ, იმათ დევნა დაუწყეს ოსმალთ სჯულის გამო და უკანასკნელ გაამაჰმადიანეს კიდეც. ასე და ამ გვარად მთელს ერუშეთში მოისპო ქართველთ გვარის ხსენება და ქრისტიანობაც.

ვიდრე ქართველნი გამაჰმადიანდებოდნენ, მათ დიდი ტანჯვები გამოიარეს. ზოგმა სოფელმა მეტადრე საშინელი ტანჯვებიც ნახა. მაგრამ საბოლოოდ კი მაინც ვერ დარჩნენ. ყველა გამაჰმადიანდა, დარჩა მხოლოდ რამდენიმე სოფლის ხალხი ქართველთა, რომელთაც არ მიიღეს მუსლიმანობა, ყველაფერი ტანჯვა აიტანეს, დასთმეს ყველაფერი და არ გამაჰმადიანდნენ კი. ზოგნი ამათგანნი გაფრანგდნენ და მით გადირჩინეს თავი, მაგრამ საბოლოოდ არც ეს ქართველ კათოლიკენი დაშთნენ ქართველის გვაროვნობით.

ამ დროს არტაანს ფაშად ვიღაც გათათრებული ქართველი მჯდარა.

შავშელთა და იმერხევლთა გარდმოცემით, არტაანის პირველ ფაშად მიქელაძე იყოო, რადგანაც პირველად აქედ მიქელაძეები გამაჰმადიანდნენო. ერთ დროს ეს ფაშა ავად გამხდარა, სენი ძრიელ „გასძალუანებია“. აქეთ-იქით უვლიათ, მკურნალები უძებნიათ, მაგრამ მკურნალთ განკურნება კი ვერ მოუხერხებიათ. ამ დროს, ბატონთან მისულა ერთი გამაჰმადიანებული ქართველი და მოუხსენებია ფაშისთვის.

—ფაშავ! ახალციხის ფაშის კარზედ სცხოვრებს ერთი ექიმი პატრი, რომელიც ხალხს ძრიელ ადვილად არჩენს. მისწერეთ ფაშას წერილი და სთხოვეთ იმ პატრ ექიმის აქ გამოგზავნა; ის უსათუოდ მოგარჩენსთ თქვენ. ფაშას მოხსენება მოუსმენია და მერე ახალციხის ფაშისთვის წერილი გაუგზავნია და იმ ექიმ პატრის გამოგზავნა დაუვალებია.

ფაშას მალე მიუხმია პატრი და უამბნია თხოვნა. პატრი ფაშის ბრძანებით წასულა არდაგანში და სნეული ფაშა მოურჩენია ავადმყოფობისაგან. მორჩენის

შემდეგ პატრს ახალ-ციხეში წასვლა განუზრახავს, მაგრამ ფაშას არ გაუშვია. უთქვამს:

—პატრო, მოიცადე, სრულიად კარგად გავხდე, ფეხზე ავდგე და მერე წადი, რა გეჩქარება?

—მე, ბატონო, ექიმად არა გახლავართ რომიდგან დანიშნული; მე მქადაგებელი ვარ. ექიმობაც ვიცი, რადგანაც ქადაგების დროს ეს ჩვენთვის საჭირო არის. ჩემი საქმე ის გახლავსთ, რომ ხალხში კათოლიკობა განვავრცო.

—კეთილი. აი რას გეტყვი, პატრო, მთელი არტაანის ქართველნი გავათათრეთ, მხოლოდ ვერ გავათათრეთ სამი სოფლის ხალხი, დღევანდლამდის იგინი გაუთათრებლად არიან დაშთენილნი. წადი იქ, ისინი გააფრანგე და მე ამისთვის დახმარებასაც მოგცემ,— ესეც ხომ საქმე გახლავსთ. შორს რაღას მიხვალ, აქვე აგიჩენ ასეთ საქმეებს.

პატრი დასთანხმებია და იქ დარჩენილა. ფაშა კარგად გახდა, ფეხზე ადგა და სიარული დაიწყო. ამ დროს კი პატრი განემგზავრა აღნიშნულის სოფლის ხალხისკენ და მცხოვრებნი გაიცნო კარგად. ქრისტიან ქართველთა პატრი დიდის პატივით მიიღეს და თანაგრძნობაც აღმოუჩინეს.

პატრი დასახლდა იქ და დაიწყო ხალხში მოქმედება, სიტყვების წარმოთქმა და ქადაგება, თუ ქრისტიანე ქართველები როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, რომ მათ ქრისტიანობა არ დაეკარგათ და შეენახათ. ამიტომ პატრი ეუბნებოდა მცხოვრებთ:

—შვილებო და ძმებო, მთელი არტაან-ერუშეთის ქართველნი გათათრდენ. ოსმალთ სასტიკად სძულთ ქართველნი, ესენი თქვენი რჯულით არ დაგტოვებენ;

უსათუოდ, როცა იქმნება, დღეს თუ ხვალ, თქვენ სჯულს დაჰკარგავთ. ამიტომ მე გირჩევთ, რომ თქვენ წმიდა პეტრეს ბჭეს, კათოლიკობას, რომის ტახტს შეუერთდეთ; მერე თქვენ ვერავინ რას დაგაკლებთ. პაპსა და სულთანს შორის ხელშეკრულება არის დადგენილი, კათოლიკების დევნა და გათათრება ოსმალებს არ შეუძლიათ. თქვენ ამით ისარგებლეთ და ქრისტიანობა დაიფარეთ.

ქართველნი დაფიქრდნენ. პატრის რჩევა სიამოვნებით მიიღეს და მალე გაფრანგების სურვილიც განაცხადეს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს სოფლის ხალხი პატრმა შეუკავშირა კათოლიკობას, ამის შესახებ მოხსენება რომშიაც გაგზავნა. რომში ეს ახლად შეძენილნი კათოლიკენი ქართველის გვარ-ტომობით იქმნენ ცნობილ-მიღებულნი. სამღვდელ-მოქმედო პირად აქ იქმნენ განწესებულ ლათინთ წესის რიგის პატრები; რომიდგან მოსული პატრები ყოველთვის ქართულს ენას სწავლობდნენ და ამ ენით ესაუბრებოდნენ მრევლს. მათში ქართულ ენას და გვარტომობას თავის სრული უფლება და პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული.

განვლო დრო-ჟამმან, საქართველოს ერის საქმეებს ცუდი დარები უდგებოდა; ოსმალნი ძლიერდებოდნენ. ამათ აზრად ჰქონდათ, რომ ტასისკარიდგან და გურიიდგან მთელს იმერეთს და ქართლს ავიღებთო, დაღისტანს შევუერთებთ და მერე თბილისში ჩვენს ფაშას, ლეკთა ბელადს დავსვავთო. ეს იყო მათი პოლიტიკა, მათი სარწმუნოებრივი ქადილი. ამიტომ ამათ ლეკებს დიდი ძალა და დახმარება მისცეს; ლეკებთან ათასობით გადადიოდნენ ჩუმად ახალციხეში და იქ ოსმალთა ჯარს დახმარებას აძლევდნენ ქართველთ დასაღუპად.

ლეკებმა და ოსმალთა უსამართლო კაცებმა მთელი დასავლეთ საქართველოს ქართველნი დაარბიეს, საქმე გაუჭირეს, ერთის სიტყვით ყველა შეაწუხეს და ტანჯვას მისცეს.

ამ შავს და ბნელს დღეებში, ვერც კათოლიკენი გადარჩნენ უდეკნელნი და ვერც ლათინთ პატრები. პატრებს ხშირად ეკემოდნენ და სცარცვავდენ. პატრები ყოველთვის შიშში იყვნენ. მთავრობა თუმც მომხრეობას უწევდა მაგრამ უფრო ცალ მხრივ, თორემ იმავ დროს მათ გამცარცვავ ლეკს და თათრებს კიდეც მფარველობდა. ოსმალნი ამას მიტომ ჩადიოდნენ, რადგანაც უკანასკნელ მათ შეიტყეს პატრების ჭკვიანი მოქმედება ქრისტიანობის სასარგებლოდ, ქრისტიანობისთვის კეთილად შრომა კი მათთვის დაუძინებელი მტრობა იყო.

უკანასკნელ პატრებს მობეზრდათ წვალება, ოსმალეთის ყაჩაღ მოხელეებთან კამათი, ბრძოლა და დავიდარაბა. ამის შესახებ მათ ბევრ-გზის გზავნეს რომში მოხსენება, მაგრამ მათ თხოვნას და გარემოებას არა ეშველა რა. უკანასკნელ პატრებმა გადასწყვიტეს თავიანთ სამწყსოს დატოვება და რომში გადასახლება. ეს მალე ასეც იქმნა, მეტი გზა არ ჰქონდათ. პატრების შემდეგ ყველა ეს ქართველ გვარის კათოლიკენი ჩაბარდენ სომეხთ კათოლიკეთა სამღვდელოების უფროს ეპისკოპოზს, რომელიც მაშინ უკვე სტამბოლში იჯდა. იქ საეპისკოპოზო კათედრა უკვე არსებობდა. სომეხთ კათოლიკეთ სამღვდელოებამ ყურადღება მიაქცია ამ ხალხს და დაუწყეს პატრონობა. იმ დროში რა ენაზე სრულდებოდა ამ კათოლიკეებში წირვა-ლოცვა, ეს ჩვენ არ ვიცით.

რაც დრო მიდიოდა, მით ქართველთ გვარტომობის ხსოვნა მკვიდრთ შორის მცირდებოდა; ნელა-ნელა საქმე ისე მოეწყო ოსმალთა მეოხებით, რომ იქაურ ქართველ მაჰმადიენებმა დაივიწყეს თავიანთი გვარტომობა, დაჰკარგეს ქართული ენა, მთლად გადაგვარდნენ. ამ უძლურებას ვერც ქართველ კათოლიკენი ასცდნენ, ამათაც დაჰკარგეს ქართული ენა და მთლად ოსმალურად იწყეს უბნობა; დროის მეოხებით სრულიად გაოსმალდნენ, ყველაფერი დაჰკარგეს, გარდა ქრისტიანობის —კათოლიკობის...

გავიდა რამდენიმე ხანი, დრონი იცვალნენ. ამ საუკუნეში, როცა რუსებმა ახალციხე აიღეს და მერე არზრუმს მიადგნენ, ამ დროს მთავარ-მმართებელთან გამოცხადდენ ზემო ხსენებული სოფლის კათოლიკენი და ითხოვეს მფარველობა, რომ თქვენს საბრძანებელში მიგვიღეთო. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, იგინი გადმოსახლდნენ და ახალციხის მაზრაში დასახლდნენ, სამს სოფელ'ში, დღეკანდლამდე ეს ხალხი ამ სოფლებში სცხოვრობს *).

დღე'ს, ეს ქართველ ტომის შთამამავალნი რასაკვირველია თავიანთ თავებს ქართველად უნდა სცნობდნენ, რადგანაც იგინი ქართველები არიან. დღეს ესენი

---

*). ამათ შესახებ ცნობები ბატივცემულ ილია ალხაზიშვილმაც განგვიმარტა თავის ძვირფასს წიგნში „ბუნება და ცხოვრება"-ში, რომელი წიგნიც ბედ-შავ ქართველთაგან მაინცა და მაინც არ იქმნა დიდის ხალისით გადაკითხული. მაგრამ რა გაეწყობა, ეს არის ჩვენი სენი და უბედურება...

სახლში და გარედ დედა-ენად ოსმალურ ენას ხმარობენ, ქართული აღარავინ რა იცის. თუმც ის კი იციან, რომ იმათი წინაპრები ქართველები ყოფილან. ეს ხალხი გვარტომობის შთამომავლობით ქართველია, სამშობლო ენად თათრულ ენას ხმარობს და სარწმუნოებით კათოლიკეა. ასე რომ დღეს ამ ხალხთა ძველის გვარტომობის ხსოვნის და ნატამლობის აღარაფერია დაცული. დღეს ეს ხალხი მიწერილია სომეხ კათოლიკეთა სამღვდელოების კონსისტორიაზე; იგინი იგულისხმებიან სომხად „არმიანე კათოლიკად"; მათ ენიშნებათ სომხის რიგის მღვდელნი, ესენი მღვდელ-მოქმედებას სომხურს ენაზე ასრულებენ, შემდგომ ამას თათრულის ენით უხსნიან და უთარგმნიან. თან აუწყებენ, რომ იგინი სომხის გვარის შთამომავალნი არიან, მათი დედა ენა სომხურია, მათ საეკკლესიო ენად ეს ენა უნდა მიიღონ. მათმა მომავლებმაც ეს ენა უნდა შეისწავლონ, რადგანაც იგინი შთამომავლობით სომხები არიანო. საქმე ისეა მოხერხებულ-მოწყობილი, რომ ამ ხალხის ძირეულ გვარებსაც კი ასხვაფერებენ, მაგალითებრ: მიქელაშვილი—მიქელიანცი, ნიკოლაშვილი, ნიკოლოსოვი, მამულაშვილი—მამულოვი, თურმანიძე—თურვანდოვი, ზაქარიაშვილი—ზაქარიანი და ათასიც სხვა ამ გვარები.

ეხლა ჩვენ ვიკითხავთ, თუ ეს ხალხი რა ტომის ხალხად უნდა ვიწამოთ ჩვენ, და ან მომავალში რა მოელის ამათ, რანი იქმნებიან ესენი, თუ მოქართულე კათოლიკეთაგან მათ არაფერი მხარის მიცემა არ აღმოუჩნდათ?—რასაკვირველია, ჩანთქმა, თათრულის ენიდგან სომხურზე გადასვლა და გაქრობა!..

ასეთია, ბატონებო, ჩვენი გვარტომობის ვითარება!..

II

ქართველი კათოლიკენი ლაზისტანის კუთხის ჩხალის ხეობაში.

ჭოროხის ხეობაში, ბორჩხას ახლოს, დასავლეთად მიდის ერთი ხეობა, რომელსაც ჩხალის ხეობა ეწოდება. ეს ხეობა მიემართება ლაზისტანში. ლაზისტანის სოფლებში რუსეთს სულ რამდენიმე სოფელი უჭირავს—ერთი სამამასახლისოა. დანარჩენი ადგილები მთლად ოსმალეთს ეკუთვნის. ლაზების რიცხვი დღეს 20,000-დე ირიცხება. ყველა ესენი ადრე ძალით გაუმაჰმადიანებიათ, ზოგნი კი გაფრანგებულან, ნამეტნავად ჩხალის ხეობის ლაზ-ქართველნი.

ჩხალის ხეობის შესახებ ჩვენში ბევრნაირი ამბავია დაშთენილი. ლაზისტანის გამაჰმადიანების შემდეგ, ოსმალთ ლივანას ჩხალის ხეობიდან დაუწყეს გამაჰმადიანება. მთელმა ხეობამ იუკადრისა გამაჰმადიანება. აქეთ-იქით კაცები დაჰგზავნეს და ოსმალეთს ემუდარებოდნენ, რომ სჯულის გამო დევნისაგან ხელი აეღო. ოსმალთ არ შეისმინეს მოციქულთა მუდარება და ჩხალელებს სასტიკის ბრძანებით აუწყეს ქრისტიანობის დატოვება. მეტი გზა აღარა ჰქონდათ, ქრისტიანობა უნდა ეგმოთ, მაჰმადიანობა მიეღოთ. ზოგმა ადვილად დასთმო სჯული და ზოგმა არა,—დღეს-ხვალიობით ატყუებდნენ მტერს.

ამ დროს ქალაქ ართვინის (ართვანი) ქართველნი უკვე გაფრანგებულნი იყვნენ. იგინი ადრევე იქმნენ მაჰმადიანობიდგან გადაყვანილნი კათოლიკობაში; იმათი კათო-

ლიკობასთან დაკავშირების მიზეზი რომიდგან მოსულნი ლათინთა მოძღვრები არიან. მაშინდელ ქართველ გვარის კათოლიკეთა ეკკლესიებში წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ სრულდებოდა. სახარება, „წმიდაო ღმერთო“, ზოგიერთი ლოცვები და ქადაგება-კი ქართულად იკოდნენ. რომიდგან მოსული მოძღვრები დიდს მფარველობას უწევდნენ დევნილ ქართველებს; ქართველ კათოლიკების დევნა ოსმალეთსაც აღკრძალული ჰქონდა, რადგანაც პაპისა და ოსმალთ შორის ამისთვის ხელ-შეკრულობა იყო დადგენილი და კათოლიკეს დევნა არავის შეეძლო.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ართვინის კათოლიკების მოძღვრებმა დიდი გავლენა იქონიეს ჩხალის ხეობის გასამაჰმადიანებელს ქართველებზედ. ქართველნი მალე წავიდნენ ართვინში და ლათინთ მოძღვრებს მოახსენეს:

—ქებულის იესო ქრისტესთვის ჩვენ ვიხოცავთ თავებს და შველა არსაიდგან გვეძლევა. ჩხალის ხეობის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანდა, ქრისტიანობა მოისპო, ახლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, რომ ჩვენ მაინც გვიშველოთ რამე, გამაჰმადიანებისაგან დაგვიხსნათო.

მოძღვართ მოისმინეს დევნილთა მუდარა და აუწყეს შემდეგი:

—აბა რა გიყოთ, შვილო, ჩვენ კათოლიკენი ვართ, მფარველობას გაგიწევთ; მაგრამ როდემდის? ხომ ხედავთ, რომ ოსმალნი ქართველთა სისხლსა სმენ, იგინი თავიანთ საბრძანებელში ქართველს აღარ სტოვებენ. ოსმალნი ამბობენ, რომ ჩვენს სამეფოში ქართველის ხსენებას არ დავტოვებთო. ბერძნებისაც დიდი ჯავრი სჭირთ და რადგანაც თქვენ იმათი მერჯულენი ხართ, ამიტომ უფრო გდევნიან. ცხადი საქმეა, რომ დღეს თუ ხვალ თქვენც მიგაღებინებენ მაჰმადის სარწმუნოებას.

—კათოლიკობას მივიღებთ, მოახსენეს ჩხალის ხეობის ზოგიერთ სოფლის ქართველთა.

—კეთილი! თქვენ კათოლიკობა მიიღეთ, ჩვენ ამ საქმეს პაპსაც ვაცნობებთ და მთავრობასაც, მერე თქვენ აღარავინ რას გიზამთ, ქრისტიანობა თქვენში მტკიცედ დაშთება.

ჩხალელებმა მოიწონეს მოძღვართ რჩევა, საჩქაროდ წავიდნენ და ყოველისფერი დარიგება შინაურებს და ჩუმ ქრისტიან ქართველებს მოახსენეს. რჩევა ყველას მოეწონა და რამდენსამე ხნის განმავლობაში ყველა ესენი საიდუმლოდ გაფრანგებულ იქმნენ. რამდენსამე ხნის შემდეგ ამათ ოსმალთაც აუწყეს:

—ჩვენ სჯულს არ გამოვიცვლით, ჩვენ ამის ამბავს პაპს ვაცნობებთ და რასაც ის გვიბრძანებს, ჩვენც იმ ბრძანების კვალად მოვიქცევით, რადგანაც ჩვენ კათოლიკენი ვართ სარწმუნოებითაო.

ოსმალთ ჯავრი მოუვიდათ და ჩხალელებს დევნა დაუწყეს, რადგანაც იცოდნენ, რომ ეს ქართველნი წინად სხვა სჯულისანი იყვნენ, ქართულის ეკკლესიის აღმსარებელნი, რასაც თვითონ მალავდნენ. დიდი აურზაური ასტყდა და გაკათოლიკებულ ქართველებსაც სასტიკად დაუწყეს დევნა, სიცოცხლეს უმწარებდნენ და ძალას ატანდნენ კათოლიკობა უარ ეყოთ. ამ სასტიკობის გამო პატრებმა დავა დაიწყეს, მაგრამ ოსმალთა მახვილი მაინც ვერ შეაჩერეს. გაფრანგებულთ ისე გაუჭირდათ საქმე, რომ თავიანთ სოფლებიდგან აიყარნენ, ზოგი ართვინში გადასახლდა, ზოგი სხვა დაშორებულ ქალაქებში, სადაც კი კათოლიკის სარწმუნოების ხალხი ეკულებოდათ. უმეტესი ნაწილი კი ართვინში დარჩა.

დროის განმავლობის მეოხებით დასავლეთ საქართ-

ველოში რომის ლათინთა მოძღვართ გავლენა შესუსტდა სიშისა და უგზო-უკვლობის გამო. ამიტომაც მაშინდელს ქართველ კათოლიკეთ პატრონად სომეხ გვარის კათოლიკე მოძღვარნი აღმოუჩნდნენ, რომელნიც ლათინთ პატრებზედ არა ნაკლებ ჰუარველობდნენ ამ ახალ და ძველ გაფრანგებულ ქართველთ.

ეკკლესიებში ლათინურ ენის მაგიერ სომხურ ენაზედ დაიწყეს წირვა-ლოცვა. ხალხსაც უხაროდა ეს ცვლილება, რადგანაც ქართველ კაცთან სომხურ ენას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა, ვიდრე ლათინურს. ქართველნი ადვილად სწავლობდნენ სომხურს ენას და ამ ენაზედ ლოცვებიც კარგად ესმოდათ. დროის განმავლობის მეოხებით ქართველიებმა ისე შეისწავლეს სომხური ენა, როგორც თავიანთის ეკკლესიის ენა, როგორც თავიანთი სამშობლო ენა. მაშინ მათგან უამისობა არ შეიძლებოდა. ასეთი შესწავლა საშიში არ იყო, რადგანაც იმ დროის ქართველთა და სომეხთ შორის სადაკო და სადავიდარობა არა იყო რა. ხოლო იმ ცვლილებამ და წესების შეტანამ ქართველებში რა გავლენა იქონია და მერმისისათვის რა ცვლილება მოახდინა, ამისას ჩვენ არას ვიტყვით—ამისი დასკვნა იმათთვის მიგვინდვია, ვინც ხსენებულ კუთხეში დასახლებულ კათოლიკეთა აწინდელი ცხოვრება-ვითარება კარგად და მიუფერებლად იცის...

ჩვენი ამბები რომ ყოველივე მართალია, ამას დაასაბუთებს შემდეგი მაგალითიც!

აჭარაში მგზავრობის დროს, დაბა ქედაში, გავიცანი ერთი ართვინელი სომეხ-კათოლიკეთაგანი აშტრაკიანცი, ყმაწვილი კაცი. ერთმანერთს ვინაობა ვკითხეთ. მან სთქვა:

— მე აქეთკენ ვმგზავრობ, აქა-იქ მთებში მადნებს ვე-

ძებ, მერე ამ მადნების ცნობებს ზოგიერთ ევროპიელებს ვატყობინებ, ისინი მომყავს აქ და იჯარით იღებენ. ამის შემდეგ ართვინელ კათოლიკების შესახებ ჩამოვარდა სიტყვა და განაგრძო:

—უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ძველები ამბობდნენ, რომ ჩვენ გვარტომობით ადრე ქართველნი ვყოფილვართ. ჩვენ თურმე ჩხალის ხეობაზედ ვცხოვრობდით, ერთ სოფელში, იქ გავფრანგებულვართ და მერე იქიდგან გადავსახლებულვართ ართვინში. ართვინში დაგვიწყებია ქართული ენა, და ჩვენი გვარიც აქ გამოგვიცვლია,—დღეს აშტრაკიანცად ვიწოდებით. საკვირველია, ასე როგორ შევიცვალეთ, ასე როგორ გადაგვისხვაფერდა ყოველივე, რომ ქართველობისა აღარაფერი შეგვრჩა, არც ენა, ვინაობის კარგად გაგება და ძველი გვარის ხსოვნა. ძალიან მიკვირს, ძალიან ჩვენი ასე გადავიწყება და გადაგვარება... ამბობენ, რომ სხვა ქართველ კათოლიკებსაც ჩვენსავით დავიწყებიათ ყველაფერი.

ახლა აქ მე ამაზე მეტს არას ვიტყვი, ვამოწმებ თვით სომეხ კათოლიკეთ ყოფილს გვამს და მან დააჭეშმარიტოს ამის შესახები ცნობები, რომ ჩხალის ხეობის ქართველთ ძველად კათოლიკობა მიიღეს თუ არა და თუ მიიღეს,—მაშინ ეს ქართველ კათოლიკები რა იქმნენ, სად წაიდნენ და სად სცხოვრებენ დღეს მათი მომდევარნი? ამიტომ მე ჩვენის საბუთების დასამტკიცებლად თვით სომეხ კათოლიკებს ვასახელებ, რომელთაც მრავალი რამ ცნობები შემოაქვთ ჩვენს მწერლობაში თავიანთ გვარტომობის შესახებ.

ფ. ჯ.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში.

გაგრძელება *)

ბრდინუჯის, ლაგვანის, შაგუეთის და ამერხეკვის გამაჭმადიანება.

—ბიჭო, რაიზა გამაჭმადიანდით, ქრისტიანობას როგორ სჯობია მაჰმადიანობა?

—ხოჯა მოლებმა გვითხრეს, რომ ქრისტიანობა ლპებაო, მაჰმადიანობა კი მაგრდებაო, ჩვენ დავიჯერეთ ესა; ჩვენ ქრისტიანები ვართ და ძალი არ მოგვდევს! აბა თუ ჩვენი რჯული მართალია, აბა ქრისტემ გვიშველოს მაშ, რატომ არ გვიშველის? იგინი უსჯულოები არიან და ჩვენზე სჯულიანებზე უფრო ძლიერნი, მაჰმადი მათ შველის!

—აი თქვე ოხრებო, თქვენა, თქვენ მაჰმადიანობაზედაც ლაპარაკობთ? მიუგეს ქართველთა.

—მეტი რა ზორი გვაქვს, რომ ასეა საქმე? დღეს ჩვენ მაჰმადიანები ვართ და დღეში ხუთჯერ ვლოცულობთ, უსჯულოები ვართ და ასე სუფთად ვიქცევით და როცა

*) იხ. «კრებული», № 3, 1899 წ.

სჯულიანები ვიყავით, მაშინ კი ჩვენ დღეში ერთხელაც არ ვლოცულობდით.

—რატომ არ ლოცულობდით, ვინ გიშლიდათ, რას შვრებოდით მაშა?

—რასა და ყურძენს ვკრეფდით, ღვინოს და არაყს ვსწურავდით, და ვსვავდით და ვითვრებოდით, დამთვრალნი ერთმანერთს ვეჩხუბებოდით, ვსცემდით, ვაგინებდით და ყველა გონჯს საქმეს ვშვრებოდით. ლოცვისთვის ვინ ეცალა სცალოდა? მიუგეს გამაჰმადიანებულთა.

ამათ კინალამ ჩხუბი მოუვიდათ, კარგად შელაპარაკდნენ, ერთმანეთს დიდად გაუწყრნენ, გაჯავრდნენ.

გამაჰმადიანებულებმა იწყეს სუფთად ცხოვრება და მეცადინეობა. სადაც ქრისტიანად დაშთენილი იყვნენ, ამათ იგინიც აიყოლიეს და ლივანაში მაჰმადიანობამ იწყო მოფენა. ესენი ყველას არწმუნებდნენ, რომ მაჰმადიანობა კარგი არის, ჩვენ ვცადეთო, თქვენც სცადეთ და ამაზე დარწმუნდებითო. ტყუილად თავებს ნუ წაიხდენთ. ჩვენ ძველს სჯულს იმდენი ძალა არა აქვს, რამდენიც თათრებისასო. ხალხს სჯეროდა ამ კაცების სიტყვები და ადვილად თათრდებოდნენ. ამ საქმეების გამო ქრისტიან ქართველები დიდად ჯავრდებოდნენ, გამაჰმადიანებულებს სასტიკად გადაეკიდნენ. იმათ გამოუცხადეს ასე:

—ოსმალთა ჩხუბს თავს დავანებებთ და თქვენ დაგიწყებთ ჩხუბს. არ შეგარჩენთ სჯულიდან გასვლას. ეკლესიების ჯამეთ გადაკეთების ნებას არ მოგცემთ, დაიცადეთ თქვენა! ესენი ასე ამბობდნენ, მაგრამ გამაჰმადიანებულთა იწყეს გაძალუანება. საქმემ მალე იქამდის მიაღწია, რომ ტბეთის საყდარი ჯამეთ გადააკეთეს და მაჰმადიანურად მორთვა დაუწყეს. ქრისტიან ქართველებს ეს ამბავი დიდად ეჯავრათ. მრავალნი ეტყოდნენ მათ:

—ბატონო, რა ზორი გაქვსთ, რომ მაგრე სტირით და სწუხთ, რა წახდება მით, ღმერთის სალოცავად იქნება. რა არის აქ სატირალი?

ქრისტიანები დაემუქრნენ თათრებს: არ შეგარჩენთო, ოქვენს ჯავრს ამოვიყრითო, ამათ აი რა მოუხერხებიათ ახალ გამაჰმადიანებულებისათვის:

რამდენიმე ალაგას ჯამეს ცეცხლი მისცეს და გადასწვეს და ეს ისე მოახერხეს, რომ მათ ვერავინ რა შეუტყო. თავიანთ მეგობარ ახალ გამაჰმადიანებულს ქართველთა ჯამესაც ავნეს.

ჯამე ხისაგან იყო გაკეთებული, მაგრამ გვარიანი ჯამე კი იყო. ჯამეს საძირკვლის მაგიერ დიდრონი ბოძები ჰქონდა მიცემული, ამ ბოძებზე იდგა ჯამე. ქრისტიანე ქართველებმა ამ ჯამეს ძირის ბოძებს დაჭრა დაუწყეს, ნელ-ნელა ძირს უფუღუროებდნენ. ეს ჯამე მაღალ ალაგას მდგარა, წინ დიდი გადმოსავარდნი ჰქონია. ერთ დღეს ხალხს მოუყრია თავი და შესულან ჯამეში სალოცავად. ხოჯა დამდგარა თუ არა ლოცვაზე და უთქვამს „ელაუქბერ“ და მუხლი მოუყრია, ამის მუხლის მოყრის უმალვე მთელი ხალხიც დამხობილა ძირსა. ამ დროს ჯამეს უგრიალია და დაქცეულა. მთელი ხალხი და ჯამე კლდეში ჩაცვივნულან. ზოგი მომკვდარა, ზოგი დამტვრეულა და ზოგი კი გადარჩენილა. ამ ჯამეს დაქცევის საქმე სტამბოლამდის წავიდა, აქ კი ვერავინ მიხვდა მის მიზეზს, თუ ეს ახლად გაკეთებული კარგი ჯამე რა მიზეზით დაიქცა. ქართველებმა დაცინვა დაუწყეს გამაჰმადიანებულ ქართველებს:

—ბიჭო, აგერ, ნახეთ, რა მოგვივიდათ! ღმერთმა დაგანახვათ, რომ თქვენ კაი საქმეებს არ შვრებით, სჯულიდან ხელს იღებთ. თქვენ პატარა მოითმინეთ და ბევრს

სხვა რამეს გაჩვენებთ ღმერთი. ახლა მაინც არ გაჩერდებით, ახლა მაინც არ დაიჯერებთ, რომ მაჰმადიანობა ქრისტიანობას არ სჯობია და, გინდ სჯობდეს, მაინც სჯულის გამოცვლა კარგი არ არის?!

—ჩვენ რაკი გადავბრუნდით, მოხდა ეს საქმე, ეხლა ვერ გადმოვბრუნდებით. დაიცადეთ, ვნახოთ, თუ სხვა ჯამეებიც დაიქცევა, მაშინ კი გავბედავთ და გადმოვალთ ისევ ძველს სჯულზე. მეტი გზა არ იქმნება.

—აბა, შვილო, ეკკლესიებზე რომ ამბობდით, რომ ლპებაო, იმდენ ხანს ვერ სძლებენ, რამდენსაც ჯამეებიო, აბა ნახეთ, თქვენი ახალი ჯამე როგორ დაიქცა დამპალი სახლივით! აბა ერთი ეკკლესია გვაჩვენეთ, რომ ის თავის ნებით იყოს დაქცეული?

ამ შეიტნებმა თურმე ისეთი რამეები უთხრეს იმ ახალ გათათრებულებს, რომ კინალამ სჯულიდან გადაბრუნეს იგინი. ბევრი კი მიიმხრეს თურმე თვისკენ და ჩუმად დააწყებინეს ქრისტიანულად ლოცვები.

ის შეიტანები აი რას შვრებოდნენ თურმე, აქა იქ სოფლებში დაძვრებოდნენ და ზოგს ჯამეს ჩუმად ცეცხლს აძლევდნენ, ზოგს ძელებს უჭრიდნენ, ქვის ჯამეებს სხვაფრივ აზარალებდნენ და მათის ოსტატობით ზოგი ჯამე ცეცხლისაგან იწოდა, ზოგი მთლად იქცეოდა, ზოგს კედლები ენგრეოდა. მთელი დუნია დაფიშმანდა ამაზე, მაგრამ მიზეზი ვერ შეიტყეს. მათ კი ერთმანეთში ფიცი ჰქონოდათ მიცემული, რომ არავის არ შევატყობინოთო.

ხალხს კი ისე ეგონა, რომ ყველა ეს უბედურებანი გამჩენელი ღმერთის ბრძანებით ხდებაო. ამას თვალით გვაჩვენებს, რომ სჯულიდან ხელს ნუ იღებთო, ნუ მაჰმადიანდებითო! ამიტომ მრავალთა იწყეს უკან გადაბრუ-

ნებაო. სჯულის გადაბრუნება ღმერთს არ მოეწონა, ამიტომ მან ერთს ქართველს გულში წმინდა ჰაზრი ჩაუნერგა; ეს ქართველი ქრისტიანი მივიდა გამაჰმადიანებულ ქართველებთან და უთხრა:

—ძმებო, თქვენს ჯამეებს გამჩენელი ღმერთი კი არ აქცევს, არამედ ქართველები აქცევენ და ცეცხლს აძლევენ უჩუმრად. თქვენ კი სხვა გეგონათ, მეც იმათში ვერიე, აი გიჩვენებთ ყველაფერს.

ოსმალთა და ახალ გამაჰმადიანებულთ გაეხარდათ. ამათ დაუწყეს ქართველებს ჩუმად ზვერვა. დამბეზღავი ქართველიც მალე გადაბრუნდა სჯულიდან, მაჰმადიანობა მიიღო. ამის ნათესავ ქართველებმა შეიტყეს ამ კაცის გამაჰმადიანება, ამათ სთქვეს, რომ ახლა კი შეგვიტყობენ საქმესაო. გამაჰმადიანებული გაგვცემსო. ამათ ჯამეების ქცევა-ნგრევას და ცეცხლის ძლევას თავი გაანებეს. საქმე ცუდათ წაუვიდათ, გამჩენელმა ღმერთმა არ შეარჩინა, ყველაფერი შეიტყეს ოსმალთა. ამათ მალე გაიგეს თურმე, რომ ჩვენი საქმე ცუდათ არისო, ან გაგვამაჰმადიანებენ და ან თავებს დაგვჭრიანო. გამაჰმადიანებას ჩვენ ვერ ვიზამთო, რაც უნდა დაგვემართოს, ჩვენ მაინც ქრისტიანები უნდა ვიყოთ, ისე უნდა ვილოცოთ, როგორც ჩვენს ძველებს ულოცნიათო.

ესენი თურმე ერთ ღამეს მოემზადეენ გაქცევასა და როცა შუაღამე გახდა და აქა-იქ სოფლის ხალხს დაეძინათ ღრმა ძილით, მაშინ ამათ აღკაზმეს ცხენები, ზედ შესხეს ქალ-ბაღანა, ვისაც ფეხით შესძლებია სიარული, ის ფეხით წასულა, თან წაუღიათ მხოლოდ ლოგინი და წასულან უჩემრად და გასულან ქრისტიანების მიწაზე. მეორე დღეს მაჰმადიანები შევიდნენ სოფელში და სოფელი ხალხით მთლად ცარიელი დახვდათ, არსად ერთი კაცი

აღარ იყო. მთლად ამათი ქონება, საქონელი და ავეჯი კი აქ დარჩენილიყო, ყველა ესენი ახალ გამაჰმადიანებულებმა და თურქებმა აიღეს და გაინაწილეს, ზოგი ქონება და რამეები ამ შეიტნებისაგან დამწვარ და დაქცეულ ჯამეების განახლებას მოანდომეს. ამ სოფლის ხალხის გაქცევის შემდეგ აქეთკენ მაჰმადიანებო მთლად მოფენილა. ესენი იყვნენ თურმე გაუტეხავნი. და ესენი რევდნენ ქვეყანას.

ყარსის (კარი) მაჰმადიანების გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ვაიოში გამაჰმადიანებ., გოგიტიძეების მიერ).

ყარსი ძველად ქართველების ქალაქი იყო, მის გარშემო სულ ქართველები სცხოვრებდნენ. ყარსის იქითაც საქართველო ყოფილა. ოსმალებს ყველაზედ წინად ყარსის ქალაქი და სოფლები დაუჭერიათ; რამდენისამე ხნის შემდეგ თათრებს ქართველებისთვის გამაჰმადიანება უთხოვნიათ. მაგრამ ქართველები არ დასთანხმებიან და ოსმალებთან ამის გამო ჩხუბი მოსვლიათ. ქართველთაგან ძლიერ ბევრნი დახოცილან, ბევრნი საქართველოში გამოქცეულან, ბევრნი იქ დარჩენილან და ჩხუბებს ბოლო და დასასრული არ მისცემია. ამ დროს ყარსისკენ მდგარან გოგიტიძეები, ამათი სოფლები იქით ყოფილა. გოგიტიძეები აზნაურები ყოფილან მეფეების დროს და თათრებს ამის მაგიერ აღიარება მიუციათ. ერთი გოგიტიძეთაგანი მეტად შესანიშნავი კაცი ყოფილა, ხალხის მოყვარე და ქვეყნის ერთგული. ეს წასულა ოსმალებთან და უთქვამს:

—ბატონებო, ჩვენი რად გეშინიანთ თქვენა, ჩვენი

რის შიში გაქვთ, ჩვენს სჯულს რად ეხებით, რად გინ-
დათ, რომ ჩვენ ჩვენი ძველი სჯული დაგვაკარგვინოთ,
ამაებით უფრო ბევრს მტრებს გაიჩენთ თქვენ, სჯობს
რომ ამდენი ხალხის ასე ჭლეტა-წყვეტას თავი გაანებოთ
და ქვეყანას უპატრონოთ. ჩვენ თქვენი ერთგული ვართ.
მე გაძლევთ პირობას, რომ თქვენ წინააღმდეგ სიტყვა,
კრინტი არავინ დასძრას, ხმალი არავინ აიღოს ხელში;
ოღონდ თავი დაგვანებეთ, ჩვენს სჯულს თავი გაანებეთ.
ხალხი ამაზედ სწუხს და სულ ამის გამო არიან უკმაყო-
ფილონი, რომ ნუ გვათათრებენო. ოსმალთ მიუგეს მას:

—ძალიან კარგი, ყველაფერს შევასრულებთ, მხო-
ლოდ შენის სიტყვით და შენის დაპირებით და ისიც იმ
შემთხვევაში, შენ თუ თათრის სჯულს მიიღებ; ეს იცოდე,
რომ მაშინ ყარსის ფაშობასაც შენ მოგცემთ და მართე
აქაურობა ჩვენის ერთგულებით. ასეთი რჩევა გოგიტიძეს
მოეწონა, ამან იფიქრა ამდენი ვაი-ვაგლახები თუ ჩემის
გამაჰმადიანებით მოისპობა და მეც ფაშა გავხდები, მაშინ
რა მიჭირს, გავმაჰმადიანდები და ამით ქვეყანასა და ხა-
ლხს მაინც ავაცდენ დიდს უბედურებასაო. ამიტომ ეს
კაცი მალე გამაჰმადიანებულა. ამისთვის სახელად სეიდ
უწოდებიათ და ყარსის ფაშად დაუდგენიათ. სეიდ ფაშა
გოგიტიძე ძლიერ შესანიშნავი კაცი ყოფილა და თავისი
საქმეებიც კარგად უმართავს, მაგრამ არ გასულა დიდი
ხანი, სეიდ ფაშას გამაჰმადიანების შემდეგ, რომ ოსმალის
ფადი-შაჰისაგან ბრძანება მოსულა, რომ ქართველები
მთლად უნდა გაამაჰმადიანოთ, ჩემს სამეფოში ყველა მაჰმა-
დიანი უნდა იყოსო. ამ ამბავს ხალხი არ დაჰყაბულებია.
სეიდ ფაშასთან მისულან და უთქვამთ, ეს რა ამბავი არის,
დაგვიმორჩილეს, ფეხი გაიმაგრეს, ყოველივე ჩვენი საი-
დუმლოება შეიტყეს და ახლა გამაჰმადიანებას გვეუბნე-

ბიანო, ეს რა ამბავიაო. სეიდ-ფაშა მიმხრობია ქართველთ და ამათ ოსმალთა წინააღმდეგ ჩხუბი დაუწყიათ. ჩხუბში დიდძალი ქართველობა გამწყდარა, მაგრამ არც ოსმალთ დასდგომიათ კარგი დღე, ესენიც მრავალი დახოცილა. ოსმალთ მალე მოშველებია ოსმალოს ახალი დასვენებული ჯარი და ამათ გაუმარჯვნიათ. ქართველები ძლეულან და ამ ძლევის დროს სეიდ-ფაშა გოგიტიძე თავის ხალხით აჭარაში გამოქცეულა, რადგანაც აჭარა მაშინ საქართველოსი იყო. აქ ქართველი მეფე იჯდა. ყარსიდგან მოსული სეიდ-ფაშა გოგიტიძე აჭარის სოფ. ვაიოში დასახლებულა. აქ გაუმაგრებიათ თავი და აქედგან უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ. აჭარელთ დიდი ხანი შეუნახავთ თავი. ყარსისკენ-კი მთლად გამწყდარა ქართველობა ომში და ვინც დარჩენილან, იმათ უმეტესი ნაწილი გამაჰმადიანების გამო დაუხოციათ ოსმალთა და ვინც დარჩენილან, ბოლოს ესენიც გამაჰმადიანებულან. გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალთ ქართველებს ხოჯა-მოლები გამოუგზავნეს, ეკლესიები დაუქციეს, მღვდლები გამორეკეს, ზოგი დახოცეს და ვინც ქართულად ლაპარაკობდა, იმათ კიდევ აღუკრძალეს, რომ დღეის შემდეგ ქართულად ლაპარაკი არ გაბედოთ თქვენ, თორემ დაგხოცავთო. ახალ გამაჰმადიანებულთ ძლიერ ეშინოდათ, რადგანაც ამათ მომხრე და ქომაგი არ ჰყავდათ და ამიტომ ძალა-უნებურად თათრულს ენაზედ ლაპარაკობდნენ. ნელ-ნელა თათრულს შეეჩვიენენ და ქართული მთლად დაავიწყდათ, ასე რომ დღეს ყარსისაკენ ქართული აღარავინ იცის. მას შემდეგ, ჩვენ გოგიტიძეები, სეიდ ფაშასი და მის ძმების შთამომავალნი ვსცხოვრებთ ვაიოში და ჩვენში

ძველმა კაცებმა ამ სეიდ-ფაშა გოგიტიძის ქართველთ გამაჰმადიანების შემდეგ ბევრი ძველებური ამბები იცოდნენო.

ართვინის (კლარჯეთამდის) გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ბ. ლუკა ანდღულაძის მიერ).

რუსეთმა რომ ბათუმი ჩაიბარა, მე მაშინ სამსახურში შეველ, მალე ბათუმში ვიქმენ განწესებული და იქიდგან გურიის მილიციაში ვემსახურებოდი. აჭარის ჩაბარების შემდეგ მე აქეთ ვმსახურებდი, ხან აჭარაში, ხან ზეგანს, ლივანას და ბურღულის ჩაბარებაში მე თვით ვიყავ დამსწრე და მონაწილეობის მიმღები. იმ დროებში ჩვენ აქ ძლიერ ბევრი ღრმად მოხუცებული ქართველ-მაჰმადიანები ვნახეთ, რომელნიც ლაპარაკობდნენ თამამად შემდეგს:

მას შემდეგ სამი თაობა გავიდა, რაც ართვინის ხალხი კლარჯეთამდის გამაჰმადიანდაო. ართვინელნი დიდად მაგრობდნენ და ამიტომ ოსმალოსაგან დიდძალი ჯარის-კაცი იქმნა მოგზავნილი და ამ ჯარის-კაცებმა ქრისტიანობის გულისთვის 1400 ქართველს მოსჭრეს თავი და ეს თავები ჭოროხში ჩაყარესო. აქეთ ბევრ მოხუცებულთ ახსოვთ გაგონილი ამბავი, რომ ქრისტიანობის გულისთვის ერთს დროს ქართველთ 1400 კაცს მოსჭრეს თავიო. მოხუცებულთა ფიქრით ეს უნდა მომხდარიყოს 1740 წლებში.

(ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი).

ზეგანი ნებით არის გამაჰმადიანებული, აქ ოსმალებს სისხლი არ დაუღვრიათ.—ამიტომ ზეგანი ნებით გაქრისტიანდებაო. ამის ნიშანი ჩვენ ვნახეთ, რომ შესოფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ზეგნელი თავისს ნებით გაქრისტიანდა. ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არც ერთი მხარეა გამაჰმადიანებული, სადაც-კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელებს აჭარელებზედ არა ნაკლებ უტანჯნიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო. დანდალომ ზეგანს მიჰბაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო.

ხერხეულიძე ღრმად მოხუცი გარდაიცვალაო, ასე 90 წლისა. ეს იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენის გვარიდან პირველად მამა-ჩემი გამაჰმადიანდაო. მამაჩემი მაშინ 20 წლის დელეყანდი იქნებოდა და სჯულზე ძლიერ მაგრობდაო. თურქებს ბრძოლა აუტეხეს, მამაჩემის ერთი ნათესავი დაიჭირეს და თავი მოჭკვეთეს, ზოგი ბაწრით დაარჩეს; მამაჩემს შეშინებია და გამაჰმადიანებულა. ეს ამბები უნდა მომხდარიყოს 1770 წლებშიო.

ხულოს ეკკლესია რომ დააქციეს, მაშინ ბევრი ზეგნელები ჯავრობდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ რად აქცევენო. ახმედ ფაშასთან მივიდნენ და სთხოვეს:

—ფაშა, აგრემც თქვენს მუხლებს ვენაცვალებით, ამ ეკკლესიას ნუ აქცევთ, ცოდოა, ჩვენი ძველების გაკეთებულიაო. ნუ იზამთ ამასაო!

ფაშამ ამათ ღალატი შესწამა; ქრისტიანობას სწამებდნენ, ამიტომ თავები მოჰკვეთეს. ეკლესია მაინც დააქცეს, ეკლესიის ქვებით ფაშის სახლი გააკეთეს და მათ მეზელუხს (სასაფლაო) ყორე შემოავლეს, ჯამეს საძირკველი მით ჩაჰყარეს და წყაროს კედლებიც მით გააკეთეს. სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდგან. სხალტის ეკლესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდათ.

აჭარლებზედ მეტი სისხლი მაჭახელმა დაღვარა. აჭარის გამაჰმადიანების შემდეგ გავიდა ბარე 50 წელიწადი და მაჭახელი არც თათარი იყო და არც ოსმალს იცნობდა, იგინი ხარჯს არავის აძლევდნენ, იყვნენ კაი თოფების და ხმალ-ხანჯლის მკეთებელნი და ამიტომ ერთთავად ომი და სისხლის ღვრა უყვარდათ; ესენი აჭარლების სიტყვით გამაჰმადიანდნენ, თორემ ოსმალები ამათ ვერაფერს დააკლებდნენო. მაჭახლის სრულიად გამაჰმადიანება უნდა მომხდარიყოს 1790—1805 წლებამდის. ხალიფაშვილი ამბობდა, რომ მე გამიგია სხვებისაგან, შავშეთი და იმერხევი-კი ნებით არის გამაჰმადიანებული და ისინი თავისს ნებითვე გაქრისტიანდებიან; შავშელნი ისეთი ხალხია, რომ ისინი ყველაზედ ადრე გაქრისტიანდებიანო.

ლივანის გამაჭმადიანება.

(ნაამბობი ს. ნადარაბზევის მცხოვრებ მაჰმადიან მოხუც თათრის აფიცრად ყოფილის თიკანაძის მიერ—იგივე სოფიოშვილი).

ოსმალებმა ლივანა დაიპირეს, ლივანა არ ემორჩილებოდა, ამისათვის ლივანელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. ლივანაში ოსმალთა კაცები გამოგზავნეს და მორჩილება ითხოვეს. ლივანელთ უარი შეუთვალეს და ამათ შეკრეს ჩხალის ხეობა, გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე თამარ მეფის ციხე, გაამაგრეს მაქრიალის გზები და მოემზადნენ ოსმალთა საჩხუბრად; გაიმართა ჩხუბი, ორსავ მხარეს ბევრი ხალხი გაწყდა, ჩვენები სჯობნიდნენ ოსმალთ, ჩვენის მხრიდგან ქალებიც ომობდენ თურმე. ბოლოს საქმე მაინც გაჭირდა, ლივანელნი იძლივნენ, ოსმალთ გაიმარჯვეს და ლივანა აიღეს, მალე ხარჯიც დაადვეს ლივანელებს, ხალხი არ დაყაბულდა, ბევრნი საქართველოში გამოიქცნენ, უმეტესი აქ დარჩნენ. ჩვენებიც აქ დარჩენილან, რადგანაც მათთვის აღიარება მიუციათ, ქართველ მეფეების დროს ესენი აზნაურები ყოფილან. თამარ მეფის დროს მიუღიათ აზნაურობა და თიკანაძეც მაშინ დარქმევიათ გვარად, რადგანაც თამარ მეფის თიკნების შემნახველთ უფროსი ყოფილა ჩვენი ძველი.

პირველ ხანებში ოსმალნი ოსტატურად მოექცნენ ხალხს, ხარჯს გარდა გამაჰმადიანება არავის უთხრეს, ამაზედ ძალას არ ატანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი დაატანეს ძალა, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს. ამბობენ, რომ ერთს დღეს მარადიდში ოთხას კაცს მოსჭრეს თა-

ვი გამაჰმადიანების გულისთვისაო. მარადიდის დიდი ეკკლესიაც დააქციეს და მარადიდის ხიდიც დასწვეს, რომ ხალხი აჭარაში არ გაქცეულიყო. ეს ხიდი ჭოროხზედ იყო. ძველად მთელს ლივანაში ჭოროხზედ ხიდი მარადიდის გარდა სხვაგან არსად ყოფილა. მარადიდის ეკკლესიაც კაი დიდი ეკკლესია ყოფილა, შემდეგ დროებში ქრისტიანებს საქმე გასჭირვებიათ, მაგრამ არც ოსმალნი ყოფილან მოსვენებაში; ამათ უფრო გასძნელებიათ ხალხის გამაჰმადიანების საქმე. ჭოროხის ნაპირებს ახლო-მახლო მდებარე სოფლები ადვილად გაუმაჰმადიანებიათ და რომლებიც მეტად შორს ყოფილა, იქ ვერაფერი მოუხერხებიათ. იქიდან ხალხს დიდხანს უბრძოლია, მაგალ., ჭოროხის ნაპირს სოფლებს, ცოცხების მიყრუებულ ადგილებიდან და სოფლებიდან, რომლებიც მაღალს მთებზე სძევს, ამათ დიდ ხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ და ქრისტიანობით დიდ ხანს შეუნახავთ თავი. ბოლოს ოსმალთ მოუგონიათ ასეთი ოსტატობა: ამ მხრის მოწინავე კაცები დაუბარებიათ და გამოუცხადებიათ, რომ ვინც აქ. იმეცადინებს და ხალხს გაამაჰმადიანებს, იმას ჩვენ აღიოობას მივცემთ და თითო ოჯახის გამაჰმადიანებაში თითო ოქროსაც ფულს მივცემთო. მოწინავე კაცებს ეს ძლიერ გახარებიათ, ამათ დაუწყიათ შორს მაღალ სოფლებში სიარული და ხალხში მეცადინეობა, ლაპარაკი, რომ გამაჰმადიანდით, თორემ ბოლოს საქმე წაგვიხდება, ოსმალნი მაინც გაგვამაჰმადიანებენ და ძალიან დაგვსჯიან კიდევაო, მეტი გზა არ გვაქვსო. ხალხი ისმენდა ამათს ლაპარაკს, ესენი მაშინვე მღვდლებს რეკავდნენ სოფლებიდგან და ამათ მაგიერ ხოჯებს იბარებდნენ. პირველ ხანებში აქეთ თურმე ხოჯები ეკ-

კლესიებში ალოცებდნენ ხალხსა და ხალხი ამიტომ უფრო არ შინდებოდა მაჰმადიანობის მიღებ-შეჩვევას. მოწინავე კაცებმა ამ საქმეებისაგან დიდი ფული იშოვნეს და ამ ხალხის ბატონობაც მათ ჩაჰბარდათ ოსმალებისაგან. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ და ამათ რომ არ ემეცადინათ აქ ხალხის გამაჰმადიანებაზედ, მაშინ შესაძლებელი იქმნებოდა, რომ ლივანაში მაჰმადიანობა 100 წლის შემდეგ შემოსულიყო, რადგანაც ლივანის ზემოდ, ჭონეთს შუა ისეთი მივარდნილი და მიყრუებული მთებია და იქ ისეთ ადგილებშია სოფლები, რომ გამაჰმადიანების შემდეგ იქ ოსმალებს ფეხიც აღარ შეუდგამთ დღევანდლამდის. შინაურებისაგან მომხდარა ჯაშუშობა და ღალატი, თორემ ოსმალნი აქ ადვილად ვერაფერს გააწყობდნენ და ვერც ხალხს გაამაჰმადიანებდნენ მალე.

II

ლივანაში ერთხნობით ძლიერ გასძნელებიათ ხოჯა-მოლებს ხალხის გამაჰმადიანება, გასძნელებიათ მით უფრო, რადგანაც დღეში ხუთჯერ ლოცვას ვერ შეუჩვევიათ ხალხი და გარდა ამისა ფეხის ბანას ხომ უფრო გაუჭირებია საქმე. ერთ დღეს ხალხს ხოჯასთვის უთქვამს:

—ხოჯა, ეს რაფერ იქნება, რომ დღეში ხუთჯერ ვილოცოთ და მასთანავე ზამთარში ფეხები ცივი წყლით ვიბანოთო.

—რა ვქნათ, ძმაო, ჩვენი სჯული ესეთი წმიდა არის, სუფთა, თქვენ რომ ქრისტიანები იყავით, მიტომაც არ გქონდათ ესენი და მურდლები იყავით.

—ეგ კი, მაგრამ, მაინც გვიძნელდება, წაღების გახდა და სიცივეში დაბანვა.

—არა უშავს-რა, წაღებს ნუ გაიხდით, ის მაინც მოახერხეთ, რომ ხელები წყლით დაისველოთ და სველი ხელი წაღებზედ სამჯერ გარედან წაისვათ, ვითომც წაღები გაგიხდიათ და დაგიბანიათ, მაჰმადი თქვენგან ამას არ იწყენს, რადგანაც თქვენ ჯერ ახალი თათრები ხართ.

ასეთის ოსტატობით შეაჩვიეს მოლა-ხოჯებმა ახალი თათრები ფეხის ბანასაო...

(ს. აგარის მაჰმადიანთ დევაძეების გვარში დარჩენილი).

ოსმალნი ლაზისტანში შემოვიდნენ და მთლად დაიპირეს იქაურობა, მაქრიალის ციხეში ფეხი გაიმაგრეს; იქიდამ აჭარლებზედ მოინდომეს გამოლაშქრება და გამაჰმადიანება. აჭარელებმა ეს ამბები შეიტყეს და ძლიერ შეშინდნენ. ამათ მაშინვე თავიანთი დიდი კაცები შეყარეს და ლაპარაკი დაიწყეს, თუ საქმეს რა ვუყოთ, რა გვარ მოვაგვაროთო. დიდკაცებმა უთხრეს, რომ ჩვენ ძალი არა გვაქვს, ტყუილად წავახდენთ თავს, იგინი ბოლოს მაინც დაგვიპერენ, ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ ჩვენ წავიდეთ იქა და მაჰმადიანობა გამოუცხადოთ, ვთხოვოთ, რომ ჩვენზე ომსა და განად-

გურებას თავი გაანებონ. ხალხის უმეტესი ნაწილი უარზე დადგა: ჩვენ მათ ვერ ჩავბარდებით, რადგანაც მაგენი მურდლები არიანო და გინდ რომ ჩავბარდეთ, რჯულს მაინც არ გამოვიცვლითო. ჩავბარდებით, ხარჯს მივსცემთ და სჯულთან რა საქმე, რა ხელი აქვთო. ასეთი პირობა გავგზავნოთ, რომ ჩვენ თქვენი დიდი ერთგულები ვიქნებით, ხარჯს გადავიხდით, რასაც გვიბრძანებთ, ყველაფერს აგისრულებთ, მხოლოდ გთხოვთ, რომ სჯულს-კი ნუ შეგვაცვლევინებთო. ამ გარდაწყვეტილების წაღება იქ ვერავინ ვერ გაბედა, ოსმალნი პასუხს უცდიდნენ. ბოლოს ორმა მღვდელმა წაიღო ეს ამბავი და მივიდნენ მაქრიალში. იქ ამათი ამბავი მოისმინეს ოსმალთ და პასუხად მოგვცეს, რომ არ შეიძლებაო. ოსმალთ ხელში ყველა მუსლიმანი უნდა იყოს, ქრისტიანი არ შეიძლებაო ეს ამბები იქიდგან მღვდლებმა-კი არ მოიტანეს, არამედ ოსმალის კაცებმა. მღვდლებს მაშინათვე თავები დასჭრეს. ამის შემდეგ კიდევ წავიდნენ მოსალაპაკებლად მღვდლები, მაგრამ იქ ნებას არ აძლევდნენ, იჭერდნენ ამათ და თაკებს აყრევინებდნენ.

ამ დროებში მაქრიალში ოსმალთ სულთან სელიმი მოუვიდათ. სულთან სელიმის ამბავი ჩვენმა დიდ კაცებმა რომ შეიტყეს, ძლიერ გაეხარდათ. მაშინათვე ამათ აქ ხალხი შეკრიბეს და დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჩვენ სულთან სელიმს დავმორჩილდეთ, ფიცი მივცეთ ერთგულებაზედ, რომ გავმაჰმადიანდებით ჯ ის ამის გამო

ჩვენ გაგვანთავისუფლებს. ჩვენ აქ დაგვტოვებს და თვით წავა ოსმალეთში და ჯარსაც თან წაიყვანს. მერე როგორც გვინდა ისე მოვიქცეთ. ამ რ"ევის უპირველესი პირი ვიღაც აბაშიძე იყო, რომელიც იმერეთიდგან იყო გამოქცეული კაცის კვლის გამო და აქ იფარავდა თავს და თვისს თავს თავადათ აღიარებდა. ეს წავიდა სულთან სელიმთან; ამას რამდენიმე სხვა კაცებიც გაჰყვნენ. აბაშიძე მივიდა, სულთანს თავი დაუკრა და უთხრა, რომ მე ვარ თავადი აბაშიძე, მე მსურს თქვენი სჯული მივიღო და ჩემთან მთლად აჭარის ხალხმაცაო. ძალიან კარგიო, მიუგო სულთანმა. აბაშიძე იქვე გამაჰმადიანდა. ამას მისცეს ბეგიობა, ანუ სანჯახ ბეგობა და ჩააბარეს მთელი აჭარა, კახაბერი და ბათუმი. იმ დღიდგან აბაშიძეები გაძლიერდნენ აქ და დაიწყეს ბატონობა. მაჭრიალიდგან აბაშიძე მობრუნდა, თან მოიყვანა ხოჯები და სოფლებში დააყენა და ხალხს უთხრა, რომ სულთანმა თქვენი თხოვნა შეისმინა და რაკი მაჰმადიანობას მიიღებთ, მერე ფიქრი ნუ გაქვთ, იგი აქედან წავა და თქვენ დაგტიებთო. ხალხს ძლიერ გაეხარდა, სთქვეს გავმაჰმადიანდებით ⊂ მათ წასვლის შემდეგ ჩუმი ქრისტიანები ვიქნებითო. ამათ მალე ხოჯები და მოლები მოუვიდნენ და ზოგიერთ სოფლებში გამაჰმადიანდნენ. პირველ ხანებში ესენი ჩუმად ქრისტიანობდნენ კიდეც, ეგონათ მაჰმადიანობა ცუდი იყო, მაგრამ რომ ნახეს მაჰმადიანობა უფრო წმიდა ყოფილა ქრისტიანობაზეო, ამათ ჩუმათ ქრისტიანობას თავი გაანებეს და ნამდვილ

მაჰმადიანებად გახდნენო. მღვდლებს გამოუცხადეს, რომ წადით ჩვენგან, თქვენ ჩვენი აღარ ხართ დღეს, ჩვენი ხოჯები, იმამი და მოლები არიანო. მღვდლებმა იწყინეს. ამათ უთხრეს: აი თქვე მურდლებო, თქვე ურჯულოებო, სჯულიდამ გასულებო, სჯული გაყიდეთ, ქრისტიანობა თათრის სჯულზედ გასცვალეთ; შეგირცხვეთ კაცობაო! ანჯახბეგს ამაზე ჯავრი მოუვიდა. იმან შეაკრებინა რაც მღვდლები იყვნენ, ბაწარში გაუბა ყველას თავები, ერთი მეორეს მიაბა და მერე ყველა ესენი შავს ზღვაში ჩაყარა. ხანჯახ-ბეგებმა ბევრი კარგი საქმე ჰქმნეს; ვინც მაჰმადიანდებოდნენ, იმას ესენი დახმარებას და საუქარს აძლევდენ, ადგილებს და სხვა რამეებს. ვინც არ მაჰმადიანდებოდა, იმას ჯერ მოლა-ხოჯებს მიუჩენდნენ და მაჰმადიანობას ურჩევდნენ, რომ ამასაც მიეღო მაჰმადიანობა და ვინც არ შეისმენდა, იმას ან დააბამდა, ან თავს მოსჭრიდა და ისე-კი არ დასტოვებდა.

ეს ქვეყანა ასე ძალით გამაჰმადიანებულა და ამას ძალით თუ გააქრისტიანებენ, თორემ ნებით არაფერი იქნება; ძალით გაქრისტიანებას და გაუსჯულოებას დიდი ზარალი მოჰყვება. მაშინ ვინც მალე გამაჰმადიანდნენ, ისინი ყველანი კაი კაცები იყვნენ, კაი ადიები. სულ ბეგები დახდნენ.

აქ უნდა შევნიშნოთ ზემოხსენებულ გარდმონაცემს, რომ სულთან სელიმი სცხოვრობდა და მეფობდა 1780—1815 წელში. ამ სულთანმა 1800 წ. გიორგი მეფეს ახალციხიდგან მოციქულები გამოუგზავნა და

შემოუთვალა, შენ ოლონდ რუსეთს ნუ შეუერთდები და დღეის შემდეგ შენ ჩვენ აღარ შეგაწუხებთ. რაც ადგილები წაურმეგიათ თქვენთვის ჩვენს ძველებს, ჩვენ ყველა იმაებს დაგიბრუნებთო. სჯულით არავის გაგამაჰმადიანებთ და ყოველ ნაირს ღონისძიებას მოგცემთ ჯარით, თოფით, ზარბაზნებითა და წამლით, ფეხზედ დადგეს თქვენი სამეფო და გამაგრდესო, ოლონდ მანდ რუსებს ნუ შემოუშვებთ და გზას ნუ გაუხსნითო, გიორგი მეფემ ამაზედ უარი შეუთვალა.

ზ. ჯ.

(შემდეგი იქნება)

ცხრა ძმა.

(არაკი, ჩაწერილი „ქართველი ოსებში“-ს მიერ)

იყო და არა იყო რა,—იყვნენ ორი საწყალი ცოლ-ქმარნი, რომელთაც გაუჩნდათ ცხრა ვაჟი. ვაჟები რომ დაიზარდნენ, დაუწყეს საყვედური დედ-მამას და უთხრეს: ერთი და არა გვყავს ცხრა ძმას და შინ ველარ დავ-დგებით, უნდა წავიდეთ სადმეო. რომ დააპირეს წასვლა უთხრეს დედ-მამას: „თუ კიდევ ვაჟი შეგეძინოსთ, გუ-თანი გამოიტანეთ და დადეთ ბანზედ და, თუ ქალი შეგვეძინოს, ჯარა გამოიტანეთ და ბანზედ დადეთო. წავიდნენ და გადიხვეწნენ ცხრა მთას იქით. დაიწყეს ცხოვრება, ნადირობდენ და მით ცხოვრობდენ. რამ-დენიმე ხანმა რომ გაიარა, უთხრეს ერთმანეთს: მოდი გავიხედოთ ჩვენი ქვეყნისაკენაო; შედგნენ მაღალ მთა-ზედ, გაიხედეს და დაინახეს რომ, მათ სახლის ბანზედ ჯარა დგას. მაშინ ადგნენ ძმები და წავიდნენ შინ; მივიდნენ და ნახეს რომ მართლა და შესძენოდათ. დაიწყეს სიხარული, რომ საზღვარი არა ჰქონდათ.

ერთს დღეს პურს აცხობდენ. უნცროსი ძმა პატა-რა დასთან დააყენეს სახლში, სხვა ძმები დედას შვე-ლოდენ პურის ჩაკვრას თონეში. უნცროსი ძმაც თურ-

მე თავის ტოლებში გავიდა ქუჩაში სათამაშოდ. ვნახოთ რომ, ეს პატარა ქალი წამომდგარა, რაც ვარცლში ცომი დარჩა სულ ერთიანად ამოუჭამია და მიგდებულიყო ლოგინში. შემობრუნდენ დედა და ძმები თონიდგან შინ, ნახეს რომ ვარცლში ცომი აღარ იყო და პატარა ქალი ლოგინში იწვა. ძმებმა დაუძახეს უნცროსს ძმას და ძლიერ სცემეს, თავი რად გაანებე დასაო. ადგა გაჯავრებული ეს უნცროსი ძმა და გაიქცა სხვა ქვეყანაში. ამ პატარა დამ, მისდგა და სულ ერთიანად გადასჭამა. ჯერ დედ-მამა, მერე რვა ძმა და მერე მთელი სოფელი; მხოლოდ გადაარჩინა მარტო ერთი მჭედელი კბილების საქლიბად. გაქცეულმა უნცროსმა ძმამ იარა-იარა და მიადგა ერთს მოხუც უსინათლო ცოლ-ქმართ. ერთი ძროხა ჰყვანდათ, მოსწველიდენ ძროხას, ჩაჰყრიდნენ ჯამში ხმელ პურს და იმით საზრდოობდენ. ეს ყმაწვილი შეეჩვიათ, როცა ჩაიყრიდენ ჯამში პურს, მიეპარებოდა და თითოოროლა ლუკმას, რძეში დამბალ პურს ამოაცლიდათ ხოლმე ჯამიდან და მით საზრდოობდა. ერთხელ-ორჯელ, და ნახეს რომ, ბრმა ცოლ-ქმართ კერძი არა ჰყოფნის. ერთმანეთს შესჩივლეს, თუ კი აქამდინ გვყოფნიდა, ახლა რადა მოგვივიდა, უთუოდ გვპარავს ვინმეო. ადგნენ მერე და დაიძახეს: რა ხარ, რა სულიერი ხარ, თუ ადამიანი ხარ გამოგვიჩნდი და გიშვილებთო. მართლაც გამოუჩნდათ ეს ყმაწვილი და ამ უსინათლო ცოლქმარმა იშვილეს. ერთხელ ჰკითხა ამ ყმაწვილმა თავის მამობილ-დედობილს: რადა გაქვსთ თვალები დათხრილიო? ამათაც უთხრეს: „ეშმაკებმა დაგვთხარეს და წაიღესო“. ადგა ერთ დღეს ეს ყმაწვილი და წავიდა სანადიროდ. იარა-იარა და მიადგა იმ ალაგს, სადაც

ეშმაკების ბინა იყო. შეხედა რომ ერთი ჟრიამული უდგათ. ყმაწვილმა სალამი მისცათ. ეშმაკებმაც მიიწვიეს და დასვეს ყმაწვილი. შემოდგეს ქვაბი და დაუწყეს ვეება ხეს ხეთქა. სცემენ ცულს და ვერაფერს აკლებენ. წამოდგა ეს ყმაწვილი, გამოართვა ცული და დაჰკრა და დააღებინა პირი ხეს. მერე დაუძახა ეშმაკებს: მოდით ხელები ჩაჰყავით ამ ხეში და იძახეთ: ფხრიწ-ფხრიწო და გასკდება ხეო. მართლაც, ეშმაკებმა ჩაჰყვეს ხელები ხეში, ყმაწვილმა ამოაძრო ცული, ხემ მოუჭირათ ხელებზედ და ასტეხეს ჟრიამული ეშმაკებმა; მერე უთხრა ყმაწვილმა: „მითხარით სადა გაქვსთ ამა და ამ კაცის და დედაკაცის თვალები და გაგანთავისუფლებთო. ეშმაკებმა ასწავლეს, ყმაწვილმა ამოიღო თვალები და ჩაიდო ჯიბეში, მერე უთხრა ეშმაკებს: რით უნდა მოვურჩინო ეს თვალები, მითხარით და გაგიშვებთო. ეშმაკებმაც თავიანთი ბრჩხილები მოიჭრეს, მისცეს და უთხრეს: „თვალები რომ ჩაუსხა, მერე ეს ბრჩხილები მოუსვი და აეხილებათ თვალებიო. ახლა კი ადგა ეს ყმაწვილი, დაუშინა ცული და ხეში ჩატანებული ხელები სულ დააჭრა ეშმაკებს და გამოსწია შინისკენ. მოიტანა თვალები და ჩაუსხა მამობილ-დედობილს. მოხუც ცოლ-ქმარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ერთ დღეს კიდევ წავიდა ეს ყმაწვილი სანადიროდ. ვნახოთ რომ, მიადგა ერთ ალაგს, საიდანაც მოესმა საშინელი ღრიალი. ნახა, რომ მდევი ვერა შობდა, ლოგინზედ იწვა, და უპირდებოდა. მდევმა რომ დაინახა ყმაწვილი უთხრა: „მიშველე რამე და, თუ ოთხი ვშობე, ერთი შენ და სამი მეო, და თუ ხუთი ვშობე, ორი შენ და სამი მეო“. ყმაწვილმა აადუღა წყალი, გაახურა შამფურები და ჯერ ცხელი წყალი დაასხა

თავზედ მდევს და გაფუფქა, მერე ცხელი შამფურები დაუტრიალა თვალებში, თვალები დასთხარა და უთხრა: „ახლა განთავისუფლდებიო“. მდევმა შობა ოთხი ვაჟი. ამ ყმაწვილმა ერთი აიყვანა ჯიბეში ჩაისო, დამალა და თვალებ დათხრილ მდევს კი უთხრა: მარტო სამი შობეო, ადგა და, ერთიც პიროობისამებრ მდევმა მისცა ყმაწვილს. ამ ყმაწვილმა ორივე ჯიბეში ჩაისო. მდევს ახლა დაუწყო ღონება გაფუფქულმა თავმა და დათხრილმა თვალებმა. მდევმა დაუწყო ყმაწვილს ძებნა მოსაკლავად, ყმაწვილმა ეს რომ შენიშნა, გამოვიდა და მდევის ეზოში ცხვრის ჯოგში წაძვრა-ჩაიმალა. მერე დაკლა ხელად ცხვარი და ცხვრის ტყავი გადიცვა ზედ. თვალებ დათხრილ მდევმა ყმაწვილი რომ ველარ იპოვნა, ადგა, გააღო დაკეტილი ეზოს კარები და თითო-თითო ხელის მოსმით გარეკა ცხვარი ეზოს გარედ; ამ ნაირად შეუმჩნეველად ყმაწვილი გაჰყვა ცხვარს გარედ, გაირეკა ცხვარი და მიურეკა თავის მამობილ-დედობილს.

ერთ დღეს მოინდომა ამ ყმაწვილმა თავისი სახლის ნახვა. ჩაისხა ჯიბეში პატარა მდევები და გასწია. მივიდა შინ. ნახა რომ თავის სახლში აღარავინ არ იყო მარტო მისი დის - მეტი და აღარც სოფელში ვინმე ჭაჭანებდა. რასაკვირველია, დამ იცნო თავისი ძმა და სიხარულით მიესალმა. შემდეგ, ვითომდა აქ არაფერიო, გასწია მჭედელთან კბილების დასალესად. პატარა მდევებმა ამ ყმაწვილს უთხრეს: რას უდგეხარ აქა, შენი და კბილების გასალესად წავიდა, მოვა თუ არა მაშინვე შეგჭამსო. ყმაწვილმა პატარა მდევების რჩევით გაიხადა წაღები დაავსო, ნაცრით და დაჭიდა დარბაზის გვირგვინში—საკომურში და თავად თავისი პატარა მდევებით გაუდგა გზას. მოვიდა ქალი მჭედლისგან

კბილებ-დალესილი, ნახა რომ მისი ძმა იქ აღარ იყო, შეჰხედა, რომ მაღლა წაღები ჰკიდია და შესძახა: „მანდ რომ ასულხარ, განა ვერ ამოვალო?“ ამ დროს გაირბინა თაგვმა, გასჭრა პატარა თოკი, რითაც წაღები დაკიდებული იყო, წაღები ჩამოვარდა და ნაცრით აევსო თვალები ქალს. დაიწყო ქალმა თვალების წმენდა. სანამ ის თვალებს მოიბანდა, ყმაწვილმა კარგა გზა გაიარა. გამოუდგა ეს ქალი (დაჲ) უკან. მოიხედა ყმაწვილმა უკან და დაინახა თავისი და ბუზის ოდენა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუმატა ყმაწვილმა სიარულს. მოიხედა მეორედ და, დაინახა თავისი და ჩიტის ოდენა. კიდევ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუმატა ყმაწვილმა სიარულს. მოიხედა მესამედ და თავისი და ყმაწვილის ოდენა გამოჩნდა. ეხლა კი ვეღარ წაუვალო, იფიქრა ყმაწვილმა, მიიხედ-მოიხედა, ნახა რომ იქვე ახლოს სამი ალვის ხე იდგა ჯგუფად. მიკიდა. აკიდა თავისი პატარა მდევებით ალვის ხეზედ. მიაღწია მისმა დამაც. მისდგა ალვის ხეს და დაუწყო ღრღნა. რომ მიაყენა წაქცევაზედ, ახლა ყმაწვილი მეორეზედ გადავიდა; მეორეც რომ წაქცევაზედ მიაყენა, ახლა მესამეზედ გადავიდა. ახლა კი კბილებიც დაუჭლუნგდა ქალს და დადგა. ჩამოგზავნა ყმაწვილმა პატარა მდევები და უთხრა: „ჩადით და ისე შესჭამეთ ჩემი და, რომ ერთი წვეთი სისხლი არსად დარჩესო. მდევებმა მართლაც უცბად გაგლიჯ-გამოგლიჯეს ყმაწვილის და. ყმაწვილი ჩამოკიდა. მიათვალიერ-მოათვალიერა, ნახა რომ ერთი წვეთი სისხლი ფოთოლზედ დაცემულიყო. აიღო ყმაწვილმა და ქუდის ყალამაში ჩაიდო. გამოსწიეს და გაუდგნენ გზას ყმაწვილი და მდევები. იარეს-იარეს და შემოხვდათ ერთი მეჯოგე, ერთმანეთს სალამი მის-

ცეს. მეჯოგემ შეხედა პატარა მდევებს და ძლიერ გული შეუვარდა მათზედ; ადგა და ყმაწვილს უთხრა: მოდი —სანაძლეო დავსდოთ, თუ გამოიცნობ ეს ჩემი სახრე რა ხისაც არის, მაშინ ჩემი ჯოგი შენი იყოს, და თუ ვერ გამოიცანი, ეგ ორი პატარა მდევი ჩემი იყოსო. ყმაწვილი ჩაფიქრდა. ვნახოთ რომ, ქუდის ყალამაში ჩადებულმა სისხლიანმა ფოთოლმა წასჩურჩულა: „დაენაძლავე და უთხარი, სახრე უზნისაათქო“. ყმაწვილმა მოიგო რასაკვირველია სანაძლეო, დაირეკა ეს ამოდენა ჯოგი და მირეკა მამობილ-დედობილთან. ყმაწვილს მამობილ-დედობილმა მალე ცოლი შერთეს და მშვენიერი სასახლე გადაჭიმეს. პატარა მდევებიც წამოიზარდნენ და ყველაფერ საქმეს უკეთებდენ ყმაწვილს. აგრეთვე რასაც ინატრებდა ყმაწვილი, თავისი დის სისხლი მაშინვე უსრულებდა. ამნაირად სიმდიდრეში და კეთილ ცხოვრებაში ატარებდა ყმაწვილი მეუღლითურთ თავის მამობილ-დედობილთან ბედნიერ დროს. მათ მოსვლამდინ ნურა გეტკინოთ რა.

„მეოთხე მცნება.“

(ებრაული ზღაპარი ქ. გორში ჩაწერილი ნ. ია—ნისა).

იყო ერთი ღვთის მოშიში და მოყვარული კაცი. თავისთვის კარგად სცხოვრობდა. ის კაცი, როგორც მეოთხე მცნება ამბობს, არა დროს არ ისაქმებდა კვირა-უქმობით, რადგანაც დიდ ცოდვად მიაჩნდა.

ერთხელ კვირა დღეს ჩვეულებრივ იჯდა იგი ტახტზედ თავის სახლში. უცებ გაჩნდა მგელი და მოიტაცა იმისი ერთად ერთი შვილი. თუმცა მამას იმ ჟამად გული დაეწვა, მაგრამ მალე დამშვიდდა იობის სიტყვებით: „ღმერთმა მომცა, ღმერთმა წაიღო და იყვეს კურთხეულ სახელი უფლისა.“ ცოლი ეუბნებოდა: „წადი, კაცო, გამოუდეგ, იქნება დაგდებინოო“. მაგრამ იმან ცოლის სიტყვებს ყურიც არ ათხოვა. მხოლოდ მეორე დღეს ადგა, ახსენა ღმერთი და გასწია შვილის საძებნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა, შეხვდა ერთი, სახედარზედ მჯდომი კაცი. უცნობმა ჰკითხა: „სად მიდიხარო?“ იმან ყველაფერი უამბო. „მაშ წავიდეთ და ორივემ ვეძებოთო“, წავიდნენ ორივენი. ერთს სახლს მიაწიეს და დაუღამდათ კიდეც. შეეხვეწნენ სახლის პატრონს: ღამე კარში ნუ დაგვტოვებ, სახლში შეგვიშვიო. მასპინძელმა შეიწყნარა მათი თხოვნა და შეუშვა სახლში. იმ ღამეს მასპინძელმა ჰკითხა სტუმრებს:—საით მიდიო-

დითო? პასუხად მიიღო: „გუშინ მგელმა შვილი მომ-ტაცა და რადგანაც კვირა იყო, ვერ გამოვუდექი წასარ-თმევად; დღეს წამოვედი საძებნელად «და, ღვთის შეწევნით, იმედი მაქვს ვიპოვნიო». მასპინძელს გაე-ცინა და უთხრა:—ბრიყვი ყოფილხარ, ძმაო! აი ამდე-ნი სარჩო-საბადებელი სულ კვირა-უქმეობით არის მოპოვებული, გარდა ამ ერთი დედაბოძისა და მაშ ღმერთი წამართმევსო?!...

მეორე დღეს მადლობა გადაუხადეს მასპინძელს და წავიდნენ ორივენი თავიანთ გზაზედ. უცნობმა კაცმა თავისი მათრახი განზრახ დედა-ბოძზედ დასტოვა ჩამოკიდებული, როცა სახლს კარგად დაშორდნენ, მაშინ მოიგონა მათრახი და შეეხვეწა თანა-მგზავრს: „შენ ახალგაზდა ხარ, წადი, მომიტანე მათრახი; თუ რა-მე ნახო, ნუ შეგეშინდებაო“. ისიც წავიდა. მივიდა და ნახა, რომ მთელს სახლს ცეცხლი წაჰკიდებოდა, იმ დედაბოძის გარდა, რომელზედაც მათრახი ეკიდა და რომელიც არ იყო უქმე დღეს ნაშოვარი. ის არ შეუ-შინდა ცეცხლს, შევიდა, გამოიტანა მათრახი და წამო-ვიდა თავის ამხანაგთან. ამხანაგმა უთხრა: «ხომ ნახე, რომ მთელს სახლს ცეცხლი ეკიდაო? ეგრე მოუვა ყვე-ლაფერს, რაც კი არმად არის ნაშოვარიო!... სთქვა ეს და უჩინარი შეიქმნა. გადიწერა პირჯვარი კაცმა, ღმერთს მადლი შესწირა და წავიდა შვილის საძებრად, საითკენაც მაცხოვარმა ანიშნა. შვილი მართლაც იქ სხვებს დაეგდებინებინათ მგლისათვის. ნახა უნებელი, წამოი-ყვანა სახლში და განაგრძო ისევ ღვთის სიყვარულში ცხოვრება.